დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის
3 - 9 ოქტომბერი
N 41 1453
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ბატკა, ეს არ უნდა გექნა!!!



2-3

## უკრაინის ოთხი ოლქის კვალდაკვალ მოსალოდნელია თუ არა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება?

## კეზერას ფხალი

13



## გუმბათი ჩამოტარებით

როგორ შეხვდებიან ამას აფხაზები და ოსები?

5

# ლარსის კურსი





8

# ბატკაა, ეს არ

***საქართველოს ხელისუფლება და ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ერთგვარ პოლიტიკურ შოკში ჩააგდო ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ, რომელიც 2022 წლის 28 სექტემბერს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა და სეპარატისტული რეჟიმის ლიდერს ასლან ბჟანიას ბიჭვინთის აგარაკზე შეხვდა.***



ალექსანდრე ლუკაშენკო და ასლან ბჟანია. საქართველო, აფხაზეთი, 2022 წლის 28 სექტემბერი

მიუხედავად იმისა, რომ **ლუკაშენკო პუტინის** მოკავშირეა და ბელარუსი რუსეთის „უმცროსი ძმაა", ბატკად ხმობილი პრეზიდენტის ოკუპირებულ აფხაზეთში სტუმრობა მაინც მოულოდნელი იყო, რადგან იგი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობას" დღემდე არ აღიარებს.

გარდა ამისა, **ლუკაშენკო,** რომელსაც „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს" ეძახიან, არასოდეს მალავდა თავის გულთბილ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

**— თქვენ ჩვენთვის უცხო ხალხი არ ხართ, თქვენ ჩვენი ჭეშმარიტი ძმები ხართ. სხვა გამოსავალი არა გვაქვს, უნდა ავაშენოთ თბილი, მეგობრული ურთიერთობები უკვე არა ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში, არამედ როგორც ორმა სუვერენულმა, დამოუკიდებელმა სახელმწიფომ!** — ეს სიტყვები ბელარუსის პრეზიდენტმა 2018 წლის მარტში თბილისში წარმოთქვა, როცა ოფიციალური ვიზიტით იყო ჩამოსული.

იმავე ვიზიტისას, **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან** შეხვედრის დროს, **ლუკაშენკომ** ასევე განაცხადა: **„თქვენო უწმინდესობავ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, გაგიზიარებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც ვიცით. თუ თქვენ ჩვენთან საქართველოსთვის რაიმე სასარგებლოს დაინახავთ, რისი გადაცემაც ჩვენ თქვენთვის შეგვიძლია, იყავით დარწმუნებული, რომ ამას გავაკეთებთ ისე სწრაფად, როგორც მოისურვებთ".**

2018 წელს თბილისში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ბელარუსის პრეზიდენტის შეხვედრაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებაც იყო საუბარი. კერძოდ, **ილია მეორემ** ლუკაშენკოს უთხრა: **„ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. აფხაზეთი და ცხინვალი — ეს გახსნილი იარებია საქართველოს სხეულზე და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის გულზე. ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, რადგან შეუძლებელია, ამის გარეშე იყოს ნორმალური ურთიერთობები ხალხსა და სახელმწიფოს, ჩვენსა და რუსეთს შორის. მე ვფიქრობ, თქვენი ვიზიტი არის მშვიდობის მომასწავებელი, რომე-**




## კრემლის გზავნილი, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობას ბატკამ ჩაუტანა, ასეთია:

**თუ გინდათ, რუსეთმა არ მიგატოვოთ, მაშინ რუსეთისათვის უნდა მოკვდეთ!**

**თუ გინდათ, შიმშილით სული არ გაგძვრეთ, მაშინ ბრძოლისუნარიანი აფხაზი მამაკაცები რუსეთს უნდა მისცეთ საზარბაზნე ხორცად!**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

მკაცრად ვგმობ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** „ვიზიტს" რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს აფხაზეთის რეგიონში და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმთან შეხვედრებს. **ეს ნაბიჯი არღვევს საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებს.**

„პირველი არხი"



**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*

როგორც ჩანს, ოპოზიცია ორადაა გაყოფილი, ზოგი ამბობს — **ჩავკეტოთ რუსეთთან საზღვარი და აღარ შემოვუშვათ ადამიანები,** ზოგი ამბობს — **შემოვუშვათო!** იქნებ, ჩამოყალიბდნენ.

„პირველი არხი"



**ჯუანშერ ბურჭულაძე**
*თავდაცვის მინისტრი*

გვექნება უმკაცრესი რეაგირება **ლუკაშენკოს** ვიზიტთან დაკავშირებით. **არ ვურჩევდი არცერთი ქვეყნის ლიდერს დაუშვას შეცდომა,** რომლის გამოსწორებაც მის ქვეყანას ძვირი დაუჯდება.

„ინტერპრესნიუსი"



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

ოპოზიციას აქვს მიზანი, უზრუნველყოს აღიარება — **ისინი რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, გარდა სხვა ბევრი უბედურებისა, ერთ-ერთი შედეგი იქნებოდა ბელარუსის მიერ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება.** „ქართული ოცნება" 30 წლის მანძილზე პირველი ხელისუფლებაა, რომლის დროსაც **ომი არ ყოფილა და შენარჩუნდა მშვიდობა** — ეს არის პირველი მიღწევა.

„პალიტრანიუსი"

# უნდა გექნა!



ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. საქართველო, თბილისი, 2018 წელი

ოკუპირებულ აფხაზეთში სტუმრობით ლუკაშენკომ არამხოლოდ ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონი, არამედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის აღთქმული პირობაც დაარღვია!




**ლიც მოგვიტანს დადებით შედეგებს“.** საპასუხოდ **ლუკაშენკომ** ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს აღუთქვა: **„ის ტკივილი, რომელიც თქვენ ახსენეთ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, ჩვენთვისაც ახლოს არის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა მალე გადაფურცლოს თანამედროვე ისტორიის ეს სამწუხარო ფურცლები“.**

და აი, თბილისში ასეთი განცხადებების გაკეთებიდან ოთხი წლის შემდეგ **ლუკაშენკო** ოკუპირებულ აფხაზეთს ესტუმრა, რითიც ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს ზურგში პოლიტიკური ლახვარი ჩასცა!

და კიდევ: ოკუპირებულ აფხაზეთში სტუმრობით **ბატკამ დაარღვია არამხოლოდ ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონი, არამედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის აღთქმული პირობაც** — „თქვენო უწმინდესობავ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით!“

**ბატკა სიტყვის კაცი არ აღმოჩნდა!**

**ბატკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის გვერდით კი არა, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, ბიჭვინთის აგარაკზე, ასლან ბჟანიას, ინალ არძინბასა და სხვა სეპარატისტების გვერდით დადგა.**

არ გამოვრიცხავთ, რომ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** მიერ ოთხი წლის წინათ თბილისში გაკეთებული განცხადებები გულწრფელი იყო და მას საქართველო და ქართველები მართლაც უყვარს, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ დიდ პოლიტიკაში გრძნობები და ემოციები კი არა, პრაგმატული ინტერესებია მთავარი.

**ბელარუსის პრეზიდენტი ოკუპირებულ აფხაზეთში იმ ფონზე ჩავიდა, როცა კრემლის მიერ გამოცხადებულმა ნაწილობრივმა მობილიზაციამ პუტინის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც უკრაინის ომში მონაწილეობა არ სურთ, ქვეყნიდან ეშელონებად გარბიან, რუსეთის სამხედრო გაწვევის პუნქტებში კი ყოველდღიურად ისმის სროლისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ აფეთქების ხმა!**

რუსეთის მიერ გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაცია უკმაყოფილებისა და პროტესტის მიზეზი გახდა ოკუპირებულ აფხაზეთშიც, რადგან მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი აფხაზებს საზარბაზნე ხორცად იყენებს და ვალს, რომელიც დამოუკიდებლობის აღიარებით დაადო, სისხლით ახდევინებს.

გარდა ამისა, აფხაზეთის მოსახლეობამ მწვავე პროტესტი დაუპირისპირა **ბჟანიას** რეჟიმის გადაწყვეტილებას ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკების რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე!

მოკლედ რომ ვთქვათ, **ბოლო დროს აფხაზების ერთი ნაწილი კრემლის მიმართ დაუმორჩილებლობის ნიშნებს ამჟღავნებს და რუსეთის ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვითარების დალაგება სჭირდება.**

მთელი ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ცხადია, რომ **ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ოკუპირებულ აფხაზეთში პუტინის თხოვნითა თუ დავალებით ჩავიდა.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **ბატკა** სოხუმს პირდაპირ სოჭიდან ესტუმრა, სადაც კრემლის ლიდერს შეხვდა, ხოლო სეპარატისტული რეჟიმის ლიდერ **ბჟანიას** ბიჭვინთაში განუცხადა: **„გუშინ ჩვენს უფროს ძმასთან ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინთან აფხაზეთის პრობლემებს განვიხილავდით. ჩვენ ამ საკითხზე გვიან ღამემდე ვიმსჯელეთ და მივედით დასკვნამდე, რომ აფხაზეთის მიტოვება არ შეიძლება, მას უნდა დავეხმაროთ, რათა ეს აყვავებული მიწა, ხალხი, რომელიც აქ სახლობს, ნორმალურად ცხოვრობდეს“.**

ერთი სიტყვით, **ლუკაშენკომ** ოკუპირებულ აფხაზეთში პუტინის გზავნილი ჩაიტანა — რუსეთი თქვენ გვერდით დგას და არ მიგატოვებთო, მაგრამ ლუკაშენკოს არ უთქვამს ის, რაც ამ გზავნილში რეალურად იგულისხმება და სეპარატისტი აფხაზებისათვის სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვების უკან იმალება!

**დიახ, კრემლის გზავნილი, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობას ბატკამ ჩაუტანა, ასეთია: თუ გინდათ, რუსეთმა არ მიგატოვოთ, მაშინ რუსეთისათვის უნდა მოკვდეთ! თუ გინდათ, შიმშილით სული არ გაგძვრეთ, მაშინ ბრძოლისუნარიანი აფხაზი მამაკაცები რუსეთს უნდა მისცეთ საზარბაზნე ხორცად!**

დარწმუნებული ვართ, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ბატკას პირით ჩატანილ კრემლის გზავნილის ნამდვილ კონტექსტსა და მნიშვნელობას მშვენივრად ხვდება!

არც ის გვეეჭვება, რომ **აფხაზების საღად მოაზროვნე ნაწილი რუსეთის საზარბაზნე ხორცად ქცევას არ მოინდომებს და კრემლის მიერ გამოცხადებულ სამხედრო მობილიზაციას ისეთივე წინააღმდეგობას გაუწევს, როგორც მის მიერ ბიჭვინთის ანექსიის მცდელობას ეწინააღმდეგება!**

რაც შეეხება **ლუკაშენკოს**, მისთვის ქართველ ხალხს ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი რამ აქვს სათქმელი: **ბატკა, ეს არ უნდა გექნა! ოთხი წლის წინათ თბილისში ნათქვამი შენივე სიტყვები წყალში არ უნდა ჩაგეყარა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის მიცემულ პირობას არ უნდა გადასულიყავი!**

და კიდევ: **ცხადია, „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ წოდებული ბატკა მამა აბრაამის ბატკანი არ არის, მაგრამ არც მამა პუტინის ბატკანად უნდა ქცეულიყო!**

ეს, უპირველეს ყოვლისა, თავად ბატკასთვის არის სახიფათო, რადგან **მამა პუტინის** ბატკანობიდან განტევების ვაცობამდე ერთია ნაბიჯია!

**ბატკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის გვერდით კი არა, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, ბიჭვინთის აგარაკზე, ასლან ბჟანიას, ინალ არძინბასა და სხვა სეპარატისტების გვერდით დადგა!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**გრიგოლ ლილუაშვილი**
*სუს-ის ხელმძღვანელი*

უსმენენ იმას, ვინც **კანონიერ საფუძველზე** არის მოსასმენი.

„ახალი თაობა“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

ნაცმოძრაობას ისევე სურს **საქართველოში დესტაბილიზაცია,** როგორც ოკუპანტ რუსეთს. **კეზერაშვილი** ვერასდროს ჩამოირეცხავს შავ ლაქას, რომელიც მაშინ მიეცხო, როცა **ბრძოლის ველზე ცხედრები დატოვა და უქონელი თავდაცვის მინისტრიდან უცებ მილიონერი გახდა.**

„კვირის პალიტრა“



**ლინკოლნ მიჩელი**
*ამერიკელი ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი*

**ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგია ხელისუფლებაში დაბრუნება** და ეს გახლავთ ის, რასაც ჩვეულებრივ ყველა პარტია ცდილობს. თუმცა, **არ ვფიქრობ, რომ ახლა, რასაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებს, ეს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს ემსახურება.**

„TV იმედი“



**ნედ პრაისი**
*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი*

მტკიცედ ვუჭერთ მხარს **საქართველოსა და მის ტერიტორიულ მთლიანობას** — რუსეთმა უნდა გააუქმოს საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება.

„იმედინიუსი“



**ნინო სურგულაძე**
*მეცოსოპრანო, ფონდ „ნატვრის ხის“ დამფუძნებელი*

აფხაზო დებო და ძმებო, მოგმართავთ — **შევრიგდეთ, ჩვენ უნდა გავმთლიანდეთ,** ერთად უნდა შევიდეთ ევროპულ ოჯახში.

„აიპრესი“

*საისტორიო ბედისწერამ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ რუსებს, როგორც წესი, ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა უფრო უადვილდებათ, ვიდრე ურჯულოების, განსაკუთრებით მონღოლებისა და თურქულენოვანი ხალხების. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა წიაღში რუსეთმა თურქეთს თითქმის ყველა ომი მოუგო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს უზარმაზარ თურქულ სამყაროსთან, ანუ „დიდ თურანთან“ დაპირისპირებაში რუსეთი მარცხდება.*



ივანე მეოთხე ვასილის ძე 1530-1584

# 1686 წელს რუსეთმა რეჩ-პოსპოლიტასგან კიევი 146 ათას მანეთად იყიდა!

# რუსეთის ომები ივანე მრისხანიდან ვლადიმერ მრისხანემდე

თუ რუსეთის რუკას გადავხედავთ და გავითვალისწინებთ, რა მოხდა უკანასკნელ ხანს ყარაბაღში და რა რწმენისა და რა ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობენ ურალისპირეთში, ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ციმბირში, მაშინ, ალბათ, გასაგები გახდება იმ განგაშის სიგნალების აქტუალობა, რომელიც რუსი პატრიოტების ბანაკიდან დიდი ხანია, ისმის და ასე ჟღერს — **„რუსეთი ალყაშია!“**

**ივანე მრისხანე** პირველი რუსი **„ცარი“** იყო, რომელმაც ეს ტიტული 1547 წელს მიიღო. ამიტომ ძლევამოსილი რუსეთის ისტორიას მავანი სწორედ **ივანე მეოთხეს** პერიოდიდან იწყებს. ამას თუნდაც ის ფაქტორიც ემატება, რომ რუსი ერისთვის ძალიან მტკივნეული და მძიმე გასახსენებელია ის ამბავი, რომ ამოდენა ქვეყანა 250 წელზე მეტის ხნის განმავლობაში მონღოლების დამამცირებელი უღლის ქვეშ გმინავდა. **ბათო-ხანმა** რუს დედაკაცებს საცვლის ტარება აუკრძალა, რათა მონღოლ მეომრებს თავიანთი მამაკაცური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დიდი დრო არ დაეკარგათ. რუს ქალს უფლება არ ჰქონდა, მონღოლი მეომრისთვის სექსუალური მომსახურების გაწევაზე უარი ეთქვა. ამ მონურმა დამოკიდებულებამ და პირუტყვულმა მორჩილებამ მთელი 250 წლის განმავლობაში ის საზიზღარი შედეგი გამოიღო, რომ არამარტო რუსი ერის გენოტიპი და ანთროპოლოგია, არამედ მისი ლაღი ხასიათი და ქრისტიანობის მზით გამთბარი გული შეიცვალა.

ამიტომაც იყო, რომ შესანიშნავი რუსი ფანტასტი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და მკვლევარი, დიდი სტალინის მეგობარი **ალექსეი ტოლსტოი**, რომელმაც კრემლის არქივებში **პეტრე პირველის** ქართველობის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები აღმოაჩინა, წერდა:

> ***„არსებობს ორი რუსეთი. პირველი — კიევის, რომელსაც გააჩნია საკუთარი ფესვები, მსოფლიო თუ არა ევროპულ კულტურაში მაინც. ამ რუსმა გაითავისა სიკეთის, პატივის, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეები, რადგანაც ესმოდა მისი დასავლურ სამყაროს. არსებობს კიდევ მოსკოვის რუსეთი, რომელიც შედგება ტაიგელი, მონღოლი, ცხოველური და ველური რუსისგან. მოსკოველმა რუსმა სისხლიანი დესპოტიზმი და ველური სისასტიკე გაიხადა ეროვნულ იდეალად. მოსკოველი რუსი იყო, არის და იქნება სრული უარყოფა ყოველივე ევროპულის და მისი დაუცხრომელი მტერი!“***

რუსეთს უხსოვარი დროიდან დიდ პრობლემებს უქმნიდნენ თურქულენოვანი ხალხები — **ყივჩაღები და პაჭანიკები.** კიევის რუსეთის ერთ-ერთი გამორჩეული მთავარი იყო **სვიატოსლავ იგორის ძე,** რომელმაც მეათე საუკუნის 60-იან წლებში **ხაზართა** ხაკანატი გაანადგურა და მათი ქალაქები — **იტილი და სემენდერი** მიწასთან გაასწორა, ხოლო 968-969 წლებში მდინარე ვოლგაზე გადაჭიმული ბოლგართა სამეფო მოსპო. **სვიატოსლავი** სწორედ პაჭანიკებმა მოკლეს 972 წელს დნეპრის ჭორომებთან, რომლებიც მთავარს ჩაუსაფრდნენ. პაჭანიკების თარეშს საბოლოოდ **იაროსლავ ბრძენმა** მოუღო ბოლო 1036 წელს, რის შემდეგაც ისინი რუსებში, ხაზარებში, უნგრელებში ყივჩაღებსა და მონღოლებში გაითქვიფნენ.

მიუხედავად **იაროსლავ ბრძენის** (1019-1054წ.წ.) მტკიცე და წარმატებული მმართველობისა, კიევის რუსეთი ყივჩაღების მარბიელი ლაშქრობების აღსაკვეთად მაინც უძლური იყო. ასე, მაგალითად, **1096 წელს ყივჩაღთა ხანმა ბონიაყმა აყვავებული და ულამაზესი კიევი გადაწვა.** ვიდრე მონღოლები არ გამოჩნდნენ, თურქულენოვანი ყივჩაღების საფრთხე რუსეთში სულ იყო.

1223 წელს მონღოლებმა რუსები სასტიკად დაამარცხეს მდინარე კალკასთან, ხოლო 1238 წლის 4 თებერვალს მონღოლებმა გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს **ვლადიმირი.** ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1238 წლის 4 მარტს, მდინარე სიტესთან რუსები ისევ დამარცხდნენ და ამის შემდეგ მათ მონღოლებთან წინააღმდეგობა შეწყვიტეს!

**1240 წლის 6 დეკემბერს მონღოლებმა მიწასთან გაასწორეს კიევი და რუსები ისევ დაამარცხეს. გადმოცემის თანახმად, მუნქე-ყაენმა კიევი რომ დაინახა, ქალაქის სილამაზით ისე აღფრთოვანდა, რომ კიევის დიდ მთავარს შესთავაზა, ქალაქი არ დაენგრიათ და დანებებოდნენ, მაგრამ რუსებმა დანებებაზე უარი თქვეს, რასაც საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა.**

საყოველთაო ტერორისა და დაცემის პირობებში ნოვგოროდის მთავარმა **ალექსანდრე ნეველმა,** რომელიც 1252 წლიდან **კიევისა და ვლადიმირის დიდი მთავარიც** გახდა და მონღოლებს დამორჩილდა, 1240 წელს ალაგმა შვედების თავდასხმა, 1242 წლის 5 აპრილს ჩუდის გაყინულ ტბაზე ამოჟუჟა გერმანელი ტევტონები, ხოლო 1245 წელს დაამარცხა ლიტველები.

**1380 წლის 8 სექტემბერს** რუსებმა **დიმიტრი დონელის** მეთაურობით **კულიკოვოს ველზე** დაამარცხეს მონღოლები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მათი უღლის გადაგდებას. რუსთა გამარჯვება მტკიცე არ იყო. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ **დიმიტრი დონელის** ტრიუმფიდან სულ რაღაც ორ წელიწადში **„ოქროს ურდოს“ ყაენმა თოხთამიშმა,** რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა თემურლენგი, 1382 წლის 26 აგვისტოს მოსკოვი აიღო და ქალაქში ცოდვის კალო დაატრიალა. მონღოლებმა ამოწყვიტეს და გადაწვეს მთელი ქალაქი...

**1478 წელს** უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი მოხდა — **მოსკოვის დიდმა მთავარმა ივანე მესამემ** ნოვგოროდი ერთხელ და სამუდამოდ დაუმორჩილა მოსკოვს, ხოლო ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1480 წელს რუსებმა მდინარე უგრაზე **მამაი ყაენი** განდევნეს. **ეს წელი რუსეთის მიერ მონღოლთა უღლის გადაგდების ისტორიულ თარიღად არის მიჩნეული.**

**1500-1503 წლებში** რუსეთმა დაამარცხა **ლიტვის დიდი სამთავრო** და შეიერთა **ბრიანსკი, ჩერნიგოვი** და სხვა ჩრდილოეთის მიწები, რომელიც **ლიტვის დიდი სამთავროს** ტერიტორიის მესამედს უდრიდა.

**1510 წელს** მოსკოვმა ასევე შეიერთა **ფსკოვი,** 1514 წელს — **სმოლენსკი,** ხოლო 1521 წელს — **რიაზანი. 1534-1537 წლებში** რუსეთმა კვლავ გაიმარჯვა **ლიტვის დიდ სამთავროზე** და საზღვრები განამტკიცა.

რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **პირველი რუსი „ცარის“ ივანე მრისხანეს** მიერ 1552 წელს — **ყაზანის,** ხოლო 1556 წელს ასტრახანის **შემოერთებას.** ივანეს დროს რუსეთი მთლიანად დაეპატრონა მდინარე ვოლგას და კონტროლი დაამყარა **ბაშკირეთის მიწებზე,** სადაც დაარსა ქალაქი **უფა.** ივანე მრისხანემ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან ააშენა უმნიშვნელოვანესი ქალაქი **არხანგელსკი.** რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1581-1585 წლებში **კაზაკთა ატამან ერმაკის** ლაშქრობებს, რის შედეგადაც რუსეთს შემოუერთდა **დასავლეთ ციმბირი.**

**1569-1570 წლებში ივანე მრისხანემ** თავის „ოპრიჩნიკებს“ ნახევარი **ნოვგოროდი** და **ფსკოვი** ამოაწყვეტინა, რადგან ვიღაც ვოლინელი მაწანწალის, პეტრეს „ჩვენებას“ დაეყრდნო, რომლის საფუძველზეც ნოვგოროდელებს პოლონეთის მეფე **სიგიზმუნდ მეორე ავგუსტთან** კავშირში ედებოდათ ბრალი. **ივანე მრისხანეს** ცნობილმა ჯალათმა და ქონდრისკაცმა **მალიუტა სკურატოვმა** უსპენსკის ტაძარში თავისი ხელით დაახრჩო **მიტროპოლიტი ფილიპე,** რომელიც ნოვგოროდის აოხრებას არ ემხრობოდა. ხოლო 1570 წლის იანვარში „ოპრიჩნიკთა“ 15-ათასიანი დამსჯელი რაზმი, რომელიც უშუალოდ **ივანე მრისხანეს** მეთაურობით ნოვგოროდში შეიჭრა, მასობრივ მკვლელობებსა და გაუპატიურებებში მონაწილეობდა. სხვადასხვა მონაცემით, მაშინ **ივანე მრისხანემ** ნახევარი **ნოვგოროდი და ფსკოვი** გაჟუჟა.

**1571 წლის 24 მაისს** ყირიმის ხანმა **დევლეთ გირეიმ** მოსკოვი გადაწვა, ხოლო **1558-1583 წლების** ლივონიის ომში რუსეთი დამარცხდა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელიი ვერ მოიპოვა. რუსეთისთვის უმძიმესი იყო მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების მიჯნა, რომელსაც პოლონელი და შვედი ინტერვენტები და **ცრუდიმიტრები** ჯიჯგნიდნენ. 1612 წლის 4 ნოემბერს **კუზმა მინინისა** და **დიმიტრი პოჟარსკის** ხელმძღვანელობით რუსებმა მოსკოვიდან პოლონელები განდევნეს და გაიმარჯვეს. **ამ დროიდან იწყება რუსეთის ტრიუმფი.**

**1654-1667 წლებში** რუსეთმა დაამარცხა **პოლონეთი,** დაიბრუნა არეულობის დროს დაკარგული მიწები, **1667 წლის 9 თებერვლის ანდრუსოვის ზავით** ორი წლით დაეუფლა **კიევს.** გარდა ამისა, პოლონეთმა ცნო რუსეთის უფლებები მალოროსიის მარცხენა სანაპიროზე.

**1686 წელს** რუსეთმა **ე.წ. „მარადიული ზავით“ რეჩპოსპოლიტასგან კიევი და მისი შემოგარენი 146 ათას მანეთად იყიდა, ხოლო რეჩპოსპოლიტამ უარი თქვა ზაპოროჟიე-სეჩის პროტექტორატზე.**

**1656-1658 წლებში** რუსეთმა დაამარცხა **შვედეთი** და მას **ლივონიის** ნაწილი წაართვა. რუსეთმა მაშინ ვერ შეძლო **რიგის** დაკავება, თუმცა, მიისაკუთრა ქალაქი **ტარტუ.**

**1700 წლის 30 ნოემბერს ნარვასთან** განცდილი საშინელი და დამამცირებელი მარცხის მიუხედავად, რუსეთმა **1709 წლის 8 ივლისს პოლტავასთან** შვედებზე ბრწყინვალედ გამარჯვა და 1700-1721 წლების



ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი 1952

# «რუსეთი ალყაშია!»

# კრემლმა ყარაბაღის ომში ვერ დაიცვა თავისი სტრატეგიული მოკავშირე სომხეთი და თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით ასი წლის შემდეგ კავკასიაში კუდი შემოაყოფინა თურქეთს!

„ჩრდილოეთის ომი“ ტრიუმფით განასრულა, რითიც ქვეყანამ **ბალტიის ზღვაზე** გასასვლელი მოიპოვა. 1721 წელს **პეტრე დიდმა დააფუძნა რუსეთის იმპერია და რუსეთის ისტორიაში პირველი იმპერატორი გახდა.**

**1733-1735 წლებში** რუსეთმა ავსტრიასთან, საქსონიასთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან და სარდინიის სამეფოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ატეხილ ომში. რუსებმა გარემოიცვეს დანციგი და ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა განამტკიცეს.

**1756-1761 წლებში** რუსეთი პრუსიის წინააღმდეგ აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. **„შვიდწლიან ომში“. პეტრე პირველის** ასული, რუსეთის იმპერატრიცა **ელიზავეტა** პრუსიის მეფის **ფრიდრიხ დიდის** დაუძინებელი მტერი იყო. რუსებმა დაიკავეს **აღმოსავლეთ პრუსია და ბერლინი.** ფრიდრიხი სწორედაც რომ დაღუპული იყო, მაგრამ 1761 წლის დეკემბერში გარდაიცვალა **იმპერატრიცა ელიზავეტა,** რომელიც სულელმა **პეტრე მესამემ** ჩაანაცვლა. **პეტრე ფრიდრიხ დიდზე** ფანატიკურად იყო შეყვარებული, ამიტომ რუსის ჯარი აღმოსავლეთ პრუსიიდან და ბერლინიდან გამოიყვანა და პრუსიასთან ომი შეწყვიტა, რაც მისი საიდუმლო ვითარებაში გარდაცვალებისა და საიმპერატორო ტახტზე მეუღლის, იმპერატრიცა **ეკატერინა მეორის** ასვლის მიზეზი გახდა.

**1768-1774 წლებში** რუსეთმა სასტიკად დაამარცხა **თურქეთი.** 1774 წლის 21 ივლისს სოფელ ქუჩუქ-კაინარჯში დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: გადაეცა ტერიტორია დნეპრსა და ბუგს შორის, სიმაგრეები შავ ზღვაზე — კინბურნი, ქერჩი და იენიკალე; რუსეთის სავაჭრო ფლოტს შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა და სრუტეებში გავლის ნება დართო; კავკასიაში რუსეთის საზღვარი მდინარე ეისა და თერგის ხაზზე გავიდა; **ყირიმის სახანოს** დამოუკიდებლობა მიენიჭა და გათავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისგან.

**ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების** 23-ე მუხლი საქართველოს ეხებოდა. **ოსმალეთი „საზეიმოდ“ აცხადებდა, რომ იგი ამიერიდან „სამუდამოდ“ იღებდა ხელს იმერეთისაგან ხარკის მოთხოვნაზე, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროებაზე.** ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო უფლება, გამოსარჩლებოდა ოსმალეთის უღელქვეშ მყოფ ქრისტიან ხალხებს — **ქართველებს, მოლდაველებსა და რუმინელებს.**

**1783 წელს** რუსეთმა **გეორგიევსკის ტრაქტატით,** ფაქტობრივად, შეიერთა **აღმოსავლეთ საქართველო.** იმავე წელს რუსმა ჯარისკაცებმა სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად თურქეთს ხელიდან გამოსტაცეს **ყირიმი.**

**1787-1791 წლებში** რუსეთმა თურქეთს ისევ მოუგრიხა კისერი და 1791 წლის 29 დეკემბერს იასიში დაამტკიცა **ქუჩუკ-კაინარჯის ზავის** პირობები, რომლითაც თურქეთმა სამუდამოდ აღიარა **ყირიმი, ტამანი და ყუბანისპირეთი** რუსეთის შემადგენლობაში.

**1789-1791 წლებში** რუსეთმა **ირანიც** წააქცია და იმავე **იასის ზავით,** რომელიც 1791 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა, რუსეთს გადაეცა მთელი **ჩრდილო შავი ზღვისპირეთი, ყირიმის ჩათვლით** და გაძლიერდა მისი პოლიტიკური პოზიციები **კავკასიასა და ბალკანეთში.** რუსეთს გადაეცა მიწები მდინარე **სამხრეთ ბუგსა** და **დნესტრს** შორის, რითიც დადგინდა საზღვარი. ამგვარად, მომავალი **ბესარაბიის გუბერნიის** ტერიტორიები თურქეთის ბატონობის ქვეშ დარჩა. კავკასიაში საღვარი აღდგა მდინარე ყუბანზე. **თურქეთმა უარი განაცხადა საქართველოს მიმართ პრეტენზიაზე და ვალდებულება აიღო, რომ მის წინააღმდეგ მტრულ ქმედებებს არ განახორციელებდა.1794 წელს იასის ხელშეკრულებით მიღებულ მიწაზე დაარსდა ქალაქი ოდესა.**

**1812 წელს** რუსეთმა დაამარცხა **ნაპოლეონი** და 1814 წლის მარტში პარიზში გამარჯვებული შევიდა. 1815 წელს სწორედ რუსეთის ინიციატივით შეიქმნა „საღვთო კავშირი“, რომლის ძალმოსილებითა და ვენის კონგრესის დასტურით რუსეთმა მიიერთა ცენტრალური პოლონეთის მიწები.

**1800-1809 წლებში** რუსეთი წარმატებით ეომა **შვედეთს** და მიიტაცა **ფინეთი.**

**1804-1813 წლებში** რუსეთმა ომი მოუგო **სპარსეთს** და **გულისტანის ზავით** დაეპატრონა **აზერბაიჯანის** უდიდეს ნაწილს. სპარსეთმა აღიარა რუსეთის მიერ **ქართლის, კახეთის, იმერეთის, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს** მიერთება. რუსეთმა ასევე მიიერთა **სომხეთის ნახევარი.**

**1806-1812 წლებში** რუსეთმა დაამარცხა **თურქეთი** და **ბუქარესტის ზავით** მიიერთა **ბესარაბია,** ანუ დღევანდელი **მოლდოვა.**

**1826-1828 წლებში** რუსეთმა ისევ დაამარცხა **ირანი** და **თურქმანჩაის ზავით** მიიერთა **ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები.** საზღვარმა **სპარსეთსა** და **რუსეთის იმპერიას** შორის მდინარე არაქსზე გადაინაცვლა. რუსეთმა დაიკავა **აღმოსავლეთ სომხეთიც.**

**1828-1829 წლებში** რუსეთმა **თურქეთიც** დაამარცხა და **ანდრიანოპოლის ზავით** რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მდინარე ყუბანის ყელიდან — წმ. ნიკოლოზის ნავმისადგომამდე ციხე-სიმაგრეები **ანაპა, სუჯუკ-ყალე** (ნოვოროსიისკი) და **ფოთი,** ასევე ქალაქები — **ახალციხე და ახალქალაქი.** თურქეთი აღიარებდა საქართველოს რუსეთის ხელში გადასვლას. რუსეთის ხელში გადავიდა **იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი ასევე ერევნის და ნახიჭევანის სახანოები.**

**1830 წელს რუსეთმა** სისხლში ჩაახშო **პოლონეთის აჯანყება,** ხოლო 1849 წელს — **უნგრეთის რევოლუცია.**

**1853-1856 წლების ყირიმის ომში** რუსეთი დამარცხდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მაინც გაიმარჯვა და ამ წარმატებით მარცხის კომპენსირება ასე თუ ისე შეძლო.

**1857 წლის აგვისტოში** რუსეთმა ქართველი გენერლების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით დაასრულა დიდი კავკასიური ომი და კონტროლი დაამყარა მთელ კავკასიაზე.

**1877-1878 წლებში** რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამარცხა **თურქეთი,** რომელსაც **სან-სტეფანის ზავით** და **ბერლინის კონგრესით აჭარა და ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი წაართვა. საქართველოს ტაოკლარჯეთის დიდი ნაწილი დაუბრუნდა.**

**1904-1905 წლებში** რუსეთი დამარცხდა **იაპონიასთან** და **პორტსმუტის ზავით** ცნო **სამხრეთ სახალინის, კვანტუნისა და პორტ-არტურის** გადასვლა იაპონელების ხელში.

**1914-1918 წლებში რუსეთი დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში.**

**1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაამარცხა საქართველო და დაიპყრო თბილისი.**

**1939-1940 წლების ზამთრის ომში** რუსეთის იმპერიის მემკვიდრე **საბჭოთა კავშირმა** დაამარცხა **ფინეთი.** 1940 წლის მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებით, საბჭოთა კავშირს გადაეცა კარელიის ყელი ქალაქებით — **ვიბორგი და სორტავალა** და რიგი კუნძულებისა ფინეთის ყურეში. ასევე რუსეთმა მიიერთა **ფინური ტერიტორიის ნაწილი ქალაქ კუოლაიავარით და ნახევარკუნძული კალასტაიანსაარენტო.** ხელშეკრულების შედეგად ლადოგის ტბა მთლიანად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირს იჯარით გადაეცა **ჰანკოს ნახევარკუნძულის ნაწილი** 30 წლით სამხედრო საზღვაო ბაზის შესაქმნელად.

**1945 წლის 9 მაისს სტალინისა** და **ბერიას** ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა მეორე მსოფლიო ომში და დაამარცხა ფაშიზმი.

**1979-1989 წლებში** საბჭოთა კავშირი დამარცხდა **ავღანეთში,** ხოლო 1991 წელს საბჭოთა კავშირმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადა „ცივ ომში“ და დაიშალა.

**1991-1993 წლებში** რუსეთმა დაამარცხა **საქართველო,** რომელსაც **აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი** წაჰგლიჯა, სამაგიეროდ, 1994-1996 წლებში რუსეთი **ჩეჩნეთთან** პირველ ომში დამარცხდა.

**1999-2009 წლებში** რუსეთმა **ჩეჩნეთის მეორე ომში** გაიმარჯვა და მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე კონტროლი აღადგინა.

**2008 წელს** რუსეთმა **საქართველო** ისევ დაამარცხა და **ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.**

2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთი უკრაინაში იბრძვის...

**რუსეთი, რომელმაც თურქეთს ყველა ცხელი ომი მოუგო, დღეს მასთან „ცივ ომში“ მარცხდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრემლმა ყარაბაღის ომში ვერ დაიცვა თავისი სტრატეგიული მოკავშირე სომხეთი და თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით ასი წლის შემდეგ კავკასიაში კუდი შემოაყოფინა თურქეთს.**

***დიტო ჩუბინიძე***



## რუსეთი, რომელმაც თურქეთს ყველა ცხელი ომი მოუგო, დღეს მასთან „ცივ ომში“ მარცხდება!



# უკრაინის ოთხი ოლქის კვალდაკვალ მოსალოდნელია თუ არა აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება?



**გია ჟორჟოლიანი**, ***პოლიტიკოსი, პოლიტიკური პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ თავმჯდომარე:*** — ვფიქრობ, რაც პუტინმა გააკეთა, რუსეთისთვის უმძიმესი ნაბიჯი იყო. უკრაინის ოთხი ოლქის მიერთება იყო დიდი ზიანი რუსეთის სახელმწიფოსთვის და არა მგონია, კიდევ უარესი გააკეთოს.



**გიგლა ბარამიძე**, ***პოლიტიკოსი, დიპლომატი:*** — ჩემი აზრით, რუსეთის პირველი პირი ამ ეტაპზე ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამს.



**გოგა ხაინდრავა**, ***საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში:*** — პუტინი თუ ომს გამოაცხადებს და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რომლებიც დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, ჯარს შეიყვანს, ეს მათი სტატუსის დაქვეითება იქნება. აქედან გამომდინარე, მათაც არ უნდა სურდეთ რუსეთის შემადგენლობაში ასეთი დამცირებული სტატუსით შესვლა. ასე რომ, არც ისინი მოინდომებენ და არც რუსეთს აწყობს.



**გულბაათ რცხილაძე**, ***პოლიტოლოგი:*** — ვფიქრობ, რუსეთის ხელისუფლებას ამის არც სურვილი აქვს და არც გეგმები, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი მოხდება ვითარების შესაბამისად. რუსეთს ხელს არ აძლევს საქართველოსთან ისედაც დაძაბული ურთიერთობის უფრო დაძაბვა აფხაზეთისა და ცხინვალის გამო. თუმცა, ჩვენ უფრო ფხიზლად და ფრთხილად უნდა ვიყოთ და არ უნდა ვაკეთოთ გამაღიზიანებელი განცხადებები რუსეთის მისამართით. უნდა ვიმოქმედოთ, მაგალითად, რკინიგზის გახსნის მიმართულებით.

**თუკი გვაქვს აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრანზიტული მარშრუტები, გვექნება ჩრდილოეთ-სამხრეთის ტრანზიტული მარშრუტებიც და ამაში ცუდი არაფერია.** თუ ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთ, არ იქნება არავითარი საფრთხე, რომ რუსეთი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო ჩვენს ტერიტორიებს წართმევით დაემუქრება.



**გია გაჩეჩილაძე**, ***მწვანეთა მოძრაობის ლიდერი:*** — ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ეს არ შედის რუსეთის გეგმებში. ამის ინდიკატორია რუსეთთან მიერთებასთან დაკავშირებით ცხინვალის მიერ დაანონსებული რეფერენდუმის შეჩერება და ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ ამ წინადადების საერთოდ გაუქმება. ამ მომენტში არც აფხაზეთისა და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება, ალბათ, არ მოხდება, რადგან ეს რეგიონები არის სერიოზული ბერკეტი პუტინის ხელში საქართველოზე ზეწოლისთვის. ამ ბერკეტს რუსეთი ხელიდან არ გაუშვებს. **იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინაში მიაღწევს მიზანს, რომ იმპერია გააფართოოს და შექმნას უკრაინა-ბელარუსი-რუსეთის ერთიანი სახელმწიფო, მაშინ მოსალოდნელია აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხიც დადგეს.** დიდი იმედი მაქვს, რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს მოგვცემს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი**, ***პოლიტოლოგი:*** — დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიეს და ხერსონის ოლქები და უკრაინის დასავლეთი ნაწილი რუსებმა სსრკ-ის ჩამოყალიბების დროს გადასცეს უკრაინას. ამ დღეებში ჩატარებული რეფერენდუმის დროს აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა 99 პროცენტმა ომის პირობებშიც კი მხარი დაუჭირა რუსეთთან შეერთებას, ამიტომ ეს არის სულ სხვა საკითხი და პარალელების გავლება აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან არ იქნება სწორი.

ჩვენ არ უნდა დავძაბოთ რუსეთთან ურთიერთობა, როგორც ამას ქადაგებს ე.წ. ოპოზიცია, თორემ სრულიად შესაძლებელი გახდება, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად შეუერთდნენ რუსეთს.



**კახა ძაგანია**, ***პოლიტიკოსი:*** — რა თქმა უნდა, რუსეთისგან გამორიცხული არაფერია, ამიტომ საფრთხე ყოველთვის არსებობს. უბრალოდ, ეს დამოკიდებული იქნება, როგორ პოლიტიკას გაატარებს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლება.

ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ალბათ, კმაყოფილი, იქნება რუსეთთან მიერთებით, მაგრამ აფხაზეთში რუსებს პრობლემები შეექმნებათ. აფხაზებმა კარგად იციან, თუ ეს მოხდა, ისინი, როგორც ეთნოსი, გაქრებიან, თუმცა, სავარაუდოდ, რუსეთის ზეწოლებს ვერ გაუძლებენ.

**ახლა აფხაზებს აქვთ უნიკალური შანსი, თქვან — ჩვენ ვართ საქართველოს ნაწილი და ჩვენ მათ დავიცავთ!**



**პეტრე მამრაძე**, ***პოლიტიკოსი:*** — ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. **წლების განმავლობაში რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნებისმიერ დროს პუტინმა ხელი მოაწეროს და ცხინვალის რეგიონი რუსეთის ფედერაციის ნაწილი გახდეს.** აფხაზეთთან მიმართებაში სიტუაცია სხვაგვარადაა. რუსეთმა იცის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს რუსეთთან შეერთება. **ახლა, როცა პუტინი სრულიად არაადეკვატური გახდა, მტკიცება იმისა, რომ ჩვენი რეგიონების მიერთება შეუძლებელია, არ შეიძლება, რადგან მან თავადაც არ იცის, რას გააკეთებს უახლოეს პერიოდში.**

*მოამზადა* ***ირანდა კალანდაძემ***

# ნაცსექტაში დაწყებულია დიდი კეზერაშლილობა!

# კეზერას ფხალი





***ზოგს შეიძლება, უყვარდეს და ზოგს — არა, მაგრამ კეჟერა ფხალს ქართულ სამზარეულოსა და სუფრაზე თავისი ადგილი უკავია, რაც შეეხება კეზერას ფხალს, ეს გახლავთ საქართველოს სინამდვილეში ფეხმოკიდებული პოლიტიკური კერძი, რომლის მირთმევაც ფრიად სახიფათოა ადამიანის არამხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი და მორალური ჯანმრთელობისათვის.***

რა ლაპარაკი უნდა, რომ **კეზერას ფხალი** დამზადებულია სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნის, ფინანსური პოლიციის ექსშეფისა და თავდაცვის ექსმინისტრ **დავით კეზერაშვილის** მიერ, რომელსაც ქართულმა სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა, რადგან გაქცეულია და მართლმსაჯულებას ევროპაში ემალება.

თუ **კეჟერა ფხალი** ადვილი მოსამზადებელია და დიდ ხარჯს არ საჭიროებს, **კეზერას ფხალი** ძალიან ძვირადღირებული კერძია, რადგან **დავით კეზერაშვილის** მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის მოპარული მილიონებით არის დამზადებული.

განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა, რომ **კეზერას ფხალი** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უმოკლეს დროში დამზადდა, რადგან სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უმოკლეს დროში იქცა მულტიმილიონერად **დავით კეზერაშვილი,** რომელიც ხელისუფლებაში, როგორც იტყვიან, ცალ-ცალი კალოშით იყო მოსული.

შესაბამისად, **კეზერას ფხალის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი 2008 წლის აგვისტოში დაღვრილი ქართველი ჯარისკაცების სისხლია, რადგან საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ მრავალი მილიონი დოლარი, რომელიც აგვისტოს ომიდან სულ ცოტა ხანში კეზერას უცხოურ საბანკო ანგარიშებზე აღმოჩნდა, სწორედ ქართველი ჯარისკაცების სისხლზეა ნაშოვნი.**

ასე და ამრიგად, ვინც **კეზერას ფხალს** შეექცევა, ანუ, ვინც **კეზერაშვილის მიერ დაფინანსებულ ტელევიზიაში** მუშაობს, ვინც **კეზერაშვილის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების** წევრია და ვინც **კეზერაშვილის ფულით პოლიტიკურ აქტივობას ახორციელებს,** ყველა თანამონაწილე და თანაზიარია იმ დანაშაულებისა, რომლებიც კეზერას საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე აქვს ჩადენილი.

თქვენ წარმოიდგინეთ, კეზერაშვილის, როგორც დანაშაულებრივი გზით გამდიდრებული ოლიგარქის მიმართ, თვით ნაციონალურ მოძრაობაშიც კი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და სააკაშვილის სექტაშიც არიან ისეთები, ვისაც **კეზერას ფხალისათვის** პირის დაკარება მიუღებლად მიაჩნია.

ის კი არა, ამ ბოლოს დროს **კეზერას ფხალი** ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული განხეთქილების მიზეზად იქცა და **კეზერაშვილის ფხალის** მჭამელებმა და კეზერაშვილის ფხალის არმჭამელებმა ერთმანეთს თავპირი დაულეწეს.

მაგალითად, ნაცაქტივისტი **გიორგი მუმლაძე,** რომელმაც გასული წლის გაზაფხულზე „ქართული ოცნების" ოფისთან საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დაკბინა, ირწმუნება, რომ რამდენიმე დღის წინათ ნაცმოძრაობის ოფისში **ნიკანორ მელიამ** და მისი დაცვის წევრებმა სცემეს.



სააკაშვილის სექტაში **დიდი კეზერაშლილობა** მას შემდეგ დაიწყო, რაც ნაციონალური მოძრაობის ფორმალურმა თავმჯდომარემ **ნიკანორ მელიამ** „პირველი არხის" ეთერში კეზერას „მოოლიგარქო ტიპი" უწოდა და განაცხადა — ყველა ადამიანს ჩამოვართმევ ხელს, ვინც **ოლიგარქ ივანიშვილთან** ბრძოლაში ჩემი მოკავშირე იქნება, მაგრამ **დავით კეზერაშვილი** ასეთად არ მიმაჩნია, იგი პოლიტიკისგან რაც უფრო შორს იქნება, მისთვისაც და ქართული პოლიტიკისთვისაც უკეთესიაო!

მელიას საპასუხოდ ნაციონალური მოძრაობის წევრები — **ლევან ხაბეიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და დავით კირკიტაძე** კეზერაშვილს საჯაროდ გამოექომაგნენ, პოლიტიკური დევნილი უწოდეს, ოპოზიციური მედიასაშუალების დამფუძნებლად მოიხსენიეს და თქვეს, რომ **„ივანიშვილის რეჟიმთან ბრძოლაში ისრების სხვაგან გადატანა არასწორია".**

შესაძლოა, ბევრს მიავიწყდა, მაგრამ **ნიკანორ მელიამ** დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საჯაროდ ჯერ კიდევ 2017 წელს გაილაშქრა, როცა „ტვ პირველის" ეთერში განაცხადა:

***„არა მაქვს მე მორალური უფლება, ვაკრიტიკო ფარცხალაძე სამართლიანად, როდესაც ვიცი, რომ იმ პარტიაში, რომელშიც ახლა პოლიტსაბჭოს ვხელმძღვანელობ, წლების წინ იყო დავით კეზერაშვილი, რომელმაც ყაჩაღობით, ქურდობითა და ძარცვით იშოვა მილიონები".***

თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ **მელიას** პოლიტიკური პრინციპები ერთობ მყიფეა, იგი **კეზერაშვილს** მალევე შეურიგდა, საზღვარგარეთ შეხვდა, ხელი ჩამოართვა, ხოტბა შეასხა — მასთან პარტნიორობას ვაპირებო — და უკანასკნელ ხანამდე აუგად აღარ უხსენებია, მაგრამ **ახლა, როცა კეზერაშვილი ნაციონალურ მოძრაობაში შიდა გადატრიალებას ამზადებს და პარტიის თავმჯდომარედ თავისი რომელიმე ხელისბიჭის, მაგალითად, რომელიმე ლევან ხაბეიშვილის დასმა სურს, მელია ისევ აბობოქრდა, ვითარცა ფანტომასი.**

დიახ,

**მელიას კეზერასთან დაპირისპირება დაფუძნებულია არა იდეოლოგიურ და ღირებულებით შეუთავსებლობასთან, არამედ შიდაპარტიული ძალაუფლებისათვის ბრძოლასთან,**

ანუ ნაცმოძრაობის ფორმალური თავმჯდომარისათვის **ოლიგარქი კეზერაშვილი** იმიტომ კი არ გახდა მიუღებელი, რომ მან მილიონები საქართველოს ბიუჯეტის ძარცვითა და ქართული ჯარისათვის განკუთვნილი სახსრების მითვისებით დააგროვა, არამედ იმიტომ, რომ **კეზერა მელიას** პარტიული ბოსის სავარძლიდან ჩამოგდებას უპირებს.

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, თავად **მელიამაც** დაადასტურა, როცა განაცხადა:

***„როცა შენს პარტნიორს ხელსართმევ, ეს ხელის ჩამორთმევა არ უნდა გულისხმობდეს პოლიტიკური არაფორმალური გავლენის შემოტანას პარტიაში. შესაძლებელია, პარტიაში არაფორმალური გავლენები შემოვიდეს, მე ასეთ ადამიანთან მინდა, შევწყვიტო პარტნიორობა".***

მოკლედ, თუ მითიურ ოქროს ვაშლს, რომელიც განხეთქილების ქალღმერთმა ერიდამ პელევსისა და თეტიდას ქორწილში შეაგდო, ზედ ეწერა — **„ყველაზე მშვენიერს",** განხეთქილების ფხალს, რომელიც კეზერამ ნაცმოძრაობას მოუმზადა, აწერია — **„ყველაზე უღირსს, ყველაზე სულმოკლეს, ყველაფრის მკადრებელს!"**

ნაციონალურ მოძრაობაში იმდენი უღირსი, იმდენი სულმოკლე და იმდენი ყველაფრის მკადრებელია, რომ ერთმანეთს ნამდვილად არ დაინდობენ, ოღონდ კი **კეზერას ფხალი** რაც შეიძლება დიდი ულუფით დაითრიონ. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ **ელენე ხოშტარია,** რომელმაც საჯაროდ დაადასტურა, რომ კეზერაშვილთან პარტნიორობს, ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ „კაგებეს" საკადრო ლაბორატორიის — **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ლიაკა ხოშტარია არამხოლოდ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხულ მილიონობით რუბლზე ზის, არამედ რუსეთ-საქართველოს ომში გამდიდრებული კეზერას სისხლიან დოლარებსაც იკეცავს ჯიბეში.**



**ელენე ხოშტარია არამხოლოდ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხულ მილიონობით რუბლზე ზის, არამედ რუსეთ-საქართველოს ომში გამდიდრებული კეზერას სისხლიან დოლარებსაც იკეცავს ჯიბეში!**

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ქალღმერთ ერიდას მიერ პელევსისა და თეტიდას ქორწილში **განხეთქილების ვაშლის** შეგორება ტროას დანგრევით თუ დამთავრდა, კეზერას მიერ ნაცმოძრაობის ოფისში მოზრდილი გობით შედგმული **განხეთქილების ფხალი** სააკაშვილის პარტიას მარტივ მამრავლებად დაშლის და საბოლოოდ დაანგრევს! ისე, ძალიანაც ლოგიკური და სიმბოლური იქნება, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე კეზერას ხელისბიჭი **ლევან ხაბეიშვილი** გახდეს, რადგან სააკაშვილის პარტიამ თავისი პოლიტიკური და მორალური ლპობის მრავალწლიანი პროცესი სწორედ ასე სამარცხვინოდ და სასაცილოდ უნდა დაასრულოს!

**ძალიანაც ლოგიკური და სიმბოლური იქნება, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე კეზერას ხელისბიჭი ლევან ხაბეიშვილი გახდეს, რადგან სააკაშვილის პარტიამ თავისი პოლიტიკური და მორალური ლპობის მრავალწლიანი პროცესი სწორედ ასე სამარცხვინოდ და სასაცილოდ უნდა დაასრულოს!**

სასაცილოა ისიც, რომ ნაცები ჯერ კიდევ ზაფხულიდან იმუქრებოდნენ — **ხელისუფლებას „ცხელ შემოდგომას" მოვუწყობთო,** მაგრამ „ცხელი შემოდგომა" ნაციონალური მოძრაობის შიგნით დადგა!

ამაზე უნდა ითქვას — **ნაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პარტიაში დაწყებული **დიდი კეზერაშლილობა** აუცილებლად დამთავრდება საქართველოსათვის სასარგებლო შედეგით — **რკინის კასრში გამომწყვდეული პოლიტიკური ვირთხები ჯერ — კეზერას ფხალს, ბოლოს კი ერთმანეთს შეჭამენ და ნაცმოძრაობა, როგორც ყველაზე დიდი და მთავარი ოპოზიციური პარტია, საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს!**

ღმერთმანი, ქვეყანას დიდი ჭირი მოშორდება და ქართული სახელმწიფოს მტრების რაოდენობა ერთით მაინც შემცირდება!

**ჯაბა ხუბუა**

# საოკუპაციო შესატანი ნაცებისთვისაა შესატენი!



ლევან ბეჟაშვილი

***ნაციონალური მოძრაობა ინიციატივით გამოდის, რომ ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილება შევიდეს და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას მოინდომებენ, 1000-ლარიანი გადასახადი დაუწესდეთ.***

როგორც ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ლევან ბეჟაშვილმა** საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ეს უნდა იყოს ე.წ. საოკუპაციო შენატანი, რომელსაც რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ბიუჯეტში გადაიხდიან, თანხა კი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა საჭიროებებს მოხმარდება.

კერძოდ, აი, რას სთავაზობს საქართველოს ხელისუფლებას ნაცი **ბეჟაშვილი:**

*„ჩვენი პარტია და საპარლამენტო ფრაქცია გამოდის ინიციატივით, რომ **„ოკუპაციის შესახებ კანონში“** შევიდეს ცვლილებები. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საოკუპაციო შენატანის გადახდის ვალდებულებას. საოკუპაციო შენატანის თანხა იქნება 1000 ლარის ოდენობით თითოეულ მოქალაქეზე. **ამ გადახდის უზრუნველყოფით, ერთი მხრივ, გარანტირებული იქნება რუსეთის მოქალაქეების მხრიდან აღიარება იმისა, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ და რუსეთი არის აგრესორი. ამავე დროს, ეს შენატანი გარკვეული შემაკავებელი ფაქტორიც უნდა გახდეს, რომ, თუ მათ არ სურთ ამის აღიარება და თანხის გადახდა, შეუძლიათ, არ ისარგებლონ ამ შენატანით და არც შემოვიდნენ საქართველოში“.***

ნაცი ბეჟაშვილის ეს ინიციატივა გენიალური ქართული ფილმის **„შერეკილების“** პერსონაჟს — ექიმ **ნოშრევან კუჭუხიძეს** რომ მოესმინა, მაშინვე წამოიძახებდა: **„ო, რომ იცოდეთ, რა დიდ პატივსა ვცემ მე ტიტანურ აზრებს!“**

ჰოდა, ძალიან საინტერესოა, ეს „ტიტანური აზრი“ — საქართველოში შემოსვლის მსურველი რუსეთის მოქალაქეებისათვის **1000-ლარიანი საოკუპაციო შენატანის** დაწესება — მხოლოდ ლევან ბეჟაშვილის თავში მომწიფდა თუ მთელი ნაცმოძრაობის კოლექტიური ნაფიქრალია?

**ნაცები რახანია, აპელირებენ, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოდინება** საშიშია, რადგან შეიძლება, მათ შორის ბევრი დივერსანტი და სპეცსამსახურის თანამშრომელი იყოს!

**ნაცები რახანია, აპელირებენ, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამკვიდრება** საქართველოს ეკონომიკას კიდევ უფრო დიდი დოზით მიაჯაჭვავს რუსეთის ეკონომიკასთან!

**ნაცები რახანია, აპელირებენ, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამკვიდრება** ქვეყანაში დემოგრაფიულ სურათს შეცვლის!

**ნაცები რახანია, აპელირებენ, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამკვიდრება** რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ნებისმიერ დროს განახორციელოს სამხედრო აგრესია!

ახლა კი იგივე ნაცები აცხადებენ, რომ, **თუ საქართველოში შემომსვლელ რუსეთის მოქალაქეს 1000-ლარიან საოკუპაციო შენატანს გადავახდევინებთ, ყველა ეს რისკი ერთბაშად გაქრება — ვეღარც რუსული სპეცსამსახურების აგენტები და პოტენციური დივერსანტები შემოიპარებიან, ვეღარც ქართული ეკონომიკის რუსულ ეკონომიკაზე დამოკიდებულება გაიზრდება, ვეღარც დემოგრაფიული სურათის შეცვლის საფრთხე იარსებებს და ვეღარც პუტინი მოგვაყენებს ტანკს საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით!**

ხედავთ, რამხელა ძალა ჰქონია 1000-ლარიან საოკუპაციო შენატანს?

გესმით, რამხელა საფრთხეების მოხსნა შესძლებია რუსეთის მოქალაქის მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადახდილ 1000 ლარს?

ო, ყოვლისშემძლე ათასი ლარო!

**ო, საქართველოს გადამრჩენო საოკუპაციო შენატანო!**

**ო, ბრძენთაბრძენო ლევან ბეჟაშვილო!**

საერთოდ, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დეგენერაციის პროცესი დიდი ხანია, დაწყებულია, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, პიკს მიაღწია და სააკაშვილის სექტაში სერიოზულად სჯერათ, რომ ტურისტებად შენიღბული პოტენციური რუსი დივერსანტები თუ „ეფესბეს“ აგენტები საქართველოს საზღვრიდანვე გაბრუნდებიან უკან, რადგან 1000 ლარის გადახდა არ მოუნდებათ!

**სააკაშვილის სექტაში სერიოზულად ფიქრობენ, რომ, ვინც საქართველოში შემოსასვლელად 1000 ლარს გადაიხდის, ის ნამდვილი ტურისტია და გულწრფელად გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას, ხოლო, ვინც 1000 ლარის გადახდას არ მოინდომებს, ის რუსული სპეცსამსახურების ემისარია და საქართველოს ოკუპაციას მიესალმება!**

ღმერთო, აქამდე როგორ ვერავის მოუვიდა თავში მსგავსი ტიტანური აზრი — რუსული სპეცსამსახურების აგენტებისა და საქართველოს ოკუპაციის მომხრეთა მხილება **სულ რაღაც 1000 ლარად!** აწი რაღაში სჭირდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვა და კონტრდაზვერვა — დააწესე **1000-ლარიანი საოკუპაციო შენატანი** და მორჩა!

ნოშრევან კუჭუხიძისა არ იყოს, ჩვენც ძალიან დიდ პატივს ვცემთ ტიტანურ აზრებს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ნაცმოძრაობის ინიციატივა რუსეთის მოქალაქეებისათვის 1000-ლარიანი საოკუპაციო შენატანის დაწესების შესახებ სხვა არაფერია, თუ არა ანტისაოკუპაციო ინდულგენციით ვაჭრობა!**

დიახ,

## როგორც შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესია ვაჭრობდა ინდულგენციებით, ანუ ცოდვათა მისატევებელ სიგელებს ყიდდა, სწორედ ასე უნდათ ნაცებს, ოკუპაციის მისატევებელი საბუთი გაყიდონ!

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ნაცებს სურთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 1000 ლარად გაყიდონ და ეს არც არის გასაკვირი იმ პოლიტიკური ძალისაგან, რომლის ბელადი სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აცხადებდა — ქვების გროვის მეტი არაფერი დაგვიკარგავსო!**

ისე კი, თუ საოკუპაციო შენატანის დაწესებაზეა საუბარი, მსგავსი გადასახადი, უპირველეს ყოვლისა, **სწორედ ნაციონალური მოძრაობისათვის** უნდა დაწესდეს, რადგან სააკაშვილმა და მისმა პარტიამ ყველანაირად შეუწყვეს ხელი რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას!

# ნაცებს სურთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 1000 ლარად გაყიდონ!

დიახ,

## საქართველოს ბიუჯეტში მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იხდიდნენ საოკუპაციო შესატანს ისინი, ვინც ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა რუსეთს ტყვიის გაუსროლელად ჩააბარა!

**საქართველოს ბიუჯეტში მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იხდიდნენ საოკუპაციო შესატანს ისინი,** ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდა!

**საქართველოს ბიუჯეტში მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იხდიდნენ საოკუპაციო შესატანს ისინი,** ვინც 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველის გამზირზე კონცერტი და ტაშ-ფანდურა გამართა, ქართველი ჯარისკაცების ცხედრები კი ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიატოვა!

**საქართველოს ბიუჯეტში მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იხდიდნენ საოკუპაციო შესატანს ისინი,** ვინც საქართველოდან რის ვაივაგლახით გაყვანილი რუსული სამხედრო ბაზები უკან დააბრუნა და კრემლს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარებინა!

იმის გათვალისწინებით, რომ **სააკაშვილს, კეზერაშვილს, უგულავას, მერაბიშვილსა** და სხვებს 9 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონი აქვთ მოპარული, მათთვის დაწესებული ყოველთვიური **საოკუპაციო შენატანი 1000 ლარი კი არა, 100-ჯერ 1000 ლარი უნდა იყოს!**

**იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილს, კეზერაშვილს, უგულავას, მერაბიშვილსა და სხვებს 9 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონი აქვთ მოპარული, მათთვის დაწესებული ყოველთვიური საოკუპაციო შესატანი 1000 ლარი კი არა, 100-ჯერ 1000 ლარი უნდა იყოს!**





**ელენე ხოშტარია, რომელსაც წინაპრის საავტორო უფლებათა ჰონორარის შირმით რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება, კანონით უნდა გახდეს ვალდებული, მთელი ეს თანხა საოკუპაციო შენატანის სახით გადაიხადოს საქართველოს ბიუჯეტში!**

იგივე **ელენე ხოშტარია,** რომელსაც წინაპრის საავტორო უფლებათა ჰონორარის შირმით რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება, კანონით უნდა გახდეს ვალდებული, მთელი ეს თანხა საოკუპაციო შენატანის სახით გადაიხადოს საქართველოს ბიუჯეტში!

რა თქმა უნდა, ნაცები ამით საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის, კრემლის მეხუთე კოლონობასა და შიდა ოკუპანტობას ვერ გამოისყიდიან, მაგრამ მათთვის საოკუპაციო შესატანის დაწესებას მაღალი პოლიტიკური და მორალური ფასი ექნება!

**ასე რომ, საოკუპაციო შესატანი ნაცებისთვისაა შესატენი!**

## იხადონ, სანამ იცოცხლებენ!

ჯაბა ხუბუა

# ლარსის



***მოგეხსენებათ, საქართველოში ლარის კურსი მუდმივად აქტუალურია, რადგან ჩვენი ეროვნული ვალუტა დიდი სტაბილურობით არ გამოირჩევა და მისი კურსის ხშირი ცვლილება პირდაპირ აისახება მოსახლეობის ყოფაზე, თუმცა, ამჯერად არა ლარის კურსზე, არამედ ლარსის კურსზე ვისაუბრებთ, რადგან ბოლო დღეების განმავლობაში ლარსის კურსი საქართველოსთვის და არამხოლოდ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხად იქცა.***

როგორც კი რუსეთის ხელისუფლებამ ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა და უკრაინის ფრონტზე გასაგზავნად რეზერვისტების თავმოყრა დაიწყო, საქართველოს საზღვარს რუსეთის მოქალაქეთა დიდი ნაკადი მოაწყდა, რის გამოც **ლარსის** სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე კილომეტრობით ცოცხალი რიგი დადგა, ხოლო ნაცოპოზიციასა და მისი პროპაგანდისტული ტელეკანალიზაციების ეთერში ისტერიკის ახალი ტალღა აგორდა.

**— შეხედეთ, რა ხდება ლარსზე, რუსი დეზერტირები, რომლებსაც ომში წასვლა არ უნდათ, საქართველოსკენ გამორბიან! საქართველომ რუს დეზერტირებს საზღვარი უნდა ჩაუკეტოს! სასწრაფოდ არის შემოსაღები სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისათვის! ამდენი რუსი დეზერტირის შემოსვლა პირდაპირ ურტყამს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას! ეგენი აქ თუ შემოვუშვით, მერე აქედან წამსვლელები აღარ არიან! რუსი ტურისტები არ გვყოფნიდა და ახლა რუსი დეზერტირებიღა გვაკლდა!** — ასეთ განცხადებებს აკეთებენ ნაცოპოზიციის წარმომადგენლები, ასეთ პროპაგანდას აწარმოებენ ნაცლიბერასტული ტელევიზიები და ასეთ კომენტარებს წერენ სოციალურ ქსელებში ნაცლიბერასტულ პროპაგანდას აყოლილი მოქალაქეები.

კი, **ლარსის** სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან მართლაც დგას გრძელი რიგი!

კი, რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც საზარბაზნე ხორცად ქცევა და უკრაინის ფრონტზე სიკვდილი არ უნდათ, ხსნასა და საშველს საქართველოში ეძებენ!

კი, საქართველოს ხელისუფლება მართლაც უშვებს საქართველოში რუსეთის მოქალაქეთა დიდ ნაწილს, რომელიც თავისი ქვეყნიდან სამხედრო მობილიზაციას გამოექცა!

**და მერე რა?**

**აპოკალიფსი დაიწყო?**

**საქართველოს კბილებამდე შეიარაღებული და ტანკზე ამხედრებული რუსები შემოესივნენ?**

**რუსეთის ათიათასობით მოქალაქე, რომელიც ლარსიდან შემოვიდა საქართველოში, აქ დასახლდება, გამრავლდება და ეთნიკურ უმრავლესობად გადაიქცევა?**

რა თქმა უნდა, არა და ვერა!

რასაკვირველია, საქართველოს მსგავსი არაფერი ემუქრება!

ჯერ ერთი, **ლარსიდან შემოსულ რუსეთის მოქალაქეებს შორის დიდი რაოდენობით არიან ეთნიკური ქართველები, რომლებსაც საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეობა გააჩნიათ და სამშობლოში ბრუნდებიან, რათა რუსულ ჯარში გაწვევასა და უკრაინაში ომს აარიდონ თავი.**

გარდა ამისა, **ლარსიდან** შემოსული რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი საქართველოს, უბრალოდ, ტრანზიტულ დერეფნად იყენებს და რამდენიმე დღეში ტოვებს ჩვენს ქვეყანას — ზოგი თურქეთში გადადის, ზოგი — მეზობელ რესპუბლიკებში და ზოგიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ევროპაში მიფრინავს.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური სტატისტიკაც გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, 21 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში რუსეთის 53 136 მოქალაქე შემოვიდა, ხოლო 34 990 მოქალაქე გავიდა.

იმავე ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რუსეთში მობილიზაციის გამოცხადებამდე, 17-20 სექტემბრის პერიოდში, საქართველოში შემოვიდა რუსეთის 25 606 მოქალაქე, 27 130 მოქალაქე კი გავიდა, **ანუ გასულთა რაოდენობამ შემოსულთა რიცხვს გადააჭარბა.**

საგანგაშო რომ არაფერი ხდება და საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების ნახევარზე მეტი ქვეყანას რამდენიმე დღეში ტოვებს, ამის შესახებ სასტუმროების ფედერაციის დამფუძნებელმა **შალვა ალავერდაშვილმაც** ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი ქვეყნიდან 1-2 დღეში გადის, რის გამოც თბილისში სასტუმროების დატვირთვა, წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაკლებია: **ცალსახად მინდა, ვთქვა, რომ შემოსული რუსეთის მოქალაქეების 50 პროცენტი ეთნიკური ქართველია. მათ შორის არიან ჩემი ნაცნობებიც, რომლებსაც, უბრალოდ, რუსული პასპორტი აქვთ და არ უნდათ ომში წასვლა. სამწუხაროა, რომ საზღვარზე და საქართველოში მათაც იგივე დამოკიდებულება ხვდებათ, რაც ეთნიკურ რუსებს.**



ასე რომ, ლარსზე დამდგარი რიგების გამო **ატეხილი პანიკა და რუსოფობიული ისტერიკა** მხოლოდ ნაცოპოზიციის პოლიტიკური კამპანიის ნაწილია, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს!

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთიდან გამოქცეულ მოქალაქეებს, რომლებსაც უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არ სურთ, დეზერტირებად მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება და ქართული ნაცოპოზიცია მოიხსენიებენ!

## ქართულ ნაცოპოზიციას რომ ვამბობთ, მარტო ეთნიკურ ასპექტს ვგულისხმობთ, თორემ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ეს წმინდა წყლის რუსული ოპოზიციაა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კრემლის ინტერესებს ემსახურებოდა და დღესაც კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს!

აბა, კარგად განვსაჯოთ — **ვის საქმეს გააკეთებს საქართველოს ხელისუფლება, თუ ნაცოპოზიციის მოთხოვნას შეასრულებს და სამხედრო მობილიზაციის გამო რუსეთიდან გამოქცეულ მოქალაქეებს საზღვარს ჩაუკეტავს?**

**ვისი მოკავშირე და დამხმარე იქნება საქართველოს ხელისუფლება, თუ ქვეყანაში არ შემოუშვებს რუსეთის მოქალაქეებს, რომლებსაც არ უნდათ, უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში მიიღონ მონაწილეობა და თავადაც ფრონტზე გაწყდნენ?**

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება **კრემლის საქმეს** გააკეთებს და პუტინის პირდაპირი მოკავშირე გახდება!

ახლა ესეც ვიკითხოთ — **ვის საქმეს აკეთებს და ვისი მოკავშირე გამოდის ნაცოპოზიცია, რომელიც ითხოვს, რომ საქართველოში შემოსვლის უფლება არ მიეცეთ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებსაც უკრაინის ფრონტზე წასვლა და უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობა არ სურთ?**

რა თქმა უნდა, ნაცოპოზიცია **კრემლის საქმეს** აკეთებს და მისი პირდაპირი მოკავშირე გამოდის!

არადა, **საქართველოს ხელისუფლებას მართლა რომ ჩაეკეტა საზღვარი რუსეთის მოქალაქეებისათვის, რომლებსაც უკრაინის ფრონტზე ბრძოლა და უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობა არ სურთ, ნაცოპოზიცია მაშინვე აყვირდებოდა — ივანიშვილის პრორუსული რეჟიმი მშვიდობისმოყვარე რუს მოქალაქეებს საქართველოში პუტინის დავალებით არ უშვებს და კრემლს ეხმარება, რომ ისინი უკრაინის ფრონტზე გარეკოს!**

დიახ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ნაცოპოზიცია სწორედ ამას იტყოდა, რადგან ეს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და პროვოკატორი ოპოზიციაა!

ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაცია იყო ისიც, რომ **რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ელენე ხოშტარიას** პარტიის აქტივისტები საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე, ლარსის საბაჟო პუნქტთან აქციის გამართვასა და „რუსი დეზერტირების“ წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვას ცდილობდნენ, მაგრამ ქართულმა პოლიციამ ეს პროვოკაცია ჩანასახშივე აღკვეთა.

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა **ლიაკა ხოშტარიამ,** რომლის ოჯახსაც რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება, თა-

# ლარსი და

## კვირგვინოსნები

**ანდრო გოცირიძე**
*უსაფრთხოების სპეციალისტი*



ახლა საზღვრების ჩაკეტვას აზრი არა აქვს იმიტომ, რომ **პუტინის რეჟიმის თანამზრახველი და მისი მხარდამჭერი გამოვალთ** ამ ხალხის მობილიზებაში საიმისოდ, რომ უკრაინას უფრო დიდი ძალით შეუტიოს. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რისი გატანა მოახერხა **ბოგაშვილმა** და, ნებსით თუ უნებლიეთ, რა მოახვედრა რუსული სპეცსამსახურების ხელში. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ **ბოგაშვილს** უკავშირდებოდა საფარქვეშ ვინმე რუსი ოფიცერი, რომელზეც მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, იმიტომ, რომ საამისო ელემენტარული ცოდნა არა აქვს.

„კვირის პალიტრა“

**ალექსეი გონჩარენკო**
*უკრაინის რადის დეპუტატი*



საქართველოს მთავრობა **უკრაინას ნუ გამოიყენებს ფარად,** ჩვენ არ მოგვიმართავს, რომ რუსები მიიღოთ.

„პირველი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



რუსეთთან **სავიზო რეჟიმის დაწესება** ნიშნავს დოკუმენტურად გადაწყვეტას, ვინ შემოუშვან და ვინ — არა. **თეთრი სახლიც** ამას ამბობს, **შავპიჯაკიანი უსუფაშვილიც** და საზოგადოებაც ამას ითხოვს.

„ინტერპრესნიუსი“

**ალექსანდრე დარახველიძე**
*შს მინისტრის მოადგილე*



დღის განმავლობაში რუსეთის **5-6 ათასი მოქალაქე** იყო შემომსვლელი, რაც ბოლო პერიოდში **40-45 პროცენტით გაიზარდა.** თითოეული პირის შესწავლა ხდება.

„ინტერპრესნიუსი“

# ლარსი




ვისი დონორებისაგან, როგორც ჩანს, საგანგებო დავალება მიიღო — **ყველაფერი გააკეთე, რომ სამხედრო მობილიზაციისათვის თავის ამრიდებელი რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოხვდნენ და უკრაინის ფრონტზე გაგზავნას თავი ვერ აარიდონო!** იქიდან გამომდინარე, რომ **ხოშტარია** საქართველოში არ იმყოფებოდა და პირადად ვერ მიიღებდა მონაწილეობას **ლარსზე მოსაწყობ პროვოკაციაში,** იქ საკუთარი პარტიის აქტივისტები გაგზავნა, თუმცა, მათ დავალებას თავი ვერ გაართვეს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **გოგის გოგოლიაკა** რუსი დამფინანსებლებისაგან საყვედურს მიიღებს და ამჯერად რამდენიმე მილიონი რუბლით ნაკლებს ჩაურიცხავენ.

საბოლოო ჯამში, შექმნილი ვითარებიდან სამი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ:

**1. ნაცოპოზიცია, რომელიც კრემლს ბანს აძლევს და დეზერტირებს ეძახის იმ რუსებს, რომლებსაც უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობა არ სურთ, რუსული ძალაა!**

**2. რუსული ნაცოპოზიცია ცდილობს, კრემლს უკრაინის ფრონტზე გასაგზავნი რეზერვისტების მობილიზაციასა და უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში დაეხმაროს!**

**3. რუსული ნაცოპოზიციის მიზანია, კრემლს უკრაინის ფრონტზე გასაგზავნი რეზერვისტების მობილიზაციასა და უკრაინელების ხოცვა-ჟლეტაში არამხოლოდ თვითონ დაეხმაროს, არამედ საქართველოს ხელისუფლებასაც იმავეს გაკეთება აიძულოს!**

არადა, მაშინ, როცა რუსული ნაცოპოზიცია ცდილობს, დეზერტირებად მონათლოს და საქართველოში არ შემოუშვას რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც უკრაინის წინააღმდეგ ომი და



ლარსის საბაჟო. 2022 წლის სექტემბერი

უკრაინელების სისხლში ხელის გასვრა არ სურთ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება თეთრი სახლის პრესსპიკერ **კარინ ჟან-პიერის** პირით აცხადებს: **„რუსეთში არის ხალხი, ვისაც არ სურს, იბრძოლოს და დაიღუპოს პუტინის ომში და მათი გზავნილი აშკარაა. ჩვენ გვწამს, რომ მათ, ეროვნების მიუხედავად, შეუძლიათ, აშშ-ში თავშესაფარი მოითხოვონ. მივესალმებით ყველას, ვინც თავშესაფარს ეძებს და მათ ეს უნდა გააკეთონ".**

საინტერესოა, საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი რას ფიქრობს იმაზე, რომ მისი ქვეყანა თავშესაფარს სთავაზობს უკრაინის ფრონტზე წასვლისა და უკრაინელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის თავის ამრიდებელ რუსებს, ხოლო ნაცოპოზიცია იმავე კატეგორიის რუსებს დეზერტირებს ეძახის და ითხოვს, საქართველოში არ შემოუშვან?

**ქალბატონო დეგნან, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი მხარდაჭერილი ნაცოპოზიცია რუსული პროპაგანდის გზავნილებს იმეორებს და კრემლის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს?**

**ქალბატონო კელი, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ლარსის კურსი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებს, კრემლის პოლიტიკას ეწინააღმდეგება, ხოლო ნაცოპოზიციის მიერ გატარებული ლარსის კურსი პირდაპირ კრემლის პოლიტიკის ნაწილია?**

საერთოდ კი, **ლარსის კურსი** საქართველოსათვის ძვირფასი და შეუცვლელი კურსია, რადგან სამშობლოსთან ოთხწლიანი განშორების შემდეგ სწორედ **ლარსიდან** შემოდგა ფეხი ქართულ მიწაზე საქართველოს ხელთავიდან შემქმნელმა **ილია ჭავჭავაძემ.**

სწორედ **ლარსის სტანციაში** დგომისას ფიქრობდა ბუმბერაზი **მწერალი ილია:**

***„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".***

სწორედ **ლარსიდან სტეფანწმინდაში** შემოსვლის შემდეგ თქვა ილიამ მოხევე **ლელთ ღუნიას** პირით — **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"**

სწორედ **ლარსიდან მომავალმა ილიამ** განუსაზღვრა ქართველ ერს მარადიული კურსი და სამოქმედო პროგრამა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"

## დღეს რომ ილია ჭავჭავაძე ცოცხალი იყოს და რუსეთში განათლების მიღების შემდეგ საქართველოში ბრუნდებოდეს, ელენე ხოშტარია და მისი მსგავსი პროვოკატორები მასაც ლარსზე დახვდებოდნენ და აქციას მოუწყობდნენ, როგორც „რუსეთუმეს"!

**ელენე ხოშტარიასა და მთელი ნაცოპოზიციის** სულიერ-იდეოლოგიურმა წინაპრებმა ილია ჭავჭავაძე მოკლეს, მაგრამ მის მიერ ქართველი ერისათვის დასახული კურსი — **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"** — კვლავ ცოცხალია და იცოცხლებს უკუნითი უკუნისამდე!

საქართველოში **ლარის კურსი** ხშირად იცვლება და კიდევ ბევრჯერ შეიცვლება, მაგრამ **ლარსის კურსი** არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება!



ყარსის ხელშეკრულების გაფორმება. 1921 წლის 13 ოქტომბერი

# ყარსი

## ბოლოთქმა

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სექტემბრის ბოლოს **ლარსზე** განვითარებული მოვლენები და ამ მოვლენების კვალდაკვალ ატეხილი აჟიოტაჟი დროში დაემთხვა ყბადაღებული **ყარსის** ხელშეკრულების რატიფიკაციის 100 წლისთავს.

მოგეხსენებათ, რომ თურქეთმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მონაწილეობით, სამშვიდობო ხელშეკრულება **ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს** გააფორმა, ხოლო მისი რატიფიცირება ერევანში მოხდა **1922 წლის 11 სექტემბერს.**

**ყარსის ხელშეკრულებით** ბათუმის ოლქი რამდენიმე ნაწილად გაიყო — **საქართველოს ქალაქი ბათუმი და აჭარა დარჩა, ხოლო თურქეთმა ართვინისა და არტაანის ოლქები მიიღო.** იმავე ხელშეკრულებით, თურქეთმა სომხეთს ქალაქი გიუმრი დაუბრუნა, ყარსი კი თავის შემადგენლობაში დაიტოვა.

**100 წლის წინათ, 1922 წლის 11 სექტემბერს,** გაფორმებული **ყარსის ხელშეკრულების** პირობები ცოტათი უფრო ადრე — **1921 წლის 16 მარტს** გაფორმებული **მოსკოვის ხელშეკრულების** პირობებს იმეორებს, რომლითაც რუსეთმა და თურქეთმა კავკასიის რეგიონში ტერიტორიები გადაინაწილეს.

როგორც ისტორიისა და გეოპოლიტიკის სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, **ყარსის ხელშეკრულება** მისი რატიფიკაციიდან 100 წლის შემდეგაც საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და არსებობს საფრთხე, რომ იმპერიული მადისა და მისწრაფების მქონე ორი ქვეყანა — **პუტინის რუსეთი და ერდოღანის თურქეთი** კავკასიის ახლებურ გადანაწილებაზე შეთანხმდებიან, რამაც შეიძლება, საქართველოს კიდევ მეტი ტერიტორია დააკარგვინოს.

ასე რომ, **100 წლის წინათ რატიფიცირებული ყარსის ხელშეკრულება და 100 წლის შემდეგ ლარსის საბაჟოზე შექმნილი საგანგებო ვითარება** ქართულ სახელმწიფოს განსაკუთრებული სიფრთხილისა და გონიერებისაკენ უბიძგებს!

ქართული სახელმწიფოს ერთი არასწორი ნაბიჯი, ერთი პოლიტიკური შეცდომა და შესაძლოა, **ყარსი და ლარსი** საქართველოსთვის პოლიტიკურ **სოდომად და გომორად** იქცეს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მალხაზ გულაშვილი**
*მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" დამფუძნებელი, პრეზიდენტი*



**ეს ცხოვრება ბუმერანგივითაა** — ვინ იფიქრებდა, რომ ამდენი ხნის მერე, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, **რუსი მოქალაქეები ისეთ დღეში ჩავარდებოდნენ, რომ საკუთარი ქვეყნიდან კისრისტეხით გამოიქცეოდნენ!**

TV „ჯორჯიან თაიმსი"

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ჩვენს ხელისუფლებას აქვს კარგი შანსი, **რომ ჩაკეტოს საზღვარი.** ამჯერად რუსეთს ეს არ ეწყინება. ეტყვიან, რომ მათ მობილიზაციაში უწყობენ ხელს. **თუ არ ჩაკეტავენ,** მაშინ ფილტრაცია მაინც მოახდინონ, შეავსებინონ დოკუმენტი, რომლითაც შემომსვლელები აღიარებენ, რომ **არ სურთ ომში წასვლა და გააკეთებენ განაცხადს პოლიტიკური დევნილის სტატუსის მოთხოვნით.**

„კვირის პალიტრა"

**დავით ქაცარავა**
*ანტიოკუპაციური მოძრაობის ლიდერი*



ქოცებო! **ჩაკეტეთ საზღვარი!** რატომ უშვებთ საქართველოში იმ რუსებს, ვისაც მობილიზაცია უწევთ რუსეთში! **თქვენ საქართველოში უშვებთ დეზერტირებს და ამით აღიზიანებთ პუტინს!** ომი გინდათ, დავიჯერო?

„ალია"

**ლევან ბეჟაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



გამოვდივართ ინიციატივით, რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლისას **1000-ლარიანი საოკუპაციო შენატანი** დაწესდეს.

„პირველი არხი"

# „ისტორიულად პირველ ბრძოლას ყოველთვის რუსები აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ომს ამთავრებდნენ მოწინააღმდეგეთა დედაქალაქებში გამარჯვების დროშის აღმართვით!“



**დავით მარტიაშვილი:**

***„კონტრშეტევის სამზადისში რუსეთმა პლანეტის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ საკუთარ ტერიტორიაზე ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. ომის ქარცეცხლი დღითი დღე უახლოვდება საქართველოს ისედაც მორყეულ საზღვრებს და ძნელად წარმოსადგენია, ამ მასშტაბურმა ომმა ჩვენს სამშობლოს გვერდი აუაროს!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოსა და უკრაინაში ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილემ, ჯერ საქართველოდან და ამჟამად უკვე უკრაინიდანაც პოლიტიკურმა დევნილმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით მარტიაშვილმა:***

— უკლებლივ ყველა ომში ვიომე, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან გადაიტანა. შემდეგ ისე მოხდა, რომ სააკაშვილის რეჟიმს უკრაინაში გავექეცი, სადაც 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით მიმდინარე სამხედრო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში ვღებულობდი მონაწილეობას. **უკრაინას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევ, გულწრფელად მიყვარს უკრაინელი ხალხი და გულწრფელად განვიცდი გარემოებას, რომ ეს მრავალჭირნახული ერი დღეს კოლექტიური დასავლეთის ხელში რუსეთის წინააღმდეგ მანიპულატორად და მძევლად გადაიქცა...** ასეთი ობიექტური რეალობა უკრაინაში მას შემდეგ დადგა, რაც ყოფილ პრეზიდენტ **პოროშენკოს** ძალაუფლება ჩამოართვეს და ოლიგარქ **კოლომოისკის** პირად ჯამბაზს, **ნარკომან ზელენსკის** გადასცეს!

უკრაინელების ერთ ნაწილს სჯეროდა, რომ ზელენსკი ომს შეაჩერებდა, თუმცა, მე ჯერ კიდევ 3 წლის წინ ვიწინასწარმეტყველე, რომ არამცთუ ომს ვერ შეაჩერებდა, ზელენსკი უკრაინას საბოლოოდ დაშლიდა, რაც დღეს ხდება! სხვათაშორის, **უკრაინის დაშლა იმ ფილმშიცკი არის ნაწინასწარმეტყველევი, რომელშიც ჯამბაზი ზელენსკი მთავარ როლს ასრულებს!**

**— მაგრამ განა ახლახან ზელენსკის უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებას არ მიაღწია?**

— საქმე იმაშია, რომ იმ ძალიან მცირე სამხედრო კონტინგენტით, დაახლოებით 100 ათასი ჯარისკაცით, რომელიც რუსეთმა უკრაინაში თავიდან შეიყვანა, მასშტაბური სამხედრო ოპერაციების წარმოება შეუძლებელია, ვინაიდან უკრაინას ჰყავდა 250 ათასი სამხედროთი დაკომპლექტებული ჯარი და დამატებით 500 ათასი რეზერვისტი. რუსეთს ძალები აღარ ჰყოფნიდა და წერტილოვან დარტყმებზე ამიტომაც გადავიდა.

ახლახან უკრაინის გენერალურმა შტაბმა რუსების შეცდომაში შეყვანა შეძლო, როდესაც მთელი ზაფხულის განმავლობაში ქალაქ ხერსონზე შეტევას აანონსებდა და რუსებს მთელი საბრძოლო რესურსი იქით გადაატანინა; თუმცა, მთავარი დარტყმა განახორციელა არა ხერსონზე, არამედ ხარკოვის მიმართულებით! **უკრაინის სამხედრო ნაწილები შევიდნენ, ფაქტობრივად, მიტოვებულ ქალაქებში, რუსების მხრიდან მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე და ვიმეორებ, ეს გარემოება აიხსნება ან რუსების შეცდომით, ან იმით, რომ ხარკოვის შეტოვებით მათ უკრაინელებს ხაფანგი დაუგეს.** მდგომარეობას, რაშიც ახლა უკრაინა იმყოფება, ყველაზე უკეთ შეესაბამება რუსული გამოთქმა: „სიმშვიდე ქარიშხლის წინ“, რადგან პუტინს საშუალება მიეცა, რუსეთში მთლიანი ან ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოეცხადებინა, რაც გააკეთა კიდეც.

უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთს უწევს ომი არამხოლოდ კოლექტიური დასავლეთის მიერ მომზადებულ ფორმირებებთან და უკრაინაში გაგზავნილ საბრძოლო ტექნიკასთან, არამედ მძლავრ საინფორმაციო პროპაგანდასთანაც, რაც რუსეთის წინააღმდეგ მსოფლიო საზოგადოების განწყობას ისახავს მიზნად. დრო დადგება და ყველაფერს ნათელი მოეფინება. აგერ, ინგლისელმა ჟურნალისტმაც აღიარა, ამ პროპაგანდის ფარგლებში, როგორ ალაგებდნენ გზებზე დაღუპული უკრაინელების ცხედრებს, სინამდვილეში კი, რუსები არასოდეს ურტყამდნენ უკრაინაში სამოქალაქო ობიექტებს, კიევის სამთავრობო კვარტალში ერთი რუსული ბომბიც კი არ ჩამოვარდნილა!

რუსეთი თავიდან მართლაც ინდობდა უკრაინის მოსახლეობას და ცდილობდა, მათი მხრიდან აგრესიული განწყობა არ გამოეწვია. **ხშირ შემთხვევაში უკრაინის სამხედრო ძალები თავადვე ბომბავდნენ საკუთარ მოსახლეობას, რათა დასავლური ანტირუსული პიარისთვის საფუძველი შეექმნათ.** რასაც ახლა გეუბნებით, ჩემთვის ხარაკირის ტოლფასია, მაგრამ ეს არის ერთადერთი სიმართლე და დადგება დრო, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება! **არესტოვიჩმა** ხომ თავადვე აღიარა, რომ ამ ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე 1 თვით ადრე ზუსტად იცოდნენ შეჭრის დღე და საათი, ამის მიუხედავად, არამცთუ არ იზრუნეს, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა იქიდან გაერიდებინათ, პირიქით — მძევლად ჩაუტოვეს რუსებს!

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას — ფრონტის ხაზი ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული, დროებითი „წარმატება“ კი ერთი მიმართულებით შემოიფარგლება. **თუ დასავლურ პროპაგანდას გამოვრიცხავთ, არაფერი საზეიმო აქ არ არის! რაც ყველაზე მთავარია, ისტორიულად პირველ ბრძოლას ყოველთვის რუსები აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ომს ამთავრებდნენ მოწინააღმდეგეთა დედაქალაქებში გამარჯვების დროშის აღმართვით!**

**— მიგვანიშნებთ, რომ ეს ომიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდება?**

— სხვაგვარი შედეგი, უბრალოდ, გამორიცხულია. რუსეთს ყველა რესურსი გააჩნია ხანგრძლივი ომის საწარმოებლად: წიაღისეული, რაც იარაღის წარმოებას სჭირდება, ქვეყანაში მოსახლეობის განწყობა... მოკავშირეებიც მრავლად ჰყავს. **უბედურება ის არის, რომ ამ ომს ძალიან ბევრი ადამიანი შეეწირება. მსოფლიო ორად გაიყო: კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობა — რუსეთის, ხოლო ლიბერალები ამერიკის გარშემო ერთიანდებიან.** ამასობაში, ბირთვული ომის საფრთხეც გამოიკვეთა. პუტინმა, რომელსაც რუსეთის მოსახლეობის 85 პროცენტი უჭერს მხარს, საჯაროდ განაცხადა, რომ არ დაუშვებს ისეთი მსოფლიოს არსებობას, რომელშიც რუსეთის ადგილი არ იქნება!

**რუსეთს აქვს სისტემა, რომელსაც „მკვდარი ხელი“ ჰქვია. სამეთაურო პუნქტში ყველა რომ დაიხოცოს, კომპიუტერი წინასწარ დაპროგრამებული მიზნების მიმართულებით საბოლოო დარტყმას ავტომატურად გააკეთებს.** მსოფლიოში საერთაშორისო სამართალი მოკვდა. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება სამართლის ნორმების გვერდის ავლით მიმდინარეობს. გაერო ლიბერასტების შტაბბინად გადაიქცა.

**— ამასობაში, ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ოკუპირებულ აფხაზეთს სტუმრობს. ნუთუ 2018 წლის 22**

## რასაც ახლა გეუბნებით, ჩემთვის ხარაკირის ტოლფასია, მაგრამ ეს არის ერთადერთი სიმართლე და დადგება დრო, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება!

# «ომი სულ უფრო ახლო მოდის საქართველოსთან!»

## კვირგვინოსნები



**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*

2008 წელს, როცა **სააკაშვილმა** და მისმა გარემოცვამ მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინეს თავი, ამერიკელები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ **საქართველოს სათავეში რუსეთის ინტერესების გამტარებელი ხალხი იდგა.** სააკაშვილის თანაგუნდელი **გივი თარგამაძე** ხვდებოდა რუს ოპოზიციონერებს, საუბრებს იწერდა და შემდეგ ჩანაწერებს რუსეთის ფსბ-ს გადასცემდა.

„ახალი თაობა“



**მატეუშ მორავეცკი**
*პოლონეთის პრემიერ-მინისტრი*

**პუტინის** რეჟიმი სუსტდება, შესაძლოა, უახლოეს მომავალში **აგრესიის ესკალაცია** ვიხილოთ.

„რეზონანსი“



**ახმედ ზაკაევი**
*ჩეჩნეთის დევნილი მთავრობის ხელმძღვანელი*

უკრაინის გამარჯვების შემდეგ **ჩეჩნეთის დეოკუპაცია** რამდენიმე დღეში მოხდება.

„ახალი თაობა“



**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

საჭიროების შემთხვევაში, **რუსეთს უფლება აქვს, გამოიყენოს ბირთვული იარაღი.**

„რეზონანსი“



**პაატა დავითაია**
*„ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე*

**ინალ არძინბასა და სერგეი ლავროვს** შორის დადებული შეთანხმება დაავალდებულებს ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს, **დაექვემდებარონ მობილიზაციას** და მიიღონ მონაწილეობა უკრაინის ომში.

„ინტერპრესნიუსი“

# „უკრაინის დაშლა იმ ფილმშიც კი არის ნაწინასწარმეტყველევი, რომელშიც ჯამბაზი ზელენსკი მთავარ როლს ასრულებს!"





კადრები სერიალიდან „ხალხის მსახური". ზელენსკის პერსონაჟი – უკრაინის პრეზიდენტი შესცქერის ნაწილებად დაშლილ უკრაინის რუკას.

**მარტს ხელმოწერილი თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულების უარყოფას (რომელიც სუვერენული თანასწორობის პატივისცემას და აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის ცნობას ეფუძნება) და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" აღიარებას აპირებს?**

— 2018 წლის ხელშეკრულების კი არა, უკრაინაში ომის დაწყების დღიდან, ანუ 24 თებერვლიდან მსოფლიო ის აღარ არის, რაც მანამდე იყო. შესაბამისად, არცერთი ხელშეკრულება რეალობაში აღარ მუშაობს! იმედს მაძლევს ის ფაქტი, რომ არც **ლუკაშენკოს** და არც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მეთაურ **ასლან ბჟანიას** სიტყვა „ვიზიტი" არსად უხსენებიათ. თანაც, არც სოხუმში შემდგარა ეს შეხვედრა, რაც ოფიციალური ვიზიტის შემთხვევაში პროტოკოლით აუცილებლად მოხდებოდა. ჯერ ერთი, ლუკაშენკო ამას სპონტანურად არ გააკეთებს და მეორე, აღიარება თუ ენდომებოდა, ამისათვის იქ ჩასვლა არ იყო საჭირო. **ხარკოვის ოპერაციაში რუსეთის არმიის წარუმატებლობის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება თუკი აქამდე თავშეკავებას ავლენდა, აიწყვიტა და რუსეთის პოტენციურ მოწინააღმდეგეებს ერთგულებას ეფიცება!** ამასთან ერთად, საომარი რიტორიკა გაორმაგდა და ნაცებიდან აქამდე ჩუმად მყოფ ქოცებსაც მოედო, როდესაც **ირაკლი კობახიძემ** მეორე ფრონტის გახსნა არ გამორიცხა. კონტინენტზე მიმდინარეობს ომი, რომელიც სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს, რომელიც სულ უფრო ფართოვდება და უშუალოდ ჩვენ გვიახლოვდება.

**ლუკაშენკოს სიტყვების ქვეტექსტი ისევე, როგორც მისი აფხაზეთში ჩასვლა, პირველ რიგში, იყო გზავნილი საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველი ერისთვის.** ჩვენს ხელისუფლებას მან მიანიშნა საომარი რიტორიკისგან გამიჯვნისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აფხაზებს მარტო არ დატოვებენ! ასევე ამით მან დაამშვიდა აფხაზები, რომლებიც ბოლო დღეებში ინტენსიურად აცხადებდნენ საქართველოს მხრიდან თავდასხმის ალბათობაზე.

ბელარუსის პრეზიდენტის სიტყვები, ნათქვამი **ქიშმარიასთვის,** რომ „ჩვენ ვიმყოფებით ჩვენს სახლში და ბედნიერება საკუთარ სახლში უნდა ვეძებოთ", ჩემი აზრით, იყო გზავნილი ქართველი ერისათვის, რომ **აქ სტუმარი მხოლოდ ამერიკაა,** რომელსაც წასვლა აუცილებლად მოუწევს. დიახ, ბედნიერება საკუთარ სახლში ეძებეთო და არა ოკეანის გადაღმა, რადგან ქართველების, აფხაზებისა და ოსების ერთად ცხოვრება მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებაო შესაძლებელი!

ომი სულ უფრო ახლო მოდის საქართველოსთან, რასაც ემატება რუსეთ-ირანის მოკავშირეობა, სადაც თურქეთი ხილულად მათი მეგობრის როლში გვევლინება.

**— გამოდის, რომ ამ ფონზე გაუაზრებელმა ნაბიჯებმა შესაძლებელია, გამოიწვიოს საქართველოს ტორტივით დაჭრა-დანაწილება.**

— ის მოსაზრება, რომ რუსეთი საქართველოს არ დაუთმობს თურქეთს — მცდარია! კონტინენტზე ძალაუფლება იცვლება, მიმდინარეობს ამერიკის განდევნა, რასაც, რა თქმა უნდა, ახალი რეალობა მოჰყვება და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 500 წელია, სამივე ქვეყანას ერთი ინტერესი აქვს საქართველოსთან მიმართებაში, სრულიად დასაშვებია, რომ მოკავშირეებს შორის მოხდეს საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***





# საკაშვილმა პატიმრობის წლისთავი აღნიშნა!

## საკაშვილო, კარგ ადგილას ხარ და შეირგე!

***მაშინ, როდესაც თავად ნაცსექტასაც აღარ ახსოვს თავიანთი ფიურერი, ნამდვილად არ გამახსენდებოდა, სააკაშვილის დაპატიმრებიდან ზუსტად ერთი წელი რომ შესრულდა, მაგრამ ეს თარიღი თავად პატიმარს არ გამორჩენია და ციხიდან ტექსტი აფრინა სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად!***

ფეისბუქ-პოსტში სააკაშვილი წუხს — **თანამედროვე ქართული არმიის შემქმნელი, ახლა პატიმარი რატომ ვარ, როდესაც ჯავშანჟილეტითა და ავტომატით უკრაინის ფრონტზე უნდა ვიბრძოდეო!** აი, სწორედ ასე იძახის — **მე პარაშასთან კი არა, ომის წინა ხაზზე უნდა ვიყოო!** ავტომატიანი სააკაშვილი, ალბათ, ძალიან სასაცილო სანახავი იქნებოდა, მითუმეტეს, როცა გახსოვს ჯავშანჟილეტში გამოსარდელებული როგორ გორავდა გორში 2008 წლის 10 აგვისტოს. საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, მთელი მსოფლიოს თვალწინ, როგორ მიირთმევდა თავის წითელ ჰალსტუხს! ჰოდა, აბა, რა ავტომატი და ჯავშანჟილეტი, რის ჩაფხუტი და „გარშოკი" აგიტყდა, როცა საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რა რემბობოევიკიც ბრძანდები!

ჰო, სააკაშვილი თავს პატიმრად კი არა, ტყვედ მოიხსენიებს — **აი, უკვე 365 დღეა, პუტინის ტყვეობაში ვაროო!** ანუ რა გამოდის, თურმე, პუტინს ისე ეშინია, სააკაშვილი ფრონტზე არ მოუვარდეს ავტომატით, რომ ციხეში ჰყავს გამოკეტილი. **ტყვეობაზე კი არა, ნაცთა ფიურერმა იმაზე უნდა ილაპარაკოს მოწიწებითა და მადლიერებით, რომ ამ გაგანია ომის დროს, მართლაც უკრაინაში არ არის, თორემ მისი ვაჟკაცობის ამბავი რომ ვიცით, ხომ შეარცხვენდა ნეზალეჟნაიას.**

ის კი არა, უკრაინის ხელისუფლებამ მადლობაც კი უნდა უთხრას საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ ძნელბედობის ჟამს ეს „ისტერიჩკა" იქ არ არის, თორემ, დიდი ალბათობით, პანიკიორობისა და უღირსი საქციელისთვის შესაძლოა, ადგილზეც დაეხვრიტათ, ომის კანონების შესაბამისად!

**აბა, ახლა უკრაინაში ტელეკამერების წინ ჰალსტუხის ჭამა რომ დაეწყო ან ჯავშანჟილეტში გამოსარდელებულს, შიშისაგან მიწაზე ეგორა, ხომ მიახვრეტდნენ უკრაინელი ბოევიკები?!**

მოკლედ, სააკაშვილო, კარგ ადგილას ხარ და შეირგე!

ახლა, მაინცდამაინც ომობანას თამაში თუ გინდა, ხომ შემოდის შენს სანახავად **ეკა ხერხეულიძე** და იმას ეთამაშე, ვითომ გესტაპოელი ქალია, შენს გადაბირებას აპირებს და გაწამებს... მაგრამ მაინც არ ნებდები! **ისე, ამ ყველაფრის კვალობაზე, როგორც იტყვიან, პირდაპირ დააკვდაო, ისეთი დიაგნოზი დაუსვა მიშიზმს სააკაშვილის ძველმა თანამებრძოლმა თამარ ჩერგოლეიშვილმა:** მიშიზმი — ვენერიული დაავადებააო! ვინ-ვინ და, ჩერგოლეიშვილმა უკეთ იცის ეს ყველაფერი, რადგან თავად და მის მეუღლესაც აქვთ გადატანილი მიშისტობა!

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ცხოვრებაში პირველად ვეთანხმები ბოკერიას თანამეცხედრეს — **მიშიზმი მართლა ვენერიული დაავადებაა! და თუ სააკაშვილის მიერ ნაცსექტაზე უარის თქმასა და თავად ნაცსექტაში მიმდინარე სააკაშვილისაგან განწმენდა-დაშლის პროცესს გავითვალისწინებთ, ყველაფერი ძნელ, მაგრამ მაინც გამოჯანსაღებისკენ მიდის!**

ფაქტია, ამ ერთწლიან პატიმრობა-მკურნალობას უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია!

მითუფრო, რომ ვენერიული დაავადება მართლაც ძალიან ვერაგი რამ არის!

***გიორგი გიგაური***



## ჩერგოლეიშვილმა მიშიზმი ვენერიულ დაავადებად გამოაცხადა!

## კვირგვინოსნები

**გია გენაძე**
*უკრაინაში მცხოვრები*



როცა ომია და ოკუპანტი გკლავს, **ამ დროს მთავარი ოპოზიციური პარტია ითხოვს 1 000 ლარს** ბიძინას ბიუჯეტში იმ ხალხისთვის, ვინც ჩვენ გვკლავს, დიდი ბოდიში, ძმებო, მაგრამ **უკრაინაში არ დაგინახოთ!**

„პირველი არხი"

**გივი სიხარულიძე**
*მწერალი, მსახიობი*



შემოვუშვათ მხოლოდ ქალები, კაცები — არა. **თუ მხოლოდ ქალებს შემოუშვებენ, არანაირი პრობლემა არ იქნება,** ვიქნებით მშვენივრად, პირიქით, ეს იქნება სამოთხე... ეს ყველაფერი ვიხუმრე. მგონია, რომ ჩვენ არავის უნდა გადავუკეტოთ გზა. **რუსების შემოშვების წინააღმდეგი არ ვარ.**

„რეზონანსი"

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, **პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი.** მოსკოვში რევოლუციას გამოვრიცხავ.

„ახალი თაობა"

**ანკა ფელდჰუზენი**
*უკრაინაში გერმანიის ელჩი*



ნატოში ყოველდღე მსჯელობენ იმაზე, როგორ უპასუხონ რუსეთს **ბირთვული დარტყმის** შემთხვევაში.

„რეზონანსი"

**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



**ბირთვული ომის** შედეგები კატასტროფული იქნება, ამაზე არც უნდა ვიფიქროთ — საკითხის **დიპლომატიური გზით** გადაჭრა ერთადერთი გამოსავალია.

„იმედინიუსი"

# „რასაც ვამბობ, შეიძლება მწარე სიმართლეა, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას!“



## ლალი მოროშკინა:

# ბირთვულ ომამდე ნახევარი ნაბიჯია!

***მას შემდეგ, რაც პუტინმა მობილიზაციის შესახებ გამოაცხადა, მსოფლიო ბირთვულ ომზე ალაპარაკდა. რა ხდება რეალურად ოფიციალური განცხადებების მიღმა და რა შეიძლება მოხდეს მომავალში? პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს პიარტექნოლოგი, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა აკეთებს:***

— რეალობა არის ერთი — ბირთვულ ომამდე ნახევარი ნაბიჯია! იმის გასარკვევად, თუ როგორ და რატომ მივედით აქამდე, ერთ მთავარ შეკითხვას უნდა ვუპასუხოთ — **ვინ ააფეთქა ჩრდილოეთ ნაკადი?!**

**— თქვენი პასუხი როგორია?**

— ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პროექტი, რაც კი ოდესმე განხორციელებულა, შესაბამისად, როგორც მისი მონტაჟი, ასევე დემონტაჟი ან აფეთქება მხოლოდ ბირთვული ზესახელმწიფოს მიერ არის შესაძლებელი. თუ გავეცნობით **პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ტვიტერზე გამოქვეყნებულ განცხადებას,** სადაც ამერიკას მადლობა გადაუხადა და **ბაიდენის თებერვლის გამოსვლას** — ნებისმიერი ძალით შევაჩერებთ ჩრდილოეთ ნაკადსო, ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ამაში ამერიკის ხელი ურევია!

### 21-ე საუკუნეში არაფერი იმალება, რა წუთშიც დამტკიცდება ეს ფაქტი, რუსეთი მაშინვე დაარტყამს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს!!!

**— ფიქრობთ, საქმე აქამდე მივა?**

— გაზსადენის ხელყოფა სახელმწიფოს ხელყოფის ტოლფასია. დოქტრინაშიც ასე წერია. დააკვირდით, რა თქვა **ანგელა მერკელმა** ორიოდე დღის წინ — **ნუ ეთამაშებით პუტინს, ის მზად არის ბირთვული ომისთვისო.** თუ აქამდე ევროპელები ამბობდნენ, პუტინი „ბლეფობსო“, ფაქტობრივად, მერკელმა ამ განცხადებით წერტილი დაუსვა ყველაფერს. ნუ დაგვავიწყდება, მან **პუტინთან** ერთად გაიარა გერმანიის სამხედრო სადაზვერვო სკოლა. საგულისხმოა **შოლცის** განცხადებაც — ვეღარ დავეხმარებით უკრაინასო!

გაზსადენის აფეთქების შემდეგ ომი სხვა ფაზაში გადავიდა. **კლოუნი ზელენსკი** ჩაჩოჩდა და წინა პლანზე მთავარმა ფიგურანტებმა — **პუტინმა და ბაიდენმა** წამოიწიეს. მობილიზაციის გამოცხადებით, რუსეთის პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, მზადყოფნა გამოთქვა უფრო დიდი ომისთვის! თვისობრივად შეიცვალა ომის ვექტორიც. თუ ადრე ეს ყველაფერი უკრაინაში რუსეთის შეჭრად ფასდებოდა, ახლა დაბრუნებული ტერიტორიებით და რეფერენდუმის გაცხადებული პასუხებით გამოვა, რომ ეს რუსეთის ტერიტორიაა და თავს იცავს.

რუსეთმა ოთხი რეგიონი დაიბრუნა, რომელიც ოდესღაც მათი იყო და ეთნიკური რუსებით გახლავთ დასახლებული. თანაც ეს ყველაფერი ისე გაფორმდა, რომ ხმის ამოღებაც ვერავინ შეძლო. ვინმეს არ ეგონოს, რომ პატარა ტერიტორიებია!

**— ბოლო დროს არაერთი ინფორმაცია გავრცელდა უკრაინელების გამარჯვებების შესახებაც...**

— ზუსტად ის სცენარია, რაც საქართველოში 2008 წელს გათამაშდა, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით. ასე არ იყო ჩვენთანაც ომის წაგების კვალდაკვალ, როცა სააკაშვილმა გამარჯვების ყიჟინაც კი შემოჰკრა — სოფლებსა და ტერიტორიებს ვიბრუნებთო... სამწუხაროდ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მედია ერთი მესიჯბოქსით იმართება და კაცობრიობის დიდმა ნაწილმა არ იცის, რა ხდება სინამდვილეში. **რასაც ვამბობ, შეიძლება მწარე სიმართლეა, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას!**

**— შეგიძლიათ, თამამად თქვათ...**

— უკრაინა ამ ომს ვერ მოიგებს, მეტიც — უკვე წააგო! ევროპა, რომელიც ამ სიტუაციიდან ყველაზე მეტად დაზარალდა, შოკშია. პირველი დარტყმა ლტოლვილების სახით სწორედ მან მიიღო. გაზის გარეშე დარჩენილები გამალებით ყიდულობენ ელექტროგამათბობლებსა და ლეიბებს და ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან, რომ არამხოლოდ გაზის, შუქის პრობლემაც შეექმნებათ.

ზელენსკის კომიკური ფიგურა საპნის ბუშტივით ჩაიფუშა. სხვათაშორის, არაერთხელ აღვნიშნე, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზეც, რომ მის ადგილზე სააკაშვილს ამზადებდნენ. 2014 წელს იგი ზუსტად იმ მიზნით გაემგზავრა უკრაინაში, რომ ქვეყნის გადაბარება მოემზადებინა, მაგრამ ბოლო მომენტში აქცენტი ზელენსკიზე გაკეთდა, როგორც უფრო ნიჭიერ და დამყოლ კადრზე. **ჩათვალეს, რომ ზელენსკი ამ როლს უკეთესად ითამაშებდა და რეალურად ასეც მოხდა. თუმცა, ბოლო სერიაში ვხედავთ, რომ ის კოკაინზეა შემჯდარი, გონი აქვს დაკარგული, შინაპატიმრობაში ჰყავთ, მარტო არსად უშვებენ.** მასაც სხვა გზა არა აქვს, დამკვეთის დავალება ბოლომდე უნდა შეასრულოს. კიდევ ერთხელ ვამბობ — მან ძალიან დიდი ფულის სანაცვლოდ გაწირა საკუთარი ხალხი და ქვეყანა!

ძნელი სათქმელია, დასრულდება თუ არა ეს ყველაფერი საპასუხო გასროლით. ან იქნებ გონს მოეგოს ამერიკა და ომის პრეზიდენტი — ბაიდენი ჩამოიშოროს. **ფაქტია, რომ მსოფლიოში ურთულესი, ძალიან საშიში ვითარებაა და ამ სიტუაციიდან როგორმე ნაკლები დანაკარგით უნდა გამოვიდეთ.**

**ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციებს, მათ შორის, ლუკაშენკოს აფხაზეთში ჩასვლას, კარგად გააზრებული მოქმედებებით უნდა ვუპასუხოთ.**

**— მაინც, როგორ უნდა ვუპასუხოთ იმ ქვეყნის ლიდერს, რომელიც არაღიარებულ აფხაზეთში ჩავიდა და კამერების წინ იპოზიორა?!**

— ხელისუფლებამ ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტთან დაკავშირებით უკმაყოფილება უკვე გამოხატა და ეს აბსოლუტურად ნორმალური რეაქცია იყო. **ბევრად უკეთესი იქნებოდა, ის თბილისში ჩამოსულიყო და აქ ეკითხა აფხაზეთის ამბავი.**

პირადად ჩემთვის ცხადია ის მესიჯი, რაც ლუკაშენკომ აფხაზეთში ჩაიტანა. ერთია ის, რასაც ოფიციალურად ამბობენ და მეორე — პოლიტიკური ენა. **მე და ჩემს მეგობრებს ყოველდღიური კავშირი გვაქვს აფხაზებთან. ერთი ადამიანიც კი ვერ გაიწვიეს საბრძოლველად, მთებში არიან გახიზნული.** ეს არის ასპროცენტიანი ინფორმაცია.

ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტი პუტინის მხრიდან ერთგვარი მუქარა იყო — რახან თქვენ ასე მოიქეცით, მიიღებთ იმას, რაც გეკუთვნითო. **წმინდანად ვის აღიარებენ? გარდაცვლილ ადამიანებს. ლუკაშენკოს სიტყვები — თქვენ წმინდანები ხართო, სწორედ მუქარას ნიშნავდა. პუტინს ახასიათებს ადამიანების გამოცდა, ვინ როგორ დაუდგება გვერდით.**

საქართველოს ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჰყვეს იმ ოპოზიციონერთა აგორებულ კამპანიას, რომლებიც რუსეთიდან იკვებებიან. როგორ გგონიათ, ვის წისქვილზე დაასხეს წყალი ნაციონალების ანასხლეტებმა, ლარსის საზღვარზე აქცია რომ გამართეს? ისევ და ისევ რუსეთის!

**— ანუ არ უნდა ჩავკეტოთ ლარსის საზღვარი?**

— მთავრობა ისე იქცევა, როგორც ნორმალური სახელმწიფო უნდა მოიქცეს, არცერთი შეცდომა არ დაუშვია, მეტიც, ძალიან კარგი და დროული იყო **ირაკლი კობახიძის** განცხადება — საზღვარი არ ჩაიკეტებაო! ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთში მილიონ-ნახევარი ქართველი ცხოვრობს და ამ საზღვრიდან ისინიც შემოდიან. **საკუთარ თანამემამულეებს კარი უნდა დავუკეტოთ?!** გარდა ამისა, უცხოელი ტურისტები საქართველოს ძირითადად ტრანზიტად იყენებენ. იმ ხალხის უმრავლესობა, რომელიც შემოდის, მალევე ტოვებს ქვეყანას. ეს ოფიციალური დოკუმენტებით და ციფრებით დასტურდება.

**კიდევ ერთხელ ვამბობ — ხელისუფლების დაბალანსებული და სწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველო ცხელ წერტილად არ იქცა და ჩვენი შვილები მშვიდობიანად აგრძელებენ სწავლასა და ცხოვრებას. ამისთვის გულწრფელი მადლობა მინდა, გადავუხადო მთავრობას. წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა, საქართველოს მმართველი სააკაშვილი რომ ყოფილიყო.**

**— სააკაშვილი, რომელიც თქვენი სკოლელი და მეგობარი იყო, ციხიდან გამოსვლას ლამობს — ისევ არწმუნებს საზოგადოებას, რომ ამ ძნელბედობის ჟამს მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნის გადარჩენა...**

— ექიმს, რომელიც სააკაშვილთან იყო შესული, კარგა ხნის წინ უნდა დაედო დასკვნა, მაგრამ არ უნდათ მძიმე დაავადების აფიშირება, რადგან ყველაფერი ყირაზე დადგება.

სააკაშვილს არაერთხელ ვუთხარი ჩემი სათქმელი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ. **ერთადერთი გამოსავალი გაქვს — დიდი ადამიანური ბოდიში და სიმართლის თქმა გახმაურებულ საქმეებზე, მათ შორის, ჟვანიას სიკვდილზე.** თქვი უარი პოლიტიკაზე და ამხილე მტრები, მოიდრიკე მუხლი მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხის წინაშე!

### რაც შეეხება ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს – ფრთხილად! არ ავარევინოთ ერთადერთი ედემი დედამიწაზე! ეს ჩვენი ომი არ არის!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



# «უკრაინა ამ ომს ვერ მოიგებს, მეტიც – უკვე წააგო!»

# გენერალისიმუსი

№26-27 (150-151) ★ 2022 წლის 3 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*ერთი დღით ადრე, ვიდრე რუსული ეკლესიებისთვის დამახასიათებელ ხახვისთავა გუმბათს 2022 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთში გადაიტანდნენ, ბელარუსის ლიდერი ალექსანდრე ლუკაშენკო ბიჭვინთაში ჩავიდა, გააფსუებულ ასლან ბჟანიას ჩაეხუტა და პუტინის დანაბარები გადასცა.*

# გუმბათი ჩამოტარებით




ლუკაშენკო-ბჟანიას სალამქალამი ყურისათვის კარგად ნაცნობი დიმპიტაურის ფონზე წარიმართა, როცა ახალგაზრდა ჩოხოსანი პირდაპირ ტელეკამერაში შემოხტა და ლუკაშენკოსა და ბჟანიას ცხვირწინ ჩამოუცეკვა. **ქორეოგრაფიამ, მუსიკამ და რიტმიკამ, რომელიც აფხაზეთში წამომართული ეკლესია-მონასტრებისა და თამარის დროინდელი ხიდების მსგავსად დიდი ქართული კულტურის განუყოფელი და სისხლხორცეული ნაწილია, ცხადია, მოხიბლა ლუკაშენკო.** ბატკა, რომელიც აქამდე ქართველებით იყო აღფრთოვანებული, ამჯერად აფსუებით აღფრთოვანდა და ბჟანიას დახურულ კარს მიღმა გაუბა მასლაათი. თუ რა ილაპარაკეს **ვლადიმერ პუტინის ამ ორმა ხელისბიჭმა** ბიჭვინთაში, მალე გამოჩნდება. დიდი ალბათობით, რუსთხელმწიფე საქართველოს მორიგ შეჭამანდს უმზადებს და ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის შესაერთებლად ნიადაგს სინჯავს. **როგორც ცნობილია, ცხინვალში ეს ამბავი დიდი ხანია, გადაწყვეტილია, თუმცა, ცხინვალელი ოსების რუსის გვამში შეძრომის პროცესისაგან განსხვავებით, აფხაზეთის რუსეთთან მიკოწიწება, ალბათ, გაჭირდება!**

რუსეთი რომ საქართველოს წინააღმდეგ ახალი კარტის გასათამაშებლად ემზადება, **ლუკაშენკოს** სიტყვებიდან მაინც გამოჩნდა — **ვიდრე ბატკა გააფსუებულ მეგრელს — ასლან ბჟანიას დახურულ კარს მიღმა დაელაპარაკებოდა, ტელეკამერების წინ ღიად თქვა:**

*„გუშინ ჩვენ განვიხილეთ აფხაზეთის პრობლემები ჩვენს უფროს ძმასთან ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინთან ერთად. ჩვენ შუაღამემდე ვისაუბრეთ ამ საკითხზე და ერთობლივ დასკვნებამდე მივედით, რომ აფხაზეთი არ უნდა მივატოვოთ. მას სჭირდება დახმარება, რათა ამ აყვავებულმა მიწამ და აქ მცხოვრებმა ხალხმა ნორმალურად იცხოვრონ... რადგან ეს სამოთხეა დედამიწაზე და აქ მცხოვრები ადამიანები წმინდანები არიან. მე მახსოვს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან, როცა აქ ვიყავი. შესაბამისად, ჩვენ გვინდა დავამყაროთ არამხოლოდ მეგობრობის ხიდი, არამედ ძალიან სერიოზული ურთიერთობები. რუსეთი მზადაა, ხელი გამოგიწოდოთ. ალბათ, მოვიდა დრო!“*

და აი, **ლუკაშენკოს მოულოდნელი სტუმრობიდან ერთი დღეც არ იყო გასული, როცა 29 სექტემბერს ენგურის ხიდის გავლით უშველებელი სატვირთო მანქანით სამეგრელოდან აფხაზეთში თითბრისგან დამზადებული და ოქროთი დაფერილი რუსული ხახვისთავა გუმბათი შეიტანეს,** რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში მცხოვრებმა აფსუა „კანონიერმა ქურდებმა“ ომის დროს დაზიანებული **კამანის წმინდა ვასილისკოს ეკლესიის** შესამკობად შეუკვეთეს.

ერთი სიტყვით,

**მე-11 საუკუნის ილორის ქართული ეკლესიის დამახინჯების შემდეგ, რომელსაც რუსული ხახვისთავა გუმბათი კარგა ხნის წინათ დაადგეს, რუსები და აფსუები ახლა უკვე კამანის ქართული ეკლესიის დასამახინჯებლად ემზადებიან, რისთვისაც მორიგი რუსული, ხახვისთავა გუმბათი გამზადებული აქვთ.**

ეს ის კამანია, სადაც 1993 წლის 5 ივლისს რუსებმა და კაზაკებმა მონასტრის წინამძღვარი **მამა ანდრია ყურაშვილი** წამებით მოკლეს. როცა გადამთიელმა ფაშისტებმა დატყვევებულ ქართველ ხუცესს ჰკითხეს — **ეს მიწა ვისია?** — მამა ანდრიამ მშვიდად უპასუხა — **მიწა ღმერთისაა!** კბილებდაკრეჭილი გადამთიელები ამ პასუხს არ ელოდნენ და, ცოტა არ იყოს დაიბნენ, მაგრამ ქართველი მღვდელი მაინც დახვრიტეს. არ დაინდეს არც ეროვნებით აფსუა **იური ანუა,** რომელმაც თავის დროზე კამანის მონასტერი აღადგინა, კონდახების ცემით გაიყვანეს ტაძრიდან და, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ისიც დახვრიტეს...

კამანში ვაჟკაცურად დაეცა ბატალიონის მეთაური **ზაზა პაქელიანი,** ხოლო **მერი პაქელიანმა,** მტერს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, ხელყუმბარა გახსნა და ოთხი ძაღლთაპირი „ბოევიკიც“ თან გაიყოლა.

ცხადია, **„აფხაზური ეკლესიის“ მეთაურმა, თხაწვერა ბესარიონ აპლიამ,** რომელიც ასევე რძენაწყენი და გააფსუებული კოლხია, ზემოთქმულის შესახებ ყველაფერი იცის, მაგრამ თავის წვერებიანად ოკუპანტების უკანალშია შემძვრალი და დუმს.

მოკლედ, მტერმა, რომელიც აშკარად **„თურქის თემისაა“ და „აფხაზეთზე თვალი უჭირავს“,** ქართველებსა და აფსუებს ერთად ლოცვის უფლება არ მოგვცა. ამიტომაც მოგვიღრიცეს კისერი წიქარასავით და ამიტომაც გამოგვყარეს აფხაზეთიდან, რომლის ე.წ. „საგარეო საქმეთა მინისტრი“ და საერთაშორისო ძებნილი **ინალ არძინბა,** ძაღლთაპირი ვლადისლავ არძინბას მსგავსად, „ჯორივით უცილობლობს“ და გაიძახის — **აფხაზეთში დევნილებს არ დავაბრუნებთო!**

დღეს, როცა რუსეთის არმიას უკრაინაში არცთუ საუკეთესო დღეები უდგას, **ვლადიმერ პუტინს** ყველაზე მეტად სჭირდება აფხაზეთის მიერთება, რადგან კრემლს ყველაფერთან ერთად თავისი რელიგიური და მესიანისტური მიზნებიც აქვს. **საქართველო, მოგეხსენებათ, გამორჩეულად საკრალური დატვირთვის მქონე ორი ისტორიული პროვინციის მპყრობელია და ორივეს მტერი ებღაუჭება...** მტერთაგან ერთი **რუსეთია,** ხოლო მეორე — **თურქეთი,** პროვინციათაგან კი ერთი **აჭარაა,** ხოლო მეორე — **აფხაზეთი!**

გადმოცემის თანახმად, რასაც **ნიკიტა პაფლაგონიელი,** თირის ეპისკოპოსი **დოროთე, სოფრონე და ეკუმენია** ადასტურებენ, ერთგან — ანუ აჭარაში, გონიოს ციხეში, ქრისტეს მოციქული **მატათა** გახლავთ დაკრძალული, რომელმაც თორმეტ მოციქულთა შორის იუდა ისკარიოტელის ადგილი დაიჭირა, ხოლო მეორეგან, აფხაზეთში — **სიმონ კანანელი,** რომელიც მეფე ადერკის დროს რომაელებმა აწამეს და 55 წელს ქრისტეს მსგავსად ჯვარზე გააკრეს. სიმონ კანანელი აფხაზეთში ფსირცხას მღვიმეში ცხოვრობდა...

**აი, სწორედ ეს ორი მოციქული შემოვიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებულთან ერთად და ორივემ ქართულ მიწაში პოვა სამუდამო ძვალშესალაგი.** რაც შეეხება **მოციქულ ანდრიას,** მან ჩრდილოეთით გააგრძელა გზა, შემოიარა მთელი მსოფლიო, იქადაგა დასავლეთ ჩინეთსა და შოტლანდიაში, სოგდიანასა და პაკისტანი-ირანის საზღვართან, ტავრიასა და სარმატიაში, ალტაის მხარესა და სირიაში, საბერძნეთსა და აფრიკაში, დღევანდელი ხერსონისა და კიევის შემოგარენში, **მაგრამ უფრო ჩრდილოეთით აღარ წასულა, რაც რუსეთის ხელისუფლებას ისტორიულად ყოველთვის დიდ უხერხულობას უქმნიდა და კრემლი ნიადაგ ეძებდა მიზეზს, რათა რუსეთის ეკლესიის „სამოციქულო“ წარმომავლობა რვალზე უფრო მტკიცე დოკუმენტით გაემყარებინა.**

მიუხედავად საუკუნოვანი მცდელობისა და ჯაფისა, ასეთი დოკუმენტი და მტკიცებულება მოსკოვმა ვერ შექმნა. **მართალია, 1688 წელს ქართლის მეფე არ-**

## ჭკუით, საქართველო! ★



გაგრძელება მე-2 გვერდზე

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**ჩილ მეორემ საქართველოდან მოსკოვში უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე ქრისტეს სამსჭვალი ჩაიტანა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ბედოვლათმა ქართველებმა რუსთხელმწიფეს წმინდა ნინოს ვაზის ჯვარიც მიართვეს, მაგრამ რუსეთი დღემდე ვერ პოულობს საბუთს, რომლითაც მისი ეკლესიის „სამოციქულო" სტატუსში ეჭვის შეტანა გაჭირდება.** მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა **რუსი ეგზარქოსი** ქურდი, წყეული და მამაძაღლი იყო და მათ მიერ გატაცებული და ნაქურდალი ქართული ხატები და ტიხრული მინანქრის უიშვიათესი ნიმუშები რუსეთის თითქმის ყველა მუზეუმსა და კერძო კოლექციაშია მიმოფანტული, **მოსკოვის საპატრიარქო ტახტი თავს მოსვენებულად ვერ გრძნობს, რადგან ქრისტიანული დოგმატიკის თანახმად, „სამოციქულოდ" მიჩნეულია მხოლოდ იმ ქვეყნის ეკლესია, სადაც უშუალოდ ქრისტეს მოციქულებს აქვთ ნაქადაგები ქრისტეს სარწმუნოება.** დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ისტორიას, რომელიც თავად უძველესი რუსული მატიანის — **„ზარდასულ წელთა ამბავის"** თანახმად, **862 წლიდან** იწყება, ქრისტეს მოციქულების რუსეთის ტერიტორიაზე მიმოსვლა და ქადაგება არც ახსოვს და ვერც ემახსოვრება, რადგან რუსეთის აღმნიშვნელი ტერმინი „როსი" მზისქვეშეთში პირველად 555 წელს ჩნდება ცნობილ ბერძენ საეკლესიო ავტორ **ზაქარია სქოლასტიკოსთან.** მოგეხსენებათ, **555 წელს ქრისტეს არც თორმეტ და არც სამოცდაათ მოციქულთაგან ცოცხალი არავინ იყო, რომელიც იტყოდა — რუსეთში ვიყავი და ქრისტიანობა ვიქადაგეო!** ის კი არა, 988 წელს თვით **კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმირმა** მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იღო ქრისტეს ნათელი, რომ სახარება მას ღორის ხორცის ჭამასა და ღვინის სმას არ უკრძალავდა, თორემ ისტორიული წყაროების თანახმად, თავიდან **ვლადიმირი** ძალიან მოხიბლა მუსლიმანობამ, რადგან ყურანის მცოდნეებისგან შეიტყო, რომ მოციქულ **მუჰამედის** რჯული არათუ არ გაჭკიცხავდა, არამედ, პირიქით, მადლით აავსებდა **მრავალცოლიანობის გამო.**

მოსკოვის საპატრიარქოს ძველი სხივმოსილება მითუფრო შემოეცალა 2019 წლის 5 იანვრის შემდეგ, რაც **კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომემ** საგანგებო ტომოსით უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა. **რუსეთის ეკლესია, რომელიც კიევ-პეჩორის ლავრის გარეშე დარჩა და უკრაინის ომით, ფაქტობრივად, მთელი უკრაინა დაკარგა, გამალებით დაეძებს ახალ სიწმინდესა და საკრალურ მიწას, რომლითაც კიევ-პეჩორის უდიდეს სიწმინდეს ჩაანაცვლებს.** ასეთი მიწა დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთშია, სადაც ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან ერთი მოციქული **სიმონ კანანელი** განისვენებს!

## ჭკუით, საქართველო!



29 სექტემბერს ენგურის ხიდის გავლით უშველებელი სატვირთო მანქანით სამეგრელოდან აფხაზეთში თითბრისგან დამზადებული და ოქროთი დაფერილი რუსული ხახვისთავა გუმბათი შეიტანეს!

**დარული კოლხეთი, სადაც არგონავტები მოვიდნენ და თავიანთი ხომალდის — „არგოს" ღუზა ჩაუშვეს.** რუსეთი ყოველთვის საქართველოს უძველეს, წარსულისა და მიწების ქურდობით იყო დაკავებული. **ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველომ რუსული ხიშტითა და დროშით, მართალია, თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარა და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბრუნა, მაგრამ ახლად შემომტკი-**

# გუმბათი ჩამოტარებით



ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის ლიდერ ასლან ბჟანიასთან ერთად

დღევანდელი უკრაინული ქალაქი **ხერსონი, სადაც 988 წელს კიევის დიდი მთავარი ვლადიმირი მოინათლა და სწორედ ამის შემდეგ შეირთო ცოლად იმპერატორ ბასილი მეორე ბულგართმმუსვრელის და — ანა პორფიროგენეტა.** აი, ამიტომ არ ეთმობა პუტინს ხერსონი და მისი ოლქი, რომლებიც მან დონეცკთან, ლუგანსკთან და ზაპოროჟიესთან ერთად **2022 წლის 30 სექტემბერს** მიიერთა და სწორედ ამიტომ გამოაგზავნა მან აფხაზეთში **ლუკაშენკო, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ბჟანიას აფხაზეთის რუსეთთან მიერთებაზე ელაპარაკა!**

ჯერ კიდევ სოჭის ოლიმპიადის დროს რუსეთის ცენტრალურ სატელევიზიო არხებზე არ ნელდებოდა სარეკლამო რგოლები იმის შესახებ, რომ **სოჭი, სადაც ზამთრის ოლიმპიადა იმართებოდა, იყო ლეგენ-****ცებულ ტერიტორიებზე რომანოვების საიმპერატორო კარი ისეთ ამაზრზენ და ფარისევლურ პოლიტიკას ატარებდა, საქართველოს მოწინავე შვილები მეფისნაცვლის სასახლესა თუ სანკტ-პეტერბურგში წერილს წერილზე აგზავნიდნენ და პროტესტს გამოთქვამდნენ.** ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მეფის რუსეთის ისეთი ერთგული გენერლის წუხილი და უკმაყოფილება, როგორიც **გრიგოლ ორბელიანი** გახლდათ.

**აფხაზეთში ამ გაგანია ომის დროს ლუკაშენკო ტყუილად არ ჩასულა!**

**აფხაზეთში რუსული ხახვისთავა გუმბათი ტყუილად არ შეუტანიათ!**

**ჭკუით, საქართველო!**

**ომი აფხაზეთში, მგონი, ორივეს უნდა — რუსებსაც და ამერიკელებსაც!**

*დიტო ჩუბინიძე*



## ომი აფხაზეთში, მგონი, ორივეს უნდა – რუსებსაც და ამერიკელებსაც!

## თვალუწვდენელ რუსეთს, რომელსაც, ფაქტობრივად, მთელი ცივილიზებული მსოფლიო დაუპირისპირდა, დღეს სჭირდება იმ მესიანისტური იდეის გაცოცხლება, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას რაღაცის გარშემო მაინც გააერთიანებს და ქვეყნიდან გაქცეულ რუსებს უკან შემოაბრუნებს.

აფხაზეთი, სადაც სოხუმის მახლობლად **წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერში** სწორედ ქრისტეს მოციქული სიმონ კანანელია დაკრძალული, რუსეთისთვის ესოდენ საჭირო **მესიანისტური იდეის** გასაცოცხლებლად იდეალური შენაძენი იქნება. მართლაც, **თუ აფხაზეთი რუსეთად გამოცხადდება, რუსეთის ეკლესია ავტომატურად გახდება „სამოციქულო" და კრემლის საუკუნოვანი ტანჯვაც დასრულდება...** დაახლოებით იგივე რელიგიური დატვირთვის მატარებელია ბერძნების მიერ დაარსებული უძველესი **პოლისი** და

## საქართველო გამორჩეულად საკრალური დატვირთვის მქონე ორი ისტორიული პროვინციის მპყრობელია და ორივეს მტერი ებლაუჭება!

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ვინ იყო სინამდვილეში პავლიკ მოროზოვი, რომელიც ჩვენთვის მაგალითად მოჰყავდათ. რა არის მის ისტორიაში რეალობა და რა – მოგონილი?



**პავლიკ მოროზოვი** საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი ლეგენდაა, ისეთივე, როგორც, ვთქვათ, **სტახანოვი.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საქვეყნოდ გაუთქვეს მას სახელი, როგორც კოლექტივიზაციის პერიოდში კულაკებთან მებრძოლ გმირს. **ოფიციალური ვერსიით, პავლიკ მოროზოვმა, სვერდლოვსკის ოლქის სოფელ გერასიმოვკას პიონერული რაზმის თავმჯდომარემ, პურის დამზადების გეგმის ჩაშლის მიზნით ადგილობრივი კულაკების შეთქმულების შესახებ შეიტყო და გამოამჟღავნა ისინი მამამისის, ტროფიმ მოროზოვის ჩათვლით, რომელიც სასოფლო საბჭოს თავკაცობდა და ყველანაირად ეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.** შედეგად პავლიკის მამა დააპატიმრეს და 10 წელი მიუსაჯეს. კულაკებიც რეპრესირებული იქნენ, ხოლო თავად „უშიშარი პიონერი" **1932 წლის 3 სექტემბერს** ტყეში მოკლეს საკუთარმა ბაბუამ — **სერგეი მოროზოვმა** და ბიძაშვილმა **დანილამ.**

მაშ, რა არის სინამდვილე ამ ვერსიაში და რა — არა? პავლიკ მოროზოვი 1918 წელს დაიბადა. იგი მართლაც გახლდათ სოფლის პიონერული რაზმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მაგრამ, თუ მის ძმას **ალექსეი მოროზოვს** ვერწმუნებით (სამამულო ომის მონაწილე, 1945 წელს რეპრესირებული, 10 წელი ბანაკებში გაატარა), **პავლიკს მამამისი არ დაუბეზღებია. ტროფიმ მოროზოვს** საკუთარი ცოლი უჩიოდა, რადგან იგი გამოუფხიზლებლად სვამდა, გლეხებს ქრთამს ართმევდა და დაუნდობლად სცემდა ცოლსა და ხუთ შვილს. ტროფიმი დააპატიმრეს და, იმ წლების ტრადიციისამებრ, ანტისაბჭოთა საქმიანობაც „მიაკერეს". **სასამართლოზე მის წინააღმდეგ ჩვენება ცოლმა მისცა, ხოლო პავლიკმა დედას დაუჭირა მხარი.**

მას შემდეგ, რაც ტროფიმი ბელომორკანალის მშენებლობაზე გაამწესეს, **პავლიკი** და მისი 9 წლის ძმა **ფედია** მხეცურად მოკლეს. ამ დანაშაულისთვის დახვრეტა მიესაჯათ **სერგეი, დანილა, ქსენია მოროზოვებს,** კულაკებს **კულუკანოვს და სილინს,** თუმცა, მკვლელობასთან ამ ხუთეულის კავშირი არ დამტკიცებულა.

საინტერესოა, რომ 10-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ **ტროფიმ მოროზოვი** სოფელში დაბრუნდა და მშვიდად გააგრძელა ცხოვრება. ამასობაში კი მისი ვაჟის სახელი მთელ საბჭოეთში ქუხდა, უშიშარ პავლიკზე იწერებოდა გაზეთებში, იქმნებოდა წიგნები და კინოფილმები, მის სახელს ანიჭებდნენ პიონერულ რაზმეულებს, სკოლებს, კოლმეურნეობებს, ქუჩებს. **ნიკიტა ხრუშჩოვის** (იმ პერიოდში პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის) ინიციატივით, პოლიტბიუროზე დაისვა საკითხი წითელ მოედანზე მოროზოვისთვის ძეგლის აღმართვის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან თავად სტალინმა მოხსნა. მოლოტოვის მოწმობით, ბელადმა მაშინ საკმაოდ გაღიზიანებულმა წარმოთქვა: **„მოდით, ნუ შევქმნით ამ გადაგვარებულისგან მინინს და პოჟარსკის** (მოსკოვის გმირი დამცველები, რომელთა ძეგლი წითელ მოედანზეა აღმართული)". თუმცა, სტალინი სულაც არ ეწინააღმდეგებოდა „აღმზრდელობითი მიზნით" პიონერი მოროზოვის პროპაგანდას. **სხვათაშორის, უდანაშაულოდ მოკლულმა ბიჭუნამ 30-იანი წლების ჩეკისტებსაც კარგი სამსახური გაუწია, რადგან ბავშვებმა მისი მიბაძვით მაშინ მასობრივად დაიწყეს მამების დაბეზღება და მათზე უარის თქმა.**

## ცნობილია, რომ ლავრენტი ბერია საკუთარ სახლში მოკლეს. მაშ, ვინ მოაწყო მისი სასამართლოს ინსცენირება და ვინ ასრულებდა პროცესზე ბერიას როლს, ან ვინ ესწრებოდა ამ პროცესს საქართველოდან?



ბერია მართლაც მოსკოვში, კაჩალოვის ქუჩაზე მდებარე მისი სახლის შტურმისას მოკლეს **1953 წლის 26 ივნისს, დღის 12 საათზე.** ოფიციალური ვერსიით, რომელიც არცერთი ფაქტით და დოკუმენტით არ დასტურდება და რომელიც მკვლელობის დამკვეთებმა — **ხრუშჩოვმა და მისმა დამქაშებმა** გაავრცელეს, იმ დღეს ბერია დააპატიმრეს, 6 თვის შემდეგ, **1953 წლის 16 დეკემბერს** კი იგი სასამართლოს წინაშე წარდგა. იმავე ვერსიით, პროცესი 16-დან 23 დეკემბრამდე გრძელდებოდა. სსრკ უზენაესი სასამართლოს საგანგებო წარმომადგენლობას **მარშალი კონევი** ხელმძღვანელობდა და მის შემადგენლობაში შედიოდა იმ დროს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **მიტროფანე კუჭავა.** სასამართლოს წინაშე ბერიასთან ერთად, თითქოსდა მისი თანამოსაგრენიც — **ვსევოლოდ მერკულოვი, სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულოვი, ვლადიმერ დეკანოზოვი, პაველ მეშიკი და ლევ ვლოძიმირსკი** წარდგნენ.

თუ ვერწმუნებით კრებულს **„ბერია: კარიერის დასასრული",** რომელიც მოსკოვში 1991 წელს გამოიცა, მიტროფანე კუჭავას პროცესზე მთავარი ბრალდებულისათვის კითხვაც დაუსვამს: **„თქვენ ჩაიდინეთ უდანაშაულო ხალხის მკვლელობები"?** რაზეც ბერიას თითქოს უპასუხია: **„ცხადია, მკვლელობები იყო".** მაგრამ ჩატარდა კი საერთოდ ეს პროცესი? მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის დარბაზში მხოლოდ მოსამართლეები, განსასჯელები და ბადრაგი იმყოფებოდნენ. **„სასამართლოს" არ მოუსმენია არცერთი მოწმისათვის, პრესაზე და პუბლიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.** მაშ, იყო თუ არა საჭირო, ასეთ სხდომაზე ვინმეს ბერიას „როლი" შეესრულებინა? **მსგავსი სპექტაკლის ჩატარება მთავარი გმირის გარეშეც ადვილი იქნებოდა.**

იმავე ოფიციალური ვერსიის თანახმად, **23 დეკემბერს ყველა ბრალდებულს სიკვდილი მიესაჯა და ისინი იმავე დღეს დახვრიტეს.** აქაც აშკარა შეუსაბამობას ვხვდებით — **მერკულოვი, ქობულოვი, გოგლიძე, დეკანოზოვი, მეშიკი და ვლოძიმირსკი** სუხანოვის ციხეში დახვრიტეს, სადაც პატიმრობაში ჰყავდათ, ბერია კი, რატომღაც, მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის სარდაფში.

**შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1953 წლის დეკემბერში რომელიღაც დახურულ სასამართლოზე ბერიას თანამოსაგრეებს მართლაც მიუსაჯეს სიკვდილი და ამას მიტროფანე კუჭავაც** ესწრებოდა. რაც შეეხება თავად ბერიას, ის ამ ამბებამდე ნახევარი წლით ადრე აღარ ეწერა ცოცხლებში.

## ძველი ბოლშევიკი აბელ ენუქიძე ი.ბ. სტალინის უახლოესი მეგობარი გახლდათ. ამასთან, აბელი სტალინის ქალიშვილის – სვეტლანას ნათლიაც იყო. რატომ დაახვრეტინა სტალინმა უახლოესი მეგობარი?

**აბელ ენუქიძე** მართლაც სტალინის უახლოესი მეგობარი გახლდათ. ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ — აბელი სულ ორი წლით იყო უფროსი ბელადზე. 1889 წლიდან, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის მომენტიდან, ისინი პარტიის წევრები იყვნენ. თუმცა, აბელ ენუქიძეს სვეტლანა არ მოუნათლავს. იგი ი. ბ. სტალინის მეორე ცოლის — **ნადეჟდა ალილუევას ნათლია** გახლდათ.



ენუქიძეს ნამდვილად უმწიკვლო რევოლუციური ბიოგრაფია ჰქონდა. იგი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნის სათავეებთან იდგა და სახელგანთქმული სტამბა „ნინას" ერთ-ერთი დამაარსებელიც გახლდათ. უშუალოდ მონაწილეობდა პეტროგრადში მომხდარ ოქტომბრის გადატრიალებაში. 1918 წლიდან **ენუქიძე** ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მომავალში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი) უცვლელი მდივანი და სკპ(ბ) ცეკას წევრი იყო. ისიც სრული სიმართლეა, რომ აბელ ენუქიძეს არასდროს გადაუხვევია პარტიის ცენტრალური ხაზიდან და არცერთ ოპოზიციას არ შეერთებია. **მაშ, რატომ დახვრიტს იგი 1937 წელს?**

1935 წლის ივნისის დასაწყისში სკპ(ბ) ცეკას პლენუმმა სხვებთან ერთად განიხილა საკითხი **„სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამხანაგი ენუქიძის შესახებ".** პლენუმმა ძველი ბოლშევიკი თანამდებობიდან გაათავისუფლა და **„პოლიტიკური და ზნეობრივი გარყვნილებისათვის"** პარტიის რიგებიდანაც გარიცხა.

სტალინის პირველი ცოლისძმის — **ალიოშა სვანიძის** მეუღლის **მარიამ სვანიძის** პირად დღიურში ვკითხულობთ: **„აბელს კოლოსალური გავლენა ჰქონდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე. იგი ძალზე გარყვნილი იყო და გარშემოც ყველას ხრწნიდა. ყოველწლიურად სულ უფრო ნორჩ ასულებს ეტანებოდა, ბოლოს კი 10-11 წლის გოგონებიც არ დაინდო. მის დაწესებულებაში შტატები სქესობრივი ნიშნით ირჩეოდა"...**

ტყუილ-მართლის დადგენა დღეს ძალზე ძნელია. თუმცა, სავარაუდოა, რომ **ფელიქს ჩუევის** შეკითხვაზე, თუ რომელი საბჭოთა მოღვაწეები იყვნენ გატაცებული ბალერინებით, **მოლოტოვმა ენუქიძე** და საგარეო საქმეთა სახკომის იმჟამინდელი მოადგილე **კარახანი** დაასახელა.

თავად **აბელი** ძველ პარტიულ ამხანაგთან კონფლიქტს შემდეგნაირად ხსნიდა: **„მთელი ჩემი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ კამენევსა და ზინოვიევს გამოვესარჩლე. „სოსო, — ვუთხარი, — რა თქმა უნდა, მათ გავნეს, მაგრამ ისინი ჩვენსავით ძველი ბოლშევიკები არიან. ვიმედოვნებ, მათ სისხლს არ დაღვრი!" მან ისე შემომხედა, თითქოს მამამისის მკვლელი ვიყავი და მითხრა: „დაიმახსოვრე, აბელ, ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია!"**

1935 წელს **ენუქიძე** არ დაუპატიმრებიათ. მას მოსკოვი დაატოვებინეს და კავკასიის კურორტების სამმართველოს უფროსად დანიშნეს. პარტიიდან გარიცხულმა აბელ ენუქიძემ ამ თანამდებობაზე 1937 წლის დეკემბრამდე იმუშავა, **1937 წლის 19 დეკემბერს კი გაზეთებში დაიბეჭდა მოკლე ცნობა ენუქიძის, კარახანისა და კიდევ ხუთი ადამიანის დახვრეტის შესახებ „შპიონურ-ტერორისტული და დივერსიულ-ტროცკისტული საქმიანობის გამო".** ძიების, სასამართლოს და დახვრეტის გარემოებანი უცნობია. მოგვიანებით, 1938 წლის მარტში, **ბუხარინის, რიკოვის, იაგოდასა** და სხვათა სასამართლო პროცესზე ბრალდებულებმა უჩვენეს, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აპარატში ენუქიძის ხელმძღვანელობით დაკომპლექტებული იქნა **„ხუთი ტერორისტული ჯგუფი, რომლებიც თავდასხმას ამზადებდნენ ამხანაგ სტალინზე, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებზე".** იმავე პროცესზე ითქვა, რომ ენუქიძე **მარშალ ტუხაჩევსკის** მიერ მომზადებული **„სამხედრო შეთქმულების"** წევრიც იყო. თუმცა, ყველა ეს მონაცემი, ცხადია, ბობოქარ ჩეკისტურ ფანტაზიებს უნდა მივაწეროთ.

**აბელთან ერთად რეპრესირებული იქნენ მისი მეუღლე და ძმა სიმონი, რომლებიც შორეულ ბანაკებში დაიღუპნენ.**

## ი.ბ. სტალინის მამის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია არსებობს. იქნებ ცოტა დაწვრილებით მოგვითხროთ ბესარიონ ჯუღაშვილზე?




**ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილი,** გლეხი სოფელ დიდი ლილოდან, დაახლოებით 1850 წელს დაიბადა. პროფესიით იგი მეწაღე-შინამრეწველი იყო და მცირე ხანს ტფილისში, ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშაობდა. **ეკატერინე გელაძესთან** ქორწინებაში მას სამი ვაჟი ჰყავდა — **მიხეილი, კონსტანტინე** (ორივე ადრეულ ბავშვობაში დაიღუპა ყვავილით) და **იოსები.**

მესამე შვილის დაბადების შემდეგ ჯუღაშვილები გორში დამკვიდრდნენ. პატარა ქალაქში სამუშაო ცოტა იყო, ამიტომ ბესარიონი ხშირად დადიოდა სხვა რაიონებში დაკვეთების საშოვნელად. **ზოგიერთი ცნობის თანახმად, იგი 1890 წელს თელავში მთვრალების ჩხუბში მოკლეს.** ყოველ შემთხვევაში, ასე წერს თავის ბაბუაზე **სვეტლანა ალილუევა** წიგნში **„ოცი წერილი მეგობარს".** ამავე თარიღს ასახელებს წიგნში **„სტალინი და საქართველოს ტრაგედია"** ბელადის ბავშვობის მეგობარი, შემდგომში ცნობილი მენშევიკი **იოსებ ირემაშვილი.** ამასთან, საბუთები და მოწმეთა მთელი რიგი ამ თარიღს ეჭვქვეშ აყენებს. **ვ. კამინსკისა და ი. ვერეშჩაგინის** ნაშრომში **„ი.ბ. სტალინის ბავშვობა და სიჭაბუკე",** რომელიც 1939 წლის დეკემბერში ჟურნალ „მოლოდაია გვარდიაში" გამოქვეყნდა, **ბესო ჯუღაშვილის** გარდაცვალების თარიღად **1906 წელი** მოიხსენიება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ცნობა თითიდან იყოს გამოწოვილი და სტალინმა, რომელიც ყველა ჟურნალის გადათვალიერებას ასწრებდა, ეს ვერ შენიშნა.

ამასთან, ტფილისის სემინარიის რექტორის სახელზე დაწერილ თხოვნაში, რომელიც **1895 წლის 28 აგვისტოთია** დათარიღებული, სემინარისტი **იოსებ ჯუღაშვილი** წერს: **„მამაჩემი უკვე სამი წელია, უარს ამბობს ჩემს რჩენაზე, რადგან, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, სწავლა გავაგრძელე..."** აქედან გამომდინარე, მითითებულ პერიოდში **ბესო ჯუღაშვილი** ნამდვილად ცოცხალი გახლდათ. ამას გარდა, მეფის რუსეთის ოხრანკის საბუთებში — **„ცნობებში სამეთვალყურეო გლეხის იოსებ ჯუღაშვილის შესახებ"** ნათქვამია: **„ჰყავს მამა — ბესარიონ ივანეს შვილი ჯუღაშვილი, 55 წლის, და დედა ეკატერინე. ცხოვრობენ: დედა — ტფილისის მაზრის ქალ. გორში, მამა მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა..."** ეს საბუთი 1906 წლით არის დათარიღებული. ჟანდარმერიის ქაღალდებში მხოლოდ 1912 წელს ჩნდება განსხვავებული ინფორმაცია — **„მამა გარდაეცვალა... დედა ქ. გორში ცხოვრობს".**

მაშასადამე, ან **კამინსკის და ვერეშჩაგინის** მიერ დასახელებული თარიღია სწორი, ან **ბესარიონი** 1906-1912 წლებს შორის გარდაიცვალა, მაგრამ არა — 1890 წელს.

**მაინც, ვინ იყო ბესო ჯუღაშვილი? იოსებ ირემაშვილი** მას უხეშ, გაუთლელ, მუშტებზე მომზირალ კაცად ახასიათებდა, რომელიც მთელ თავის მწირ შემოსავალს დასალევში ფლანგავდა. სტალინის მეორე თანაკლასელი **პეტა კაპანაძე** ბელადის მამას საპირისპიროდ ახასიათებს — კეთილი, სიტყვაძუნწი, თავისი მკაცრი ცოლის სრული გავლენის ქვეშ მყოფი კაცი. თუმცა, კაპანაძეც სინანულით აღნიშნავს **ბესო ჯუღაშვილის მიდრეკილებას სასმლისადმი და წერს — მთვრალი ყველაზე უარეს თვისებებს ამჟღავნებდაო.** ირემაშვილიც და კაპანაძეც ერთხმად ამტკიცებენ, რომ **„ხასიათით სოსო სულ დედას დაემსგავსა".**

რაც შეეხება მეწაღე ჯუღაშვილის სურვილს, შვილი მის კვალს გაჰყოლოდა, თუ ამ გაუნათლებელი, უბრალო კაცის ადგილზე დადგებით, ალბათ, გაუგებთ კიდეც. არსებობს ლეგენდა, რომ შვილის პირველად დაპატიმრების შემდეგ **(როგორც ჩანს, 1902 წელს, ბათუმში)** ბესო მივიდა მასთან პაემანზე და საყვედურებით აავსო: **„მაშ, მეფის წინააღმდეგ წახვედი? მაშ, მის ადგილას გინდა დაჯდომა, არა?"**

მეწაღე **ჯუღაშვილს,** ალბათ, ვერც წარმოედგინა, რაოდენ წინასწარმეტყველურ სიტყვებს წარმოთქვამდა.

გაზეთი **„გენერალისიმუსი“** იწყებს ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის **ვახტანგ ხარჩილავას** პუბლიცისტური ნაშრომის **„სისხლიანი ქრონიკების“** ბეჭდვას, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ავბედით პერიოდს — მე-20 საუკუნის 30-იან წლებს ეხება და მუდმივად შეგვახსენებს, რომ **ბოლშევიკური რეპრესიები არამხოლოდ უმძიმესი წარსულია, არამედ შეიძლება, უმძიმეს მომავლადაც იქცეს,** თუ ქართველი ერი მოწოდების სიმაღლეზე არ დადგება, სიფხიზლეს მოადუნებს და მორალურ კომპრომისებზე წავა **1937 წლის ჯალათთა სულიერ და იდეოლოგიურ გადმონაშთებთან,** რომლებიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობენ.



# ვახტანგ ხარჩილავა

# სისხლიანი

*... როცა არქივის თანამშრომელს ჩემი სტუმრობის მიზანი გავაცანი, მცირე ხნის დუმილის შემდეგ უცნაური რამ მითხრა:* **არ გირჩევთ ამ მასალების ნახვას, ადამიანებზე გული გაგიტყდებათო.**

*არ დავუჯერე მას და აი, ვფურცლავ 1930-40-იანი წლების გაყვითლებულ-გაცრეცილ გაზეთებს, ოქმებს, სტენოგრაფიულ ანგარიშებს, პირად წერილებს...*

*ვფურცლავ ამ მასალებს და ვნანობ:* ***ნეტავ, დამეჯერებინა, ნეტავ, მართლაც არ მოვსულიყავი აქ...***

1934 წელს გაზეთ **„სიტყვა და საქმეში“** იბეჭდება **ნიკოლო მიწიშვილის** წერილი **„ოცდაათიანი წლების მწერლობა“.**

*„... ჩვენ დიდ მწერლობაში გადასასვლელ საზღვარზე უნდა დავტოვოთ ბევრი ისეთი რამ, რაც ამ წლებში უდავოა, ხელიხელ საგოგმანებელ მიღწევად მიგვაჩნდა, რაც აღიარებული გვქონდა სანიმუშოდ.*

***აქ საფუძვლიანად უნდა მოხდეს მწერლობის გადაჯგუფება, გადაჯგუფება რაც შეიძლება სწრაფი, რის შედეგად თუ სავსებით მწერლობის რიგებიდან არა, მწერლობის ბრიგადაში მაინც უნდა იქნას გადაყვანილი ბევრი ისეთი მწერალი, რომელიც ტრადიციის, ინერციის, მაღალი ბანის თუ სხვა მიზეზების გამო გავლენას ახდენდა მწერლობის საქმეებზე და ამინდს ქმნიდა ლიტერატურაში.***

***ეს იგივეა, რაც ბალასტის გადაყრა ჰაეროსტატიდან, რათა დაიპყროს მან ახალი სიმაღლე.***

***თუ ეს მსხვერპლი არ იქნა მიტანილი, მწერლობა შესძულდება მკითხველს...***

*... ეგრეთ წოდებული არაპროლეტარული და თანამგზავრული მწერლობა ამ წლებში ხვნეშით მიდიოდა სოციალიზმისაკენ, წინ მიდიოდა, მაგრამ უფრო ხშირად უკან იხევდებოდა, აქ მას ბევრი თანამგრძნობი, ბევრი მკითხველი ჰყავდა...*

*... ეს აღარაა საკამათო, რომ ეს თანამგრძნობელი, ეს მკითხველი, ეს შემფასებელი მოკვდა. უდავოა, რომ მწერლისთვის ის არ წარმოადგენს რაიმე დასაყრდენ ბაზას და ის მწერალი, რომელიც ამ კატეგორიის ხალხისთვის მღერას დააპირებს — სიკვდილის გზაზე შედგება...“*

**ამ წერილის გამოქვეყნებიდან სულ სამიოდე წელი გაივლის და მართლაც ბევრი მწერალი შედგება სიკვდილის გზაზე, „ჰაეროსტატიდანაც ბევრს გადაყრიან ბალასტივით“.**

აი, კიდევ მეორე წერილი, რომელიც ამ წერილის პათოსს აგრძელებს და ავითარებს. ისიც გაზეთ **„სიტყვა და საქმეშია“** დაბეჭდილი იმავე 1934 წელს სათაურით **„კაცია ადამიანი?!“**

*„... თავისი საქმე გააკეთა* ***კ. გამსახურდიამ.*** *მან ჭაკი ცხენის დახელოვნებული ქურდის მოხერხებით „გაპარა“ ყოვლად მიუღებელი წერილი... ვამტკიცებ გადაჭრით: წერილი „როგორ ვწერ“ პათოლოგიური ფაქტია და არა ლიტერატურული.*

*აგინებენ* ***გამსახურდიას,*** *ებრძვიან მის ნაციონალისტურ „თეორიებს“ — გველის სიყვარულს გველის პერანგოსნის დაფნის გვირგვინი თუ აწუხებს, ჭაკი ცხენისა და მიმინო-ბაყაყების რომანტიკას! მოკლეთ, ებრძვიან მის უცხო, კლასობრივად მტრულ, გამხრწნელ იდეოლოგიას. ნუ იტყვით, თურმე ეს სისინია მეშურნეთა: ვერ სწვდებიან გამსახურდიას „ტალანტს“.*

***კმარა! გამსახურდიების იდეოლოგიური გამოლაშქრება, შოვინისტური სისინი უნდა აღიკვეთოს!***

*ძველი ბაგაჟით, დახავსებული, აქოთებული „იდეოლოგიით“ ცდილობს ზოგიერთი, შედგას ფეხი საბჭოთა მწერლობაში.*

*ნურას უკაცრავად! ეს ნომერი არ გავა!*

*„მემენტო მორი!“*

**თითქოს მომავალი ტრაგედიის სიუჟეტური ქარგაა მოხაზული ამ ორ წერილში. მოვლენათა განვითარება თითქმის ზუსტად გაიმეორებს მათში მონიშნულ სამოქმედო გეგმას და არც საბედისწერო ქადილი მემენტო მორი — გახსოვდეს სიკვდილი — აღმოჩნდება მხოლოდ დასაშინებლად და დასაფრთხობად ნასროლი ფრაზა...**

1934 წელსვე ცალკე ბროშურად გამოდის **ბრ. მუშიშვილის** ვრცელი წერილი **„გველის პერანგოსანი“,** რომელიც მანამდე ფელეტონების სახით დაიბეჭდა გაზეთ **„კომუნისტში“.** გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან:

*„სიმბოლიზმი... კონტრაბანდულად შემოიჭრა ჩვენში. საკმაოდ დახელოვნებული, საქმის მცოდნე და პირდაპირ ვირტუოზი აღმოჩნდა მთავარი კონტრაბანდისტი; მონოპოლისტური კაპიტალიზმის, დამპალი კულტურის, სიმბოლისტდეკადენტური ხელოვნების გადმონერგვა მის კონტრაბანდისტულ ოსტატობას, ლიტერატურულ აფერისტობას, თითების ჯიბგირულ მოქნილობასა და ელასტიკურობას შესაძლოა მიეწეროს უმთავრესად.*

***გრიგოლ რობაქიძე — სიმბოლიზმის იდეური ბელადი საქართველოში, მუსოლინის პროფილი პაპის პარიკით!***

*კაციჭამია ქართული შოვინიზმი, ღვარძლიანი ნაციონალიზმი, რასიული თეორიით „დასაბუთებული“,* ***აი, „გველის პერანგის“ მთელი იდეოლოგიური არსენალი“.***

**ბრ. მუშიშვილის** მოსაზრებით, **გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგში“** ავითარებს რასისტულ თეორიას, რომლის მიხედვით მხოლოდ ქართველი ერი შეიძლება მიეკუთვნოს უმაღლეს რასას.

***„რუსები... პირმოშვებული რასა, ველური და ძარღვმაგარი... ვაი, იმ დახვეწილ რასას, რომელსაც ეს ველური მასა — რუსული რასა — დაეტაკება. რუსი — სკვითის თავით და მონღოლის თვალებით. რა დაუდგება ამ რასას და რა დააკავებს მას?“***

*... ამ თეორიიდან აუცილებლად გამომდინარეობს პოლიტიკური დასკვნა, რომელიც სურს ავტორს, გააკეთებინოს თვითონ მკითხველს: „პირმოშვებული რასსა“ სკვითის თავით და მონღოლის თვალებით, დაესხა „დახვეწილ რასსას“ და წალეკა, გადალახა, წარღვნა ის.*

*... დიდ თავადს* ***ირუბაქ ირუბაქიძეს*** *„მკერდის შუა — გულზე ხელი ჰქონდა: მზის ნიშანი, გვარის დაღიაო, ამბობდა“. იბადება იჭვი: გრიგოლ რობაქიძეს... ხომ არა აქვს მკერდის შუაგულზე დაღი?..*

*დიახ, აქვს გრიგოლ რობაქიძეს დაღი მკერდისა და შუბლის შუაგულზე, დაღი სისხლიანი ფაშიზმის...*

***„გველის პერანგის“ ავტორი ტოვებს საბჭოთა საქართველოს, სადაც მართლაც აუტანელია სიცოცხლე ირუბაქ ირუბაქიძეებისათვის.***

***... გველმა პერანგი გამოიცვალა. „გველმა თავისი თავი დატოვა: მოიხსნა და გადააგდო“. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არა საკუთარ არსებას — გველი გველად რჩება მაინც.***

*„... ვიწრო ქუჩიდან ცხენოსანი გამოდის: პატარა ტანის კაცი — ყოფილი თავადი კოხტა — უბელო ცხენზე ზის, ცხენი — ძვალი და ტყავი. ცხენის კუდზე დიდი თუნუქი მიუბიათ ქუჩის ბიჭებს, ცხენოსანმა არ იცის ეს. ბიჭები ჩიტის გუნდივით მისდევენ ცხენოსანს და გაჰკივიან გახარებულნი.*

*— მარკიზ, პრობკა! მარკიზ, პრობკა!*

*მაგონდება ეს სურათი გველის პერანგიდან“.*

*„რაყიფის ყეფით“ უყეფს გრიგოლ რობაქიძე კომუნიზმს.*

*მიხაკისფერი ყანწით, ფალისტური ნიშნით — ჰაკენკროიცით — შუბლის შუაგულზე, სვამს იგი ფაშიზმის სადღეგრძელოს.*

*გონებით ვჭვრეტ მიხაკისფერ ყანწის რიტმულ მოძრაობას და თავს არ ვიკავებ ენერგიული შეძახებისაგან:*

*— გრიგოლ, პრობკა! გრიგოლ, პრობკა!!!“*

**ადვილი მისახვედრია, რომ ბრ. მუშიშვილი არამარტო გრიგოლ რობაქიძის სახელის ძირფესვიანად ამოგდებას, მისი შემოქმედების საუკუნო ანათემას ისახავს მიზნად, არამედ მეორე, არანაკლებ ვერაგული განზრახვაც ამოძრავებს; კერძოდ, რობაქიძის დასამარებით ანგარიში გაუსწოროს სიმბოლისტებსა და ცისფერყანწელებს, რომელთა იდეური ბელადი თურმე პირწავარდნილი ფაშისტი, შოვინისტი და ნაციონალისტი ყოფილა.** მარტივი არითმეტიკაა: ფაშისტი, შოვინისტი, ნაციონალისტი ბელადის მოწაფეებიც ფაშისტები, შოვინისტები და ნაციონალისტები იქნებიან.

წერილი, რომელმაც სულით ხორცამდე შემძრა, დაბეჭდილია **„ლიტერატურული საქართველოს“** 1937 წლის 19-ში, სათაურით **„მოღალატური სიტყვა და საქმე“.** გაგაცნობთ ამ წერილის რამდენიმე ფრაგმენტს:




*„ის გარემოება, რომ* ***მიხეილ ჯავახიშვილი*** *ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების გარეწარი ხროვის მონაწილე აღმოჩნდა, უსაზღვრო ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის შეგნებაში. მაგრამ ეს ფაქტი არავის არ გააკვირვებს, რადგან* ***მიხეილ ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს, უსაზღვროდ გაცოფებულს, პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და სიძულვილით.***

*ცნობილია, რომ* ***მიხეილ ჯავახიშვილს*** *საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური მოღვაწეობისა.*

***„კვაჭი კვაჭანტირაძე“*** *— ტიპური ბურჟუაზიული ყაიდის* ***ავანტიურისტული „რომანი“,*** *ავანტიურიზმის, თაღლითობის, მატყუარობისა და თვალთმაქცობის გაშიშვლებული აპოლოგიაა.*

*... არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს ავტორის სულიერი ნათესაობა და სრული მსგავსება საკუთარი ავანტიურისტულ-თაღლითური ფანტაზიის ამ ნაყოფთან.*

***მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“*** *თავისი იდეური შინაარსით კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ მებრძოლ ნაწარმოებს წარმოადგენს და ამ მხრივ სავსებით ენათესავება სისხლიანი ფაშიზმის რეაქციულ ლოზუნგს: „უკან, პრიმიტივისაკენ“.*

***„ჯაყოს ხიზნებში“ — ცილისმწამებლურად გაბიაბრუებულია და მიწასთან გასწორებული პროლეტარული რევოლუციის წინადროინდელი მთელი ქართველი ინტელიგენცია. თეიმურაზ ხევისთავის სახით ავტორმა შექმნა არა ძველი ქართველი ინტელიგენციის ტიპი, არამედ ჯავახიშვილისებური, სასიკვდილოდ განწირული რეაქციული ერთი მუჭა ინტელიგენტის განმასახიერებელი ფიგურა.***

*მიხეილ ჯავახიშვილი გადავიდა ვულგარულ-პორნოგრაფიული ხასიათის პატარა მოთხრობებზე, როგორიცაა* ***„მუსუსი“, „პატარა დედაკაცი“, „ოქროს კბილი“*** *და სხვ.* ***ამ ნაწარმოებთა ერთადერთ „დანიშნულებას“ შეადგენდა საბჭოთა ხალხის მორალური შეგნე-***



ბესარიონ ჟღენტი

# ქრონიკები

ბის შებღალვა.

*„ღამპატიჟე“ — ეს აშკარად კონტრრევოლუციური, კულაკურ-ბურჟუაზიული შინაარსის „ნაწარმოებია“.*

***მიხეილ ჯავახიშვილი კვაჭისეული ავანტიურიზმისა და ჯაყოსეული მიტმასნების დახელოვნებული ოსტატი იყო.***

*უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილის საბჭოთა მწერლის რეპუტაციის შექმნაში განსაკუთრებული „ღვაწლი“ მიუძღვის ჩვენი ხალხის დღეს უკვე საბოლოოდ ნიღაბახდილ და განადგურებულ მტრებს* ***მ. ტოროშელიძეს, ბ. ბუაჩიძეს*** *და სხვებს.*

***მ. ჯავახიშვილის მსგავსი თვალთმაქცი დივერსანტების გამომჟღავნება და განადგურება მხოლოდ აჯანსაღებს საბჭოთა ლიტერატურის ფრონტს.***

*საბჭოთა მწერლობა... შეურყეველი რწმენით განახორციელებს საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის, ამხანაგი ლ. ბერიას სიტყვებს: „არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად“.*

წერილს ხელს აწერს **ცნობილი კრიტიკოსი,** თავის დროზე ფრიად პოპულარული და ავტორიტეტული პიროვნება.

**ამ კაცს მეც მოვესწარი. ბევრი რამ მსმენოდა მასზე, მაგრამ არ მჯეროდა — მეშურნეთა და ცილისწამებელთა ჭორი მეგონა. არც ახლა მინდა დავიჯერო, მაგრამ ამ წერილს, ამ უზარმაზარი შრიფტით აწყობილ სათაურს რა ვუყო: „მოღალატური სიტყვა და საქმე“.**

სხვაგანაც, სხვა სიტუაციაშიც მრავალჯერ მინახავს იგი, მაგრამ მაინც რატომღაც უფრო პრეზიდიუმში მჯდომი ან ტრიბუნაზე მდგარი მახსოვს. **თითქოს სპეციალურად გამოუყო განგებამ შემაღლებული ადგილი — პრეზიდიუმი და ტრიბუნა, რომ ამ სიმაღლიდან ემოძღვრა მრევლი, „ცოდვილნი“ გაეკიცხა და გაეცამტვერებინა, ურჩნი დაეთრგუნა და მოეთოკა, მორჩილთა და თავდადრეკილთათვის კი წყალობა ებოძა.**

სხვათა განკითხვის, სხვათა ბედის თავის ნებაზე მართვის უფლება მისცა ბედისწერამ და მასაც ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან ეს შემთხვევა. **მთელი ცხოვრება პრეზიდიუმში და ტრიბუნაზე გაატარა უბრალოდ მოკვდავთაგან გამიჯნულმა, საპატიო საკარცხულში, და რატომაც არა — იგი ხომ ქართული საბჭოთა კრიტიკის თავკაცად, მახვშად ითვლებოდა...**

მას ბრწყინვალე ორატორად მიიჩნევდნენ. მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებოდი და უფრო გულდასმით მიუგდებდი ყურს მის მჭევრმეტყველებას, ერთ ნიშანდობლივ შტრიხს შეამჩნევდი: **მის ლაპარაკში გული არ მონაწილეობდა, ის, როგორც იტყვიან, გულს გარეთ ლაპარაკობდა. სიტყვები თავისით, მისდაუნებურად მოცვიოდნენ და მოცვიოდნენ ბაგეებიდან. ის კი თითქოს განზე იდგა. გეგონებოდათ, თვითონ კი არ ლაპარაკობს, არამედ მის ტვინში, როგორც მაგნიტოფონში, ვიღაცის მიერ ჩაწერილ სიტყვებს იმეორებს მექანიკურად, გაუაზრებლად, მონოტონურად.**

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ის მაინც ახერხებდა მსმენელთა ყურადღების დაპყრობას, უფრო სწორად, მსმენელთა დაჰიპნოზებას.

**იმის თქმას, რასაც ეს კაცი ორ-სამ საათს ანდომებდა, ალბათ, ათი წუთიც ეყოფოდა, მაგრამ არა, ის ჯიუტად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. სხვადასხვაგვარი ვარიაციებით იმეორებდა და იმეორებდა ერთსა და იმავეს.**

გვიან მივხვდი — ეს მისი ორატორული ხერხი იყო, ნაცადი ხერხი. ამ გაუთავებელი ლაპარაკით ის ახერხებდა საბოლოოდ დაეღალა მსმენელი, უფრო სწორად, გამოეთაყვანებინა, დაეჩლუნგებინა იგი. მერე კი სიჩაგაცლილი აუდი-

**ტორიის საკუთარ ნებაზე ტარება ადვილი საქმე იყო და დათრგუნვილი მსმენელიც მორჩილად უგდებდა ყურს მის ერთფეროვან ლაპარაკს.** ყურს კი არ უგდებდა, ყვინთავდა, თვლემდა ამ მაღალფარდოვანი, აზრგამოცლილი სიტყვების კაკაფონიაში **(ასეთი რამ შეიძლება მდინარის ნაპირას მჯდარ კაცს დაემართოს — მდინარე ერთი და იგივე მონოტონურ ხმაზე ლაპარაკობს, ის ახალს არაფერს ამბობს და სწორედ ამ თავისი ერთფეროვანი მელოდიით გღლის, გაყუჩებს, გთრგუნავს, ნირვანაში გადაჰყავხარ).**

რატომ გავამახვილე ყურადღება ამ კაცის ორატორული ხელოვნების მეთოდებზე? უფრო იმიტომ, რომ **ამგვარი მეთოდი ტიპური მოდელია იმ დროისა, რომელსაც ეს კრიტიკოსი ეკუთვნოდა.** განა ერთი და ორი გვახსოვს ზუსტად ასეთი მანერით მოსაუბრე ორატორი?

ეთქვათ ისე, რომ არაფერი ეთქვათ — აი, მათი ორატორული ხელოვნების მთავარი დედააზრი, ზოგადი ფრაზებით, დეკლარაციული, არაფრისმთქმელი სიტყვების კორიანტელით, ყალბი პათოსით და პათეტიკით დაეთრგუნათ, ჩაეხშოთ ადამიანთა გონება — აი, მათი უმთავრესი მიზანი.

ასეთი მეთოდი **პიროვნების კულტის** აღმოფხვრით არ დამთავრებულა. მან ძალიან დიდხანს იბოგინა ჩვენს ყუ-

ფაში. **ადამიანებს ახლაც უდგათ ყურში ის გამაყრუებული ხმაური — დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ხმაური, თავისი მზაკვრული არსებობით ადამიანებისათვის ყველაზე უძვირფასესი თვისების — აზროვნების ჩაკვლას და ჩაქოლვას რომ ისახავს მიზნად.**

ერთი რამ მინდა, თავიდანვე განვაცხადო: **მე არ ვაპირებ ვინმეს სახელის სამარცხვინო ბოძზე გაკვრას, არც ვინმეს საფლავიდან ამოთხრას მოვითხოვ. მითუმეტეს, საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ სისხლის ჭაობში ეძებო თითო-ოროლა კონკრეტული ბოროტმოქმედი, უაზრობაა. ამ ტრაგედიის მონაწილენი ბევრნი არიან...**

მე სხვა რამ მაინტერესებს: **რა მოხდა, რამ გამოიწვია ადამიანის ასე გადაგვარება, ადამიანის დაცემა, რა ცოდვის მორევი დატრიალდა, რამ მიიყვანა ადამიანი სულიერ დეგრადაციამდე. მე იმ დროის სულისკვეთება მაინტერესებს, იმ დროის მორალური და ზნეობრივი პრინციპები და, რა თქმა უნდა, ის მიზეზები, რამაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

**„მოღალატური სიტყვა და საქმე“** რომ გამოქვეყნდა, იმ დროისათვის რეპრესიები კარგა ხნის დაწყებულია. უკვე განიარაღებულია **ზინოვიევ-კამენევის ბანდა,** რომელსაც **სერგეი კიროვის** მოკვლა ედება ბრალად, დამთავ-

რდა ე.წ. „ანტისაბჭოთა ტროცკისტული პარალელური ცენტრის პროცესი“, **აი, რა წერია ამასთან დაკავშირებით 1937 წლის 30 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“:**

*„საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი.*

*თქვენი შეუნელებელი ყურადღებისა და მზრუნველობის მეოხებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.*

*არასოდეს ქართულ მწერლობას, მხატვრობას და მუსიკალურ ხელოვნებას არ ჰქონია ისეთი ფართო რეზონანსი, როგორც დღეს.*

*დღეს კი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე წარმდგარია უვერაგეს ბოროტმოქმედებაზე დაჭერილი სისხლიანი დივერსანტების და მავნებლების, კაპიტალიზმის რესტავრატორების ხროვა — პიატაკოვის, რადეკის, სერებრიაკოვის, სოკოლნიკოვის და სხვათა სახით.*

*... ამ გარეწართა ხროვაში მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც — ხალხის მოსისხლე მტრისა და გაუსწორებელი კონტრრევოლუციური ტროცკისტის* **ბუდუ მდივნის** *მეთაურობით“.*

მიმართვას მოსდევს მწერალთა გამოხმაურებანი: **„სიკვდილი მუხანათურ მტერს!“ „ზიზღი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს“,** — ასეა დასათაურებული ეს წერილები.

დღევანდელობის თვალსაზრისით საინტერესოა ერთ-ერთ გამოხმაურებაში გამოთქმული მოსაზრება: ***„მათ (ტროცკისტებმა — ვ.ხ.) ისიც იცოდნენ, რომ კერძო საკუთრების აღდგენა ნამდვილად მონობის აღდგენას გვიქადის... საკმარისია უცხოელებმა რამდენიმე ბანკი გახსნან, რომ რამდენიმე წელიწადში მთელი ჩვენი მიწა-წყალი დაისაკუთრონ და ყველანი მონებად გვაქციონ. ეს იმდენად ცხადია, რომ ამას ბალღიც კი გაიგებს“.***

## გვახსოვდეს, რათა არასოდეს განმეორდეს!

ამ სიტყვების დაწერიდან ნახევარმა საუკუნემ უნდა გაიაროს, რომ მტყუანმართალი გაირკვეს. ჯერ კიდევ 1937 წელია და სხვებთან ერთად მხატვრული სიტყვის ოსტატებიც ასე ლანძღავენ **„კაპიტალიზმის რესტავრატორების ხროვას“ — „განდიდებული მანიაკები“, „მყრალ ბუნაგში მხოხავი ქვეწარმავლები“, „გველური, ქვეშქვეშა, დაუნდობელი მოღალატეები“, „მყრალი ჯიშის ადამიანები“, „ყაჩაღები“, „ჯაშუშები“, „დივერსანტები“, „ფაშიზმის მიერ მოსყიდული მკვლელები“, „ზნედაცემულები, გათახსირებულები“, „გამოთაყვანებულები“, „ნაძირალები, წუნკალი არსებები“** და ა.შ.

დააკვირდით ამ სიტყვებს! ისიც გაითვალისწინეთ, რომ წერილები, საიდანაც ისინი ამოვკრიფე, მანქანაზე გადაბეჭდილ ერთ გვერდს არც აღემატება და ადვილად მიხვდებით, ლანძღვაგინების რა კორიანტელია დაყენებული მათში.

**დააკვირდით ამ სიტყვებს! ეს იმ დროის სინტაქსია, იმ დროის ჟარგონია, იმ დროის ხელწერაა, ამ სიტყვებს ქვებივით დააყრიან ხოლმე ათასობით უდანაშაულო ადამიანს, რომ ჩაქოლონ, გააცამტვერონ.**

ამ სიტყვებითვე ჩაქოლავენ იმ წერილების ოთხი ავტორიდან ორს — თითქოსდა მათ მიერვე ადრე ნასროლ ქვებს მოკრებენ და ჩაქოლავენ...

**„სტალინზე ხელის ამართვა... ხელის ამართვაა მანათობელ მზეზე“** — ასეთი პათეტიკით მთავრდება ერთი წერილი და ამგვარი პათეტიკა დიდხანს, დიდხანს გაჰყვება რეფრენად ლექსებს და მოთხრობებს, რომანებს და პიესებს.

სულ მალე გამოიცემა მოზრდილი კრებულიც **„ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, „სტალინ, ეგ შენი სამშობლო არი, სამაგალითო მხარედ ქებული, გამოგყოლია მშობლის სიდინჯე, სიამაყე და სიბრძნე მთებუ-**






**რი“, „ფოლადო, დაუგრეხელო, კაცო, მართალო ყელამდი, ნახმევო დიდი ხმებისა, ერთი ხარ — დიდი ბელადი“, „და კომუნიზმის ხსენებასთან ერთად შენი სახელი დამკვიდრდა ისე, როგორც ვიტყვით: პური, მდინარე, ანუ გრიგალი, ანუ მთიდან გამოძახილი ლილეოს ჰიმნი, გმირული და პირმომცინარე“, „შენს ცქერას ჰგავს ელვა ხმალის, შენ რუსთველის გშვენის ფესვი, შენს ლექსებში სითბო თვალის და ლენინის სიბრძნე გვესმის“.**

ამ ლექსებსაც დააკვირდით: ესეც იმ დროის სინტაქსია, იმ დროის ჟარგონი, იმ დროის ხელწერა:

წიგნში **„ლექსები და სიმღერები სტალინზე“** ვკითხულობთ:

***„გასაოცარია ბელადის სახე როგორც პოეტების ლექსებში, ისე ფოლკლორში. ეს არის მებრძოლის სახე, ეს არის წინამძღოლისა და გამარჯვებათა მეთაურის სახე, ეს არის ხალხთა მამისა და ლენინის საქმის ერთგული გამაგრძელებლის სახე, ყველგან სტალინი მოჩანს მთელი თავისი სიმტკიცით, რკინის ნებისყოფით, თავისი ღიმილითა და მზიურობით.*** *სტალინი დგება ჩვენ წინაშე არა მარტო როგორც უდიდესი ისტორიული მოღვაწე, რომლის მსგავსი არ ახსოვს მატიანეს, სტალინი გვატყვევებს ამ ლექსებში როგორც ადამიანი. ბრინჯაოს მსგავსი სახე ანთებულია ცეცხლისმფრქვეველი თვალებით.*

***ეს წიგნი თავიდან ბოლომდე ნაკარნახევია უდიდესი სიყვარულით ბელადისადმი, რომელმაც შექმნა ჩვენი სასახელო და ბედნიერი სიცოცხლე. ქართველი ხალხის პატაკი ხალხთა ბელადს, ჩვენი მხატვრების სურათები, რომელნიც ასახავენ ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის პირველ პერიოდს და ეს წიგნი — „ლექსები და სიმღერები სტალინზე“*** *— ერთი კატეგორიის მოვლენებია. ჩვენ გავიმეორებთ წინასიტყვაობის ერთ ადგილს:* ***„ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის, ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებამ“ ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის“, რომელმაც გადაგვიშალა დიდი სტალინის რევოლუციური ბრძოლების დაუვიწყარი სურათები, უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ჩვენს პოეტებს, რომელნიც აღფრთოვანებულ ლექსებში გამოხატავენ ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური სტალინისადმი.***

*მეტად დიდია მნიშვნელობა ამ წიგნისა, რომელიც ქართული პოეზიის უდავო მიღწევას წარმოადგენს“.*

**მოგვიანებით, თითქმის ოცი წლის შემდეგ, ერთ-ერთი ყოფილი მეხოტბეთაგანი, იტყვის: სტალინზე ყველა წერდა — რუსიც და უკრაინელიც, ბელორუსიც და სომეხიც, მაგრამ იმდენი ლექსი, მოთხრობა, რომანი თუ პიესა, რაც ჩვენში, საქართველოში დაიწერა, არსად შექმნილა და ეს არცაა გასაკვირი: ის ხომ ჩვენიანი იყო, ჩვენებური და დიახაც, გვეამაყებოდა, გვიხაროდა ეს. ამ სიამაყით და სიხარულით იყო გამოწვეული მისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების სიუხვე.**

ახლა სტალინის ხელით შევსებული ანკეტა გავიხსენოთ: **„ეროვნება — ქართველი, მშობლიური ენა — რუსული“.**

•

1937 წლის 15 მაისი. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის X ყრილობაზე მოხსენებით გამოდის **ლავრენტი ბერია.** გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ მოხსენების დასკვნითი ნაწილიდან:

***„აღმოჩენილ იქნა ტროცკისტულ-ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე. ს. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე*** *და სხვები, სრულიად საკავშირო ტროცკისტული ცენტრის წევრებთან* ***პიატაკოვთან, სერებრიაკოვთან*** *და სხვ. კავშირი ჰქონდათ გაბმული* ***ბ. მდივანს, ს. ქავთარაძეს*** *და სხვ.*

***... ჩვენმა პარტიამ ძლიერი სტალინური ხელით გაანადგურა ფაშიზმის ეს დაქირავებული აგენტები, ტროცკის დამქაშები.***

*... ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს ხომ მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ხალხის ამჟამად გამომჟღავ-*

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## გვახსოვდეს, რათა არასოდეს განმეორდეს! ★



ვახტანგ ხარჩილავა

# სისხლიანი ქრონიკები

დასაწყისი მე-4 გვერდზე

*ნებულ მტრებთან, ხვდებოდა მათ სამსახურშიც, პირად ცხოვრებაშიც, ამ ამხანაგებს რომ ოდნავ მაინც გამოეჩინათ სიფხიზლე, მაშინ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და ხალხის მტრები გაცილებით ადრე იქნებოდნენ გამომჟღავნებულნი და მათ საშუალება არ ექნებოდათ, საქმე ეფუჭებინათ და მავნებლობა გაეწიათ.*

***ხმები ადგილიდან: მართალია!***

*... რაც შეეხება ისეთ ამხანაგებს, როგორებიც არიან* ***ბ. ყურულაშვილი. თ. ჟღენტი, შ. მათიკაშვილი,*** *ისინი არა თუ ახლო, მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ხალხის ცალკეულ, ამჟამად გამომჟღავნებულ მტრებთან, არამედ პირდაპირ უკავშირდებოდნენ მათ და მათი დამქაშები იყვნენ.*

***ხმები ადგილიდან: მართალია!***

*... ამხანაგებო! ჩვენში იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ლაყბობდნენ თითქოს „აუტანელი“ რეჟიმის შესახებ ამიერკავკასიისა და საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებში ადამიანებისადმი შეუგუებლობისა და არაობიექტური დამოკიდებულების შესახებ.* ***პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ მუშაობაში რაღაც „ჩეკისტური მეთოდების“ გამოყენების შესახებ, იმის შესახებ, რომ მშრომელთა მდგომარეობა საქართველოში თითქოს უარესდება და საქართველო დაღუპვისკენ მიექანებაო.***

*... ამ საზიზღარი ცილისმწამებლური სიცრუის ფაბრიკაციასა და გავრცელებას ეწეოდნენ ხალხის მტრები —* ***ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, პ. აღნიაშვილი, კ. მოდებაძე და სხვები.***

*... ისინი ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ სახელი გაეტეხათ და შეერყიათ ხელმძღვანელობა, დეზორგანიზაცია შეეტანათ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა რიგებში და ამით თავისთვის გაეადვილებინათ თავიანთი კონტრრევოლუციური, შავი, მტრული საქმე.*

***ხმები ადგილიდან: მართალია!***

*... საქართველოს ბოლშევიკები მომავალშიც მთელი დაუნდობლობით და შეურიგებლობით გაუსწორდებიან პარტიის და ხალხის ყველა მტერს, მავნებლებს, დივერსანტ-ჯაშუშებს და მათ დამქაშებს.*

***... საქართველოს კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წავა წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებისკენ*** *(მქუხარე ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში, ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზიდან ისმის შესახილები: გაუმარჯოს სტალინს! ურა! ვაშა!).*

**ამ ყრილობის 643 დელეგატიდან, ვინც ახლა „ურა!“ „ვაშას!“ ყვირის ფეხზე წამომდგარი, სულ ცოტა ხანში 425 კაცი დახვრეტილი ან გადასახლებული იქნება!**

ხედავთ, თურმე, როგორი ჭორი ყოფილა ეს **„რაღაც ჩეკისტური მეთოდები?“**

იმასაც დააკვირდით, რა წამდაუწუმ ჩაერთვება დარბაზიდან რეპლიკა: **„მართალია!“** შეიძლება ადრევე გაწვრთნილი კვერის დამკვრელები სხედან დარბაზში, რომლებმაც წინასწარ იციან, როდის დაიძახონ — **„მართალია!“** და ამით შექმნან ილუზია დემოკრატიულობისა, რომ განაჩენი ერთ კონკრეტულ პიროვნებას კი არა, ხალხს გამოაქვს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ დარბაზში მსხდომნი თავიანთი ნებით და სურვილით იძახდნენ ამ სიტყვას.

**ამ 643 კაციდან უმრავლესობამ უთუოდ იცის საქმის ნამდვილი არსი, იცის, რომ „ჩეკისტური მეთოდი“ ნამდვილად მოქმედებს — რეპრესიები კარგა ხნის დაწყებულია, იცის, რომ უსამართლობა და ძალადობა გამეფებულა ირგვლივ, მაგრამ მაინც ერთგულად უკრავს ტაშს ცრუპენტელა ორატორს, სიცრუეს უკრავს ტაშს და ზედ „მართალია, მართალიასაც“ მიაყოლებს არხეინად.**

ამ გულგრილობისა და ლაჩრობის შედეგიც ხომ არაა 643 კაციდან 425-ის განადგურება?

**ახლა, როცა 8 ათეულ წელზე მეტია გასული, ძნელია, იმ ადამიანთა სულში ჩავიხედოთ და პირუთვნელად განვსაჯოთ მათი საქციელი, მაგრამ იმის თქმის უფლება კი გვაქვს, რომ იმ უბედურებაში, იმ განუკითხაობაში კვერის დამკვრელებმაც ითამაშეს საბედისწერო როლი — ორმა და სამმა კი არ გაანადგურა ათასობით ადამიანი, არამედ ათასებმა გაჟლიტეს ერთმანეთი.**

**პიროვნების კულტიც** ათასებმა შექმნეს და შეთხზეს, მათი სიმხდალის, სულმოკლეობის გამო გალაღდება ასე ძალმომრეობა და სისასტიკე და ძალიან, ძალიან დიდხანს არ გამოჩნდება კაცი, რომელიც ამ გამაყრუებელ ოვაციაში, ამ მქუხარე, ხანგრძლივ ტაშში **„მართალიას“** ნაცვლად მთელი ხმით იყვირებს: — **ტყუილია! ტყუილია!**

კარგად მესმის, რომ იმ დროისათვის ამის თქმა თავის გაწირვას ნიშნავდა, მაგრამ სიცოცხლე განა იმიტომ არ მოგვეცა, რომ სიმართლის მსახურებას, სათნოების, სიკეთის გამარჯვებას შევწიროთ. ეს ადამიანის უპირველესი მოვალეობაა და როცა იგი ამ მოვალეობას განუდგება, ამით თავის თავსაც უარყოფს და ღალატობს.

**„ვიღაცას ყოველდღე კლავენ დანარჩენთა თვალწინ“. მერე იმ „დანარჩენების“ რიგიც მოვა, ჯერ კი ეს „დანარჩენები“ უკრავენ ტაშს ამ „ვიღაცის“ სიკვდილს, არ უწყიან, რომ ეს „ვიღაცა“ თვითონვე არიან და მისი უბედურებისთვის ტაშის დაკვრით თავიანთ უბედურებასაც უკრავენ ტაშს.**

ათასები ერთმანეთს ოვაციებით და ტაშის ქუხილით მიაცილებენ სამარეში.

**რა გულისმომკვლელი, საბრალო პროცესიაა და ამ პროცესიას ადევნებულმა ლამის არის ურყევ ჭეშმარიტებად ვირწმუნო ბლეზ პასკალის სიტყვები: „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, რა ქნან, ასეთია მათი ბუნება. და თუმცა, ხანდახან მაინც ცდილობენ, საზოგადო სიკეთეს დაუქვემდებარონ თავიანთი ანგარება, ყველა ამნაირი ცდა სხვა არა არის რა, თუ არა პირფერობა, გულმოწყალობანას თამაში, ყალბი ქველმოქმედება, ვინაიდან თავი და თავი მაინც ურთიერთსიძულვილია“.**

გაიხსენეთ, რას ამბობს ზემოთ მოყვანილი მოხსენების ნაწყვეტში **ლავრენტი ბერია:**

*„ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს ხომ მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ხალხის ამჟამად გამომჟღავნებულ მტრებთან, ხვდებოდა მათ სამსახურშიც, პირად ცხოვრებაშიც. ამ ამხანაგებს რომ ოდნავ მაინც გამოეჩინათ სიფხიზლე, მაშინ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და ხალხის მტრები გაცილებით ადრე იქნებოდნენ გამომჟღავნებულნი“...*

**როგორც ხედავთ, ბერია პირდაპირ, არაორაზროვნად მოუწოდებს ადამიანებს, ერთმანეთი გასცენ, ერთმანეთი დაასმინონ, მაბეზღრობას, ცილისმწამებლობას კანონის, მოქალაქეობრივი ვალდებულების, ზნეობრივი კატეგორიის სახე მიუღია და ადამიანებიც გულმოდგინედ, ერთგულად ასრულებენ წინამძღოლთა ქადაგებას: ცილს სწამებენ ერთმანეთს, ასმენენ, აბეზღებენ...**

რესტავრირებულია და ყოველდღიურ ცხოვრებაშია დანერგილი ინკვიზიციის მეთოდები: ეძებე შენ გარშემო ერეტიკოსები, ეძებე და გამოამჟღავნე, თუ თვითონ შენც ერეტიკოსი არა ხარ.

**და რა ქნას ადამიანმა, როცა თითო-ოროლა პიროვნება კი არა, მთელი ქვეყანაა ეჭვმიტანილი, ერთის გარდა არ არსებობს ადამიანი, რომელიც დაზღვეული იქნება ბრალდებისაგან?**

*გაგრძელება იქნება*



კონსტანტინე გამსახურდია



მიხეილ ჯავახიშვილი



გრიგოლ რობაქიძე



ლიტერატურული საქართველო

29 მაისი, 1937 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრ[ილობას]

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წლის 15 მაის[ს]

## ახლა, როცა 8 ათეულ წელზე მეტია გასული,

**ძნელია, იმ ადამიანთა სულში ჩავიხედოთ და პირუთვნელად განვსაჯოთ მათი საქციელი, მაგრამ იმის თქმის უფლება კი გვაქვს, რომ იმ უბედურებაში, იმ განუკითხაობაში კვერის დამკვრელებმაც ითამაშეს საბედისწერო როლი — ორმა და სამმა კი არ გაანადგურა ათასობით ადამიანი, არამედ ათასებმა გაჟლიტეს ერთმანეთი!**

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-25*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** იმ გლობალური მასშტაბის პოლიტიკური სიურპრიზის შესახებ გვესაუბრება, რომელიც 1959 წლის 1 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ცხვირწინ, კუნძულ კუბაზე, ფიდელ კასტრომ, ერნესტო ჩე გევარამ და მათმა თანამოაზრეებმა მოაწყვეს და მიიჩნევს, რომ იმ ტიპის ეკონომიკური ხელშეკრულება, რომლითაც ხუთმილიონიანი კუბა, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის სარჩენი გახდა, ნებისმიერ სახელმწიფოს გამოხრავს, გამოფიტავს და დაანგრევს:*



# ისტორიკოსის თვალით ★

## სვიმონ მასხარაშვილი:

# კუბის რევოლუცია მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი აფერა იყო!

— კუბა ლათინურ ამერიკაში ესპანელთა უკანასკნელი კოლონია იყო, რომლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დამონებული ზანგები, ინდიელები და მათი ნაჯვარი მოსახლეობა წარმოადგენდა. კუბას, რომელსაც **ქრისტეფორე კოლუმბი** 1492 წელს მიადგა, უხსოვარი დროიდან მართავდნენ თეთრკანიანი ესპანელები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 1 პროცენტსაც არ შეადგენდნენ. მმართველი ელიტა, როგორც წესი, დამონებულ ხალხს შაქრის ლერწმისა და თამბაქოს პლანტაციებში ამუშავებდა. ფიდელ კასტროს მამაც, რომელიც წარმოშობით სწორედ ესპანელი გახლდათ, მდიდარი პლანტატორი იყო, რომელმაც შვილებს შესანიშნავი განათლება მისცა... მაგალითად, ფიდელმა ჯერ კათოლიკური კოლეჯი დაამთავრა, ხოლო შემდეგ — ჰავანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

**— ბატონო სვიმონ, იყო თუ არა ფიდელ კასტრო იდეური მარქსისტი?**

— ფიდელ კასტრო იყო ძალიან ცბიერი ადამიანი, რომელმაც მარქსიზმი ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენა, რათა კუბის მოსახლეობა, კერძოდ, გლეხობა, ისევ პლანტაციებში შეერეკა და აღედგინა ის სტატუსკვო, რომელიც აქ ამერიკა-ესპანეთის 1898 წლის ომის შემდეგ დაირღვა, როცა ესპანეთმა კუბა დაკარგა და კუნძული ამერიკის გავლენის ქვეშ გადავიდა. მაშინ ფილიპინებისა და პუერტორიკოსგან განსხვავებით, შეერთებულ შტატებს კუბა უშუალოდ არ შეუერთებია და კუნძული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რომელთანაც საგარეო ვაჭრობაში პრიორიტეტი მიენიჭა სწორედ შეერთებულ შტატებს. ფიდელ კასტროს თავის დროზე ხუმრობით აქვს ნათქვამი — **მზად ვარ, კომუნისტიც კი გავხდე, თუ ჩემს გაკომუნისტებას ჩემი გასტალინება მოჰყვებაო!**

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ცბიერმა **ფიდელ კასტრომ** სულელი **ნიკიტა ხრუშჩოვი** გააბრიყვა და საბჭოთა კავშირს სარჩენად ხუთმილიონიანი კუბა აჰკიდა! დიახ, **მთელი 32 წლის განმავლობაში, 1959 წლიდან 1991 წლამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირი თავზე არ დაემხოთ, კრემლის მესვეურები პირდაპირ აჭმევდნენ და ინახავდნენ კუბას!**

2004 წელს ისტორიკოსებმა ამერიკის არქივებში აღმოაჩინეს მცირეწლოვანი **ფიდელ კასტროს** წერილი **ფრანკლინ რუზველტისადმი,** სადაც ის ამერიკის პრეზიდენტს 1936 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს, ადიდებს ამერიკას და ითხოვს — **კოლექციონერი ვარ, 200-დოლარიანი კუპიურა ვერსად ვიშოვე და თუ შეიძლება, გამომიგზავნეთო!** ფიდელ კასტროს ამერიკის სიყვარულისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს, მაგრამ 200-დოლარიანი კუპიურა არ გაუგზავნეს, რომელიც მაშინ საკმაოდ დიდი ფული იყო!

**— ე.ი. ფიდელ კასტროს ხელისუფლების სათავეში მოყვანაში საბჭოთა კავშირს არავითარი როლი არ უთამაშია?**

— არავითარი! სამაგიეროდ, 1959 წელს **ფიდელ კასტროსა** და მისი ჯგუფის ხელისუფლებაში მოსვლა მთლიანად ჯდებოდა შეერთებული შტატების ინტერესებში, რადგან კუბა და იქ განლაგებული ბორდელები და კაზინოები, ფაქტობრივად, ამერიკის ეკონომიკისთვის უდიდეს „შავ ხვრელად“ იყო ქცეული, რომელიც ქვეყანას ძირს უთხრიდა. 1933 წელს, როცა ამერიკაში „მშრალი კანონი“ გაუქმდა, ცნობილი განგსტერი **ლაკი ლუჩიანო** დაუკავშირდა კუბის მაშინდელ მმართველ **ფულხენსიო ბატისტას** და კუბაში „შავი ფულის“ „გათეთრება“ დაიწყო. 1952 წელს, როცა ბატისტამ გადატრიალება მოახდინა და ხელისუფლებაში ისევ დაბრუნდა, ამჯერად უკვე მთელი ამერიკის ფინანსური ოლიგარქია მოაწყდა კუბას. კუბის რევოლუციამდე ამ პატარა კუნძულზე დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი იყო ამერიკიდან შემოზიდული „შავი ფულის“ სახით. აღარაფერს ვამბობთ **როკფელერების, მორგანებისა** და სხვა მილიარდერების მიერ კუბაზე შემოტანილ ოფიციალურ „თეთრ ფულზე“... **ლას-ვეგასის კაზინოებს ამერიკის ხელისუფლება აკონტროლებდა, მაგრამ კუბაში ასეთი კონტროლი ვერ ხერხდებოდა, ამიტომაც ბატისტას რეჟიმი ვაშინგტონისთვის სერიოზულ თავის ტკივილად იქცა.** აქედან გამომდინარე, როგორც კი 26 წლის **ფიდელ კასტრომ** ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, მას ხელისუფლებაში მოსასვლელად დაეხმარა არა სულელი ხრუშჩოვი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები.

**— მაინც როგორ დაეხმარა?**

— მოგეხსენებათ, ფიდელ კასტრომ და მისმა თანამოაზრეებმა 1953 წელს კუბაში ერთ-ერთ სამხედრო ნაწილზე მიიტანეს იერიში, რის გამოც ისინი დააპატიმრეს. კათოლიკური ეკლესიის ზეწოლით, რომელსაც კუნძულზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, კასტრო და მისი ჯგუფი 1955 წელს გაათავისუფლეს. სხვათაშორის, ფიდელმა, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, გავლენიან კათოლიკურ ეკლესიას მაშინვე ალიკაპი ამოსდო. გათავისუფლებული ფიდელი და მისი რაზმელები მექსიკაში გადაიხვეწნენ, სადაც გაიცნეს იდეური მარქსისტი, არგენტინელი ექიმი და მოგზაური **ერნესტო გევარა,** ანუ იგივე **„ჩე გევარა“,** რომელიც ერთხელაც კი არ იყო კუბაში ნამყოფი. სწორედ ჩე გევარასგან შეიტყო ფიდელ კასტრომ საბჭოთა კოლმეურნეობის შესახებ და ეს მოდელი ძალიან მოეწონა, რადგან მიხვდა, რომ კუბელი გლეხების პლანტაციებში გასარეკად და მონობაში დასაბრუნებლად კოლმეურნეობა იდეალური საშუალება იყო.

1956 წელს 12-კაციანი მოტორიანი იახტა „გრანით“, რომელიც 12 ათას დოლარად იყიდეს, **ფიდელი, ჩე გევარა,** და კიდევ 80 კაცი მექსიკიდან კუბისკენ გამოემართნენ და 2 დეკემბერს კუნძულს მოადგნენ. კუბაში მათ ჩამოსვლას ხალხი დათქმულ დროს ელოდა, მაგრამ ვიღაცას იახტის საპირფარეშოში წყალი დარჩა მოშვებული, რის გამოც ტრიუმი წყლით გაივსო და იახტამ ჩაძირვა დაიწყო. ვიდრე წყალს ტრიუმიდან ამოქაჩავდნენ, კუბაში ჩასვლა ორი დღით დაგვიანდა, ამიტომ იმ აქციებს, რომელიც ჰავანაში დათქმულ დროს ფიდელისა და ჩე გევარას გარეშე მოეწყო, არავითარი ეფექტი არ ჰქონია... აჯანყებულები სიერა-მაესტრას მთებში, ჯუნგლებს შეეფარნენ. ამ 82 კაციდან ბატისტას ჯარისკაცებთან შეტაკებაში 62 დაიხოცა, ხოლო 20 ცოცხალი გადარჩა, რომლებიც ბატისტამ საერთოდ მიივიწყა.

**— არც ამ შემთხვევაში დახმარებია ნიკიტა ხრუშჩოვი აჯანყებულებს?**

— რაოდენ გასაკვირიც გინდა იყოს, ტყეში გასულ **ფიდელ კასტროსა და ჩე გევარას** საბჭოთა კავშირი კი არა, ამერიკული „ცეერუ“ და „ეფბიაი“ ეხმარებოდნენ! **სწორედ ამერიკელების და არა საბჭოთა კავშირის დახმარებით, ჩე გევარამ კუბის ჯუნგლებში გამართა უძლავრესი რადიოსადგური, რომლითაც ფიდელ კასტრო კუბის მოსახლეობას მიმართავდა.** აჯანყებულების ბანაკში სულ იყვნენ ამერიკელი ჟურნალისტები, „ნიუ-იორკ თაიმსში“ დაიბეჭდა ფიდელ კასტროს დიდი ინტერვიუ. გარდა ამისა, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა საგულდაგულოდ გადაამოწმეს და ვერც ფიდელ კასტროს და ვერც ჩე გევარას კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურებთან ვერ დაადგინეს. ბოლოს და ბოლოს, **ფულხენსიო ბატისტა** რატომ გაიქცა? გაიქცა იმიტომ, რომ მან ამერიკის მხარდაჭერა დაკარგა და მიხვდა, რომ ცოტას თუ დააყოვნებდა, მთელ ქონებას დაკარგავდა. ამიტომ იყო, რომ ბატისტამ მთელი კუბის ოქროს მარაგი წაიღო და წავიდა... მხოლოდ ამის შემდეგ შევიდნენ აჯანყებულები ჰავანაში, რომელთა შორის პირველი იყო სწორედ **ჩე გევარა** და არა **ფიდელ კასტრო**. ფიდელი იბრძოდა მონოპოლიებისა და „შავი ფულის“ წინააღმდეგ, რაც ამერიკელებს ხელს აძლევდათ. აქედან გამომდინარე, **ფულხენსიო ბატისტას** რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ფიდელ კასტროსა და ამერიკელების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ასე რომ, 1959 წლის 1 იანვარს კუბის რევოლუციის გამარჯვებაში მთავარი როლი ითამაშა ამერიკამ და არა საბჭოთა კავშირმა.

რევოლუციის შემდეგ ჩე გევარამ პირდაპირ განაცხადა — **ჩვენს გამარჯვებაში კუბელი ხალხის მხარდაჭერაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების საზოგადოების მხარდაჭერა!** უფრო მეტიც, 1960 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ხრუშჩოვი გაეროში არ გამოვიდა და ტრიბუნაზე ფეხსაცმელი არ უბრახუნა, ფიდელ კასტრო და ნიკიტა საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს.

**— თუ ფიდელ კასტროსა და ჩე გევარას არ იცნობდა და მათ უკან ამერიკული სპეცსამსახურები იდგნენ, ნიკიტა ხრუშჩოვი კუბის რევოლუციას აღფრთოვანებით რატომ შეხვდა?**

— კუბის რევოლუცია იმის უტყუარი დასტურია, თუ როგორ მოსპეს და გაანადგურეს **ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ** სტალინისა და ბერიას მიერ შექმნილი უშიშროების სისტემა. **სულელი ხრუშჩოვი ვერ მიხვდა, რომ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ბატისტას რეჟიმის დამხობა ამერიკის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა.** ნიკიტასაგან განსხვავებით, სტალინისთვის მთავარი იყო პირადი კონტაქტები, ხოლო ხრუშჩოვი ლამის ორგაზმამდე მივიდა, როცა გაიგო, რომ სადღაც კუბაზე კომუნისტურმა რევოლუციამ იფეთქა. სტალინს, როგორც წესი, მარქსისტების, კერძოდ, **ჩე გევარასა და ფიდელ კასტროს** მსგავსი მქადაგებლების არ სჯეროდა. ხოლო **ხრუშჩოვში** კუბის რევოლუციამ გააცოცხლა ტროცკისეული „პერმანენტული რევოლუციის“ ბოდვითი იდეა, ამიტომ ის გაგიჟდა, გადაირია და კუბის რევოლუციის მიმართ ხიბლში ჩავარდა. ამით ისარგებლა **ჩე გევარამ,** ჩამოფრინდა მოსკოვში, მოხიბლა ხრუშჩოვი და დაითანხმა შემდეგზე — **ზუსტად სამჯერ ძვირად, ვიდრე ამერიკელები ყიდულობდნენ, საბჭოთა კავშირი კუბისგან შეიძენდა შაქრის ლერწამს, ხოლო სანაცვლოდ, ბევრად უფრო იაფად, ვიდრე ეს მსოფლიო ბაზარზე ღირდა, მოსკოვი კუბას მიაწვდიდა ნავთობპროდუქტებსა და იარაღს!** ეს იყო საბჭოთა კავშირისთვის ეკონომიკური კატასტროფა, რადგან 5 მილიონი კაცის ასე შენახვა, ნებისმიერ ძლიერ სახელმწიფოს გამოფიტავდა და დაანგრევდა.

სანამ ნიკიტა ხრუშჩოვი ხელისუფლებაში იყო, მანამდე კუბა საბჭოთა კავშირს წველიდა, ხოლო 1965 წლიდან, როცა **ბრეჟნევმა** ამერიკასთან დათბობა დაიწყო, ამაზე **ფიდელ კასტრო** გაცხარდა და განაცხადა, რომ მას საბჭოთა კავშირმა უღალატა!

**— კრემლის რეაქცია ფიდელ კასტროს განცხადებაზე როგორი იყო?**

— მოსკოვიდან **ფიდელ კასტროს** შეუთვალეს, რომ, თუ ასეთ რიტორიკას გააგრძელებდა, მაშინ საბჭოთა კავშირი შაქრის ლერწამს კუბიდან აღარ გაიტანდა. ფიდელმა ამ გაფრთხილების შემდეგ ცოტა დაამუხრუჭა, მაგრამ კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა გაცივდა.

**— საბოლოო ჯამში კუბის რევოლუცია როგორ უნდა შეფასდეს?**

— კუბის რევოლუცია მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი აფერა იყო! **ფიდელ კასტრომ მოახერხა და მარქსისტული იდეების მანიპულირებით კუბის შავკანიანი მოსახლეობა, გლეხობა, ფაქტობრივად, პლანტაციებში შერეკა, რომელსაც „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის კოლმეურნეობა“ დაარქვა!**

ფიდელ კასტრომ ყველა გამოიყენა — ამერიკელებიც, ჩე გევარაც, რომელიც აიძულა, კუბიდან წასულიყო და ხრუშჩოვიც! ფიდელი, რომელიც 1957 წელს „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში ირწმუნებოდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლას ცოცხალი თავით არ აპირებდა, რადგან არ იყო პოლიტიკოსი, ყველაზე უფრო დიდი პოლიტიკოსი აღმოჩნდა და კუბაში ესპანელთა კლანური ბატონობა აღადგინა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***







**„სწორედ ამერიკელების და არა საბჭოთა კავშირის დახმარებით, ჩე გევარამ კუბის ჯუნგლებში გამართა უმძლავრესი რადიოსადგური, რომლითაც ფიდელ კასტრო კუბის მოსახლეობას მიმართავდა!“**

„ბურიატიის შემდეგ რეგიონებს შორის ყველაზე მეტი მეომარი დაღესტანმა დაკარგა!“



**„საქართველოს ხელისუფლებამ იმ ხალხს, ვისაც უკრაინაში ომი არ უნდა და მობილიზაციას გამოექცა, კარი უნდა გაუხსნას!“**

## მამუკა არეშიძე:

# იმისათვის, რომ მშვიდობა შევინარჩუნოთ, საქართველო ომისთვის უნდა ემზადოს!



***ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე რეგიონში შექმნილ ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და მიიჩნევს, რომ ახლა საქართველომ დიპლომატიური პაუზა უნდა აიღოს და ლუკაშენკოს მოქმედებას დააკვირდეს:***

**„ბჟანიასთან შეხვედრის დროს ლუკაშენკოს ისეთი არაფერი უთქვამს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის აფხაზეთის აღიარებას გეგმავს!“**

— დიდი ალბათობით, პუტინმა ლუკაშენკოს ან აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება, ანდა სამოკავშირეო ხელშეკრულების ფორმატის გაზრდა და მასში აფხაზეთისა და ცხინვალის გაწევრიანება მოსთხოვა. აშკარაა, რომ ლუკაშენკოს ამის გაკეთება არ სურს...

**— ბატონო მამუკა, კონკრეტულად რისი გაკეთება არ სურს ლუკაშენკოს?**

— სამოკავშირეო ხელშეკრულების ფორმატის გაზრდა და მასში აფხაზეთისა და ცხინვალის გაწევრიანება!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ, რაც მეტი სუბიექტი ეყოლება იმ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მით უფრო დაეკარგება ფასი ლუკაშენკოს პერსონას! როგორც ჩემი ბელარუსი მეგობრები — ბლოგერები მარწმუნებენ, ლუკაშენკო პუტინის მოთხოვნის მიუხედავად, არაფერს გააკეთებს და ბოლომდე ითამაშებს! **მათ ყურადღება მიმაქცევინეს იმ ფაქტზე, რომ პუტინის არაერთგზისი მოწოდების მიუხედავად, ლუკაშენკო უკრაინის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში არა და არ ჩაერთო.** თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ბელარუსის ტერიტორია, ფაქტობრივად, რუსეთის პლაცდარმს წარმოადგენს პუტინის წინააღმდეგ ომში. მოკლედ, როგორც ჩემი ბელარუსი კოლეგები მეუბნებიან, ლუკაშენკო, თავისი ტიპაჟიდან გამომდინარე, ბოლომდე ითამაშებს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ხაზგასმით არაოფიციალურად ჩავიდა. **როგორც მითხრეს, აფხაზური მხარისთვის აბსოლუტურად არაფერი იყო ცნობილი ლუკაშენკოს ვიზიტის შესახებ და ბჟანიასთვის ეს გახლდათ სიურპრიზი.** თუმცა, მათ გაითამაშეს სცენა, თითქოს ეს იყო ორი სახელმწიფოს ლიდერის შეხვედრა... აფხაზეთში ჩასვლით ლუკაშენკომ პუტინს მიანიშნა, რომ მისი პოლიტიკური კაპრიზების მიმართ ლოიალურია, მაგრამ არსებობს გადაწყვეტილებები, რომელთა წინააღმდეგაც ვერ წავა!

**— ეს საიდან ჩანს?**

— თუ გავყვებით იმ ვერსიას, რომ ლუკაშენკო აფხაზეთის აღიარებას გეგმავს, მაშინ მას ამის გაკეთება აფხაზეთში ჩასვლის გარეშეც შეეძლო! გადავხედე აფხაზურ წყაროებს, მოვკითხე ჩემს აფხაზ მეგობრებსაც და ყოველი მხრიდან ერთი და იგივე პასუხი მივიღე — ჯერჯერობით არ ჩანს არაფერი ხელჩასაჭიდი და ბჟანიასთან შეხვედრის დროს ლუკაშენკოს ისეთი არაფერი უთქვამს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის აფხაზეთის აღიარებას გეგმავს! შესაძლოა, თავს ვიმშვიდებ და იქ, დახურულ კარს მიღმა, ითქვა ისეთი რამ, რაც არ ვიცით, მაგრამ გარეგნულად ასე ჩანს! არ გამოვრიცხავ, ლუკაშენკოს აფხაზეთში ჩასვლა იყო მისი სპონტანური გადაწყვეტილება... ის აღიარებაზე არ წავიდა, მაგრამ პუტინისთვის რომ თავი აერიდებინა, ასეთი რამ მოიმიზეზა — ჩავალ აფხაზეთში და ხალხს დაველაპარაკებიო!

**— საქართველო როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ სიტუაციაში?**

— საქართველო სწორად მოიქცა, როცა ბელარუსის ელჩი ახსნა-განმარტებებისთვის დაიბარეს და შეფასებები გააკეთეს, მაგრამ დიპლომატიური პაუზა აიღეს და ახლა ბელარუსის მოქმედებას აკვირდებიან. მკვეთრი მოქმედებები არც ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუკეთებია...

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ პუტინს დღეს აწყობს ომი აფხაზეთში?**

— ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ დანამდვილებით ვიცი ერთი ფაქტის შესახებ, რომელიც უკრაინაში ომის დაწყებიდან სულ ცოტა ხანში, 2022 წლის მარტში, კრემლში მოხდა. კერძოდ, **ნიკოლაი პატრუშევი** უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა და ყველას მოუწოდა — უკრაინაში ფეხის შედგმით ჩვენ მაინც დისკრედიტირებული ვართ, აქედან გამომდინარე, მოვასუფთავოთ პოსტსაბჭოთა სივრცე! **პატრუშევმა პირდაპირ დაასახელა ქვეყნები — საქართველო, მოლდოვა და ყაზახეთი...**

**— მთლიანად უნდა დაეპყროთ საქართველო, მოლდოვა და ყაზახეთი?**

— „მოსუფთავებაში“ რა იგულისხმება, ეს უკვე ფანტაზიის სფეროა... **პატრუშევს** წინააღმდეგობა გაუწია **ნარიშკინმა,** რომელსაც ბოლოს აჰყვა „ეფესბეს“ შეფი **ბორტნიკოვიც.** საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ნარიშკინსა და ბორტნიკოვს პუტინიც მიემხრო.

**— ფაქტია, რომ ამერიკელებიც და რუსებიც ამ ბოლო დროს ძალიან გვიჩხიკინებენ...**

— შეიცვალა თუ არა პუტინის დამოკიდებულება პატრუშევის განზრახვის მიმართ, არ ვიცი, მაგრამ ლუკაშენკოს ვიზიტმა რაღაც ეჭვები აღძრა... დღეს პუტინი არის გალაღებული, რადგან რაც უნდოდა, ის გააკეთა!

**— მაინც რა უნდოდა?**

— **პუტინის სურვილი იყო, რუსეთის თვალში გაეცოცხლებინა სამამულო ომის რეჟიმი და ეთქვა — აი, რუსეთს ესხმიან თავს!** დღეს ამის განცხადების საფუძველი აქვს, რადგან დონეცკი, ლუგანსკი, ხერსონი და ზაპოროჟიე უკვე რუსეთად გამოაცხადა და ნებისმიერ თავდასხმას ამ მიწებზე განიხილავს, როგორც თავდასხმას რუსეთზე! აქედან გამომდინარე, **როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცის მოსუფთავების სტრატეგია დღის წესრიგში დარჩა.** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთმა კატასტროფული მარცხი განიცადა სამხრეთ კავკასიაში, ვერ დაიცვა თავისი მოკავშირე სომხეთი და ერთი საუკუნის შემდეგ კავკასიაში შემოიყვანა დიდი მოთამაშე — თურქეთი, საფიქრალია, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოიყენებს უფრო მაღალი ხარისხის იარაღს, ვიდრე უკრაინაში აქამდე გამოუყენებია და მართლაც მოასუფთავებს სამხრეთ კავკასიას!

**— რუსეთს მაღალი სიზუსტის იარაღი დარჩა?**

— სამწუხაროდ, დარჩა! აი, მაგალითად, დნეპროპეტროვსკში ერთი „კინჯალი“ თუ „სარმატი“ ჩამოაგდეს და მთელი უბანი დაინგრა... საშინელი ეფექტი ჰქონდა.

**— რუსეთს ჯარის რესურსი რომ შეზღუდული აქვს?**

— კი, შეზღუდული აქვს, მაგრამ 20 ათასი ჯარისკაცი ჰყავს სამხრეთ კავკასიაში და ნებისმიერ ოპერაციას ჩაატარებს როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ისე ცოცხალი ძალის რესურსით. სხვა საკითხია, ამას რუსები გააკეთებენ თუ არა? იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს და მშვიდობა შევინარჩუნოთ, საქართველო ომისთვის უნდა ემზადოს! ომისთვის უნდა მოემზადოს არამარტო ჩვენი ჯარი, არამედ მთელი საზოგადოება, რადგან გარშემო ყველგან ომია...

**— ჩრდილოეთ კავკასია აჯანყებულია, ომში წასვლა არავის უნდა... შეძლებს პუტინი მათ დაშოშმინებას?**

— დიდი ალბათობით, შეძლებს, რადგან ისტორიულად ეს ყოველთვის ასე ხდებოდა — კავკასიელები რუსის ჯარში მიდიოდნენ და ყველაზე მაგრად ომობდნენ! ბურიატიის შემდეგ რეგიონებს შორის ყველაზე მეტი მეომარი დაღესტანმა დაკარგა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს... როცა უკრაინის ომიდან თუთიის კუბოების ახალი წყება წამოვა, ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყება მაშინ ნახეთ, თუმცა, მაინც მგონია, რომ პუტინი ამასაც მოუვლის. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: **საქართველოს ხელისუფლებამ იმ ხალხს, ვისაც უკრაინაში ომი არ უნდა და მობილიზაციას გამოექცა, კარი უნდა გაუხსნას!** ორმოცამდე ყაბარდოელი პირადად ჩემი ჩარევის შედეგად შემოუშვეს საქართველოში... არ ატარებენ ინგუშებს, რომლებსაც ჩვენ წინააღმდეგ არასოდეს იარაღი არ აუღიათ და ნამდვილად ჩვენი ძმები არიან. აი, ამის გამო, მე, მაგალითად, ინგუშების წინაშე თავდახრილი ვარ და ხმას ვერ ვიღებ. **ინგუშები ჩვენ ულაპარაკოდ უნდა შემოვუშვათ!**

**ექსპერტის სიტყვა ★**

„პატრუშევმა პირდაპირ დაასახელა ქვეყნები — საქართველო, მოლდოვა და ყაზახეთი...“



ნიკოლაი პატრუშევი და ვლადიმერ პუტინი

**„რუსეთს 20 ათასი ჯარისკაცი ჰყავს სამხრეთ კავკასიაში, რომლითაც ნებისმიერ ოპერაციას ჩაატარებს!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

გენერალისიმუსი
2022 წლის 3 ოქტომბერი, № 26-27 (150-151)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*— მსოფლიო შეიშალა, მუხრუჭები აღარ არსებობს, ისეთი ფაქტები ხდება და ისეთი პროცესები ვითარდება, რკინის ფარდის ან ცივი ომის დროსაც რომ არ მომხდარა,* ***— ამბობს ჩვენთან საუბარში სამხედრო გენერალი, ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე, რომელიც ჩრდილოეთ ნაკადების აფეთქებას მსოფლიო კატასტროფის უვერტიურად მიიჩნევს.***




# ამირან სალუქვაძე:

# მსოფლიო შეიშალა, მუხრუჭები აღარ არსებობს!

**— ბატონო ამირან, კოვიდპანდემიის პერიოდში ხშირად გვესმოდა მოსაზრებები, რომ ამ დაავადების შემდეგ აუცილებლად დაიწყებოდა მესამე თუ არა, რაღაც გაუგებარი ომი და გაგრძელდებოდა ადამიანების ხოცვა-ჟლეტა. მე არ მჯერა შეთქმულების თეორიების და ყურით მოთრეული ისტორიების, მაგრამ ამ შემთხვევაში რაღაც კავშირები მაინც შეიძლება ვიპოვოთ — აკი, მსხვერპლთა რაოდენობა არ მცირდება და არავინ უწყის, რა იქნება ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში.**

— სიმართლე გითხრათ, არც მე მჯერა შეთქმულების თეორიების, ვერც პანდემიასა და ამ ომს შორის კავშირს ვხედავ, მაგრამ აქვს კი ამას მნიშვნელობა, როცა ირგვლივ ამდენი მსხვერპლია? ჩემი აზრით, პანდემია იყო პანდემია და ომი არის უკვე სხვა თემა.

**— არადა, პანდემია ისე გადავიდა და ჩაიკარგა ომში, გეგონება, ეს ტრაგედიაც იქიდან მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ამ თეორიულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.**

— იმ დაპირისპირებაში, რაც დღეს რუსეთსა და უკრაინას შორის ხდება, უნდა დავინახოთ უფრო ღრმა ფესვები, ოღონდ ეს ფესვები იქ არ არის საძებარი, სადაც რუსეთის ხელმძღვანელობა გვითითებს. აშკარად ვხედავთ — დღეს შემაკავებელი ფაქტორები აღარ არსებობს — გაერო ფორმალურ, ორთქლის გამოსაშვებ მანქანად იქცა, ხოლო მის დამფუძნებელსა და უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედ წევრს — რუსეთს არაფრად თვლიან! გინდა, **ლავროვს** ულაპარაკია გაეროს ტრიბუნიდან, გინდა — **ბურკინა ფასოს პრეზიდენტს.** როდის იყო, უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი ცარიელი დარბაზის წინაშე გამოდიოდა?! ეს რეალობაა, რუსეთმა ასეთი იგნორი დაიმსახურა... კარიბის კრიზისის დროსაც კი არ მიდიოდა ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებაზე ასეთი ღია საუბრები. ჩრდილოეთ ნაკადების აფეთქების შემდეგ მსოფლიოში ალაპარაკდნენ ინტერნეტ-მაგისტრალების შესაძლო აფეთქებებზეც. ალბათ, მუქარა მალე კოსმოსისკენ გადაინაცვლებს, ხოლო ნავთობისა და გაზის ტანკერების გაცილება სამხედრო ხომალდებს მოუწევთ!

**— და მაინც, გამოკვეთილად არ ვიცით, ვინ არის ამ უბედურების კონკრეტული ავტორი. ასევე არ ვიცოდით, ვინ იყო იმ უბედურების შემოქმედი, პანდემია რომ შვა და ლამის ნახევარი კაცობრიობა ამოჟუჟა. არის კი ვინმე დღეს ამ უსახელო ომის შემჩერებელი?**

— არა, დღეს შემაკავებელიც არავინაა. ავტორიტეტები აღარ არსებობენ. მეცნიება, როცა ამბობენ, მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა შეიცვალაო. სად ხედავენ არქიტექტურას? მსოფლიო უსაფრთხოება აღარ არსებობს. დღეს მხოლოდ საღი აზრის იმედად ვრჩებით, რომ მესამე მსოფლიო ომი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ბირთვულ დაპირისპირებაში არ გადაიზრდება. როგორც ყველა ქვეყანას, რუსეთის იმპერიასაც თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ წარმოვიდგინოთ ასეთი რამ — ყველა დიდმა სახელმწიფომ — ჩინეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა თავიანთ სამეზობლოში დაიწყონ საზღვრების გადახედვა, სიტუაციების ახლებურად დალაგება და მოინდომონ იმის გარკვევა, ისტორიულად რომელი ტერიტორია ვისი იყო, დღეს ვისია ან რომელი ქალაქი ვის ეკუთვნოდა და ახლა ვის ეკუთვნის... ხომ დაიწყება არნახული განუკითხაობა და ქაოსი?

**— არ გეჩვენებათ, რომ განუკითხაობა და ქაოსი უკვე დაწყებულია?**

— რაღაც დოზით კი, მაგრამ ამ ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ მაინც რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები დგანან — რუსეთი ამერიკას ადანაშაულებს, დიდი პრეტენზიებიც აქვს, თუმცა, რეალობა სხვანაირია, მე არ ვამბობ, ოკეანის გაღმა როგორ შეიქმნა ამხელა სუპერსახელმწიფო, მაგრამ შემდგომში, თუნდაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სახელმწიფოს არ ჰქონია სხვა ქვეყნების დაპყრობის სურვილი. ბოლოს და ბოლოს, დაიშალა საბჭოთა კავშირი, მსოფლიომ აღიარა ამდენი ე.წ. ახალი სახელმწიფო, ყველა შეთანხმდა მათ სუვერენიტეტზე, იყო ქაოსი, სისხლიც დაიღვარა, მაგრამ თითქოს მშვიდობა გარანტირებული იყო, ახლა კი რა გამოვიდა? იმის ძიება, რომ უკრაინა ჩემი იყო, საქართველო მე მეკუთვნოდა, რომელიღაც ტერიტორიაზე ადრე რუსები ცხოვრობდნენ, ეს უკვე მარაზმში გადადის!

**— თქვენ კი ამბობთ, ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვისი ტერიტორიების დაპყრობის სურვილი არ გააჩნიაო, მაგრამ დემოკრატიის სახელით სხვა ქვეყნებში შესვლა-გამოსვლის სურვილი რომ აქვს ხოლმე? კოსოვოს მაგალითი ავიღოთ, მიწასთან რომ გაასწორეს.**

— ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკას რუსეთის მსგავსად რომელიმე ტერიტორია მიუთვისებია? კი ბატონო, იშველიებენ კოსოვოს, იუგოსლავიის დაშლას... შეიძლება იქ სხვა ქვეყნების ინტერესები დაირღვა, მაგრამ იუგოსლავიის დაშლილი ნაწილები ვინმემ ჯიბეში ჩაიდო? თავის სახელმწიფოს შეუერთა? ჩვენთან მიმართებაში რუსებს კოსოვოს მაგალითი მოჰყავდათ, ამის გამო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უნდა ვაღიაროთო... კი მაგრამ, შენ ვინ გეკითხება — დავუშვათ, კოსოვო აღიარეს, შენ სხვა ქვეყნების ტერიტორიები უნდა გამოაცხადო დამოუკიდებელ ერთეულებად? იუგოსლავია იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელოვნურად შეკოწიწებული ქვეყანა, რომელიც დაიშალა და ამერიკას არ მიუერთებია. უფრო მეტიც, უკრაინაში ომი რის გამო დაიწყო? რომ ჩავეძიოთ, შეიძლება გამაოგნებელ ფაქტებამდე მივიდეთ. **სანამ ომი დაიწყებოდა, რუსებს უკრაინის ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები ჰქონდათ, „მინსკი 2“-ის შეხვედრაზე არ წამოხვედითო. ახლა ვეკითხები ნებისმიერს — რომელიღაცა შეხვედრაზე რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელები რომ არ წავიდნენ, ამის გამო ომი უნდა გამოუცხადო?** კრემლში იმასაც ამბობენ, სპეცოპერაცია ჩვენ რომ არ დაგვეწყო, უკრაინა რუსეთზე თავდასხმას აპირებდაო... რაღაც რუკებიც უპოვიათ — ნახეთ, რას აპირებდნენო... დღეს რომ ავიღოთ რუსეთის ნებისმიერი სამხედრო შტაბი და გამოვაღოთ საიდუმლო განყოფილების სეიფი, აუცილებლად ვიპოვით გამზადებულ რუკებს ჩინეთთან საომრად, აშშ-სთან საომრად, ნატოსთან საომრად. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მშვიდობიან პერიოდში ამზადებენ საომარ გეგმებს, საფრთხეებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, ასევე ჰქონდათ გამზადებული უკრაინელებსაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსკოვზე თავდასხმას აპირებდნენ.

**— ისე, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი ამ დონეზე გაწირავდა უკრაინას.**

— მეც გამოვრიცხავდი ასეთ ფართომასშტაბიან შეჭრას ყველა მიმართულებით — რუსეთს არ ჰყავდა მობილიზებული საკმარისი ძალები უკრაინის პერიმეტრთან. მაინც ვფიქრობდი, რომ პუტინი დაიწყებდა საომარი მოქმედებების გამწვავებას დონბასის მიმართულებით, მაგრამ მოხდა გაცილებით უარესი და ყველა მხრიდან შეჭრის გამო საკმაო დანაკარგი მიიღო. საერთოდ, სამხედრო საქმეში შემტევი ყოველთვის მეტს კარგავს. რუსეთს ჰქონდა კიევის აღების მცდელობა 40 ათასი ჯარისკაცით, არადა, მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინას ფაშისტები ორი მხრიდან მოადგნენ მილიონ 700 ათასი ჯარისკაცით, პუტინი კი მთელ უკრაინას უტევდა 150-ათასიანი არმიით.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ჩავიდა ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აფხაზეთში ასე თავხედურად? პრინციპში, ერთი მიზეზი გაცხადდა — აფხაზებს პუტინის არმიაში იწვევენ...**

— ვფიქრობ, ლუკაშენკო არ წავა აფხაზეთის აღიარებაზე, ამით ყველა გზას მოიჭრის. ის თამაშობს პუტინთან და არ სურს ომში ჩართვა. ესეც ერთგვარი რევერანსი იყო. თქვა — ქართველებისთვის ცუდის გასაკეთებლად არ ჩამოვსულვარო. კარგად იცის, ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება გაგვიკეთოს, აღიარება იქნება... შესაძლოა, დროის გასაწელი მანევრი იყო. გამოჩნდება!

**— ლუკაშენკომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომც აღიაროს, შეიცვლება რამე?**

— ლუკაშენკოს აღიარება არაფერს შეცვლის. ელჩის დაბარება და განმარტების მოთხოვნა სწორი იყო. ისე, საგინებელი უკვე გახდა. იმედია, უფრო მძიმე ნაბიჯებს არ გადადგამს! **მე ის უფრო მაწუხებს, რომ არაადეკვატურია ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტის განცხადება — კარგი გავაკეთე, ბელარუსში ელჩი რომ არ დავნიშნე.** ელჩი რომ არ დანიშნა, ამას ბელარუსის თვალით შეხედოს. ასეთი ნაბიჯი ყოველთვის მწვავედ აღიქმება.

გამორიცხავს ვინმე, რომ ელჩის დანიშვნის გაწელვამ გამოიწვია ლუკაშენკოს ეს ე.წ. ვიზიტი? ლუკაშენკოს მტრულ ქმედებას ზურაბიშვილის ჭირვეულობა ვერ ამართლებს.

**— ხომ ვერ მეტყვით, ეს ქალი გრაფიკიდან რატომ არის ასე უხეიროდ ამოვარდნილი?**

— ერთი მხრივ, თავისი ინტერესები აქვს და ვიღაც-ვიღაცების დანიშვნა უნდა, მეორე მხრივ — აქვს წარმოდგენა, რომ ყოფილი დიპლომატია და მასთან უნდა გადიოდნენ კონსულტაციებს. **რა ვქნათ, ამიერკავკასიაში თუ არა, საქართველოში მაინც ვიცი ყველაზე კარგად საჰაერო თავდაცვა, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ კონსულტაციებზე ჩემთან უნდა იარონ!** ყველას აქვს თავისი ადგილი და თავისი თანამდებობა. ვინ უშლის საქართველოს პრეზიდენტს, რომ ნორმალურად ითანამშრომლოს მთავრობასთან? რატომღაც თავი ისეთ პრეზიდენტად წარმოუდგენია, სააკაშვილი რომ იყო და სურს, იმ უფლებებში იმოქმედოს. მოგივიდა ელჩის წარდგინება? დახედე, წაიკითხე და ხელი მოაწერე, მეტი შენ არაფერი გეხება! **ახლა ლაპარაკობენ — არიქა, ბელარუსთან დიპლომატიური ურთიერთობა გავწყვიტოთო. ვფიქრობ, მაგაზე საუბარი ჯერ ადრეა, ეგ საკითხი უნდა დავიტოვოთ ბოლო რესურსად, შეიძლება არც გახდეს საჭირო.**




*ესაუბრა* ***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



რუსებს 90 დღე შეუძლიათ აქ გაჩერება. **მოქალაქეობას თუ არ მიიღებენ, ვერ დარჩებიან.** ასევე მესმის შფოთვა იმასთან დაკავშირებით, რომ **აგენტურა ხომ არ შემოდის?** აგენტურა აქ ძალიან დიდი ხნის შემოსულია. უფრო მეტსაც ვიტყვი, **აგენტურა ქართველებში ჰყავთ რუსებს ძალიან ბევრი.** სრულიად არაფერში სჭირდებათ, აგენტურა ახლა შემოგზავნონ.

„ახალი თაობა“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



მკაცრად ვგმობ პრეზიდენტ **ლუკაშენკოს** ვიზიტს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში. **ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აშკარა დარღვევა,** რომელსაც მკაცრი პასუხი უნდა გაეცეს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

„ტვიტერი“

**ლევან ცუცქირიძე**
*EECMD-ს აღმასრულებელი დირექტორი*



ახლა ჩვენ გვაქვს ბრწყინვალე შანსი, **აფხაზებსა და ოსებს დავანახოთ, სინამდვილეში რა გვსურს** — მხოლოდ ტერიტორია კი არა, მათთან თანაცხოვრება, მათი კეთილდღეობა, მშვიდობა და განვითარება.

„კვირის პალიტრა“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



**რასაც აქამდე გზავნიდნენ რუსეთიდან, დიდი ალბათობით, დაემატება გადმორიცხვები ჩამოსულებისთვისაც** და ამიტომ საფრთხესთან ერთად ის პოზიტიური მომენტიც უნდა დავინახოთ, რომ **ეს ეკონომიკის ზრდაშიც დაგვეხმარება.**

„კვირის პალიტრა“

# ჰელენ გოგიევიჩი, ანუ ვაჰ, დრონი, დრონი!

***გოგიევიჩი გარეგნულად ჰგავს ქალსა, თორემ შინაგანად მამაკაცია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ იგი გოგიევიჩად მოვიხსენიოთ და არა გოგიევნად? მაგას სხვა სახელებიც დაამადლა ცხოვრებამ — ჰელენი, ლაკა, შაკა, პაკა და ასე შემდეგ.***

შაკა გახსოვთ? 1970-იან წლებში საქართველო ინდური ფილმების ბუმმა შეაზანზარა, მოჰქონდათ და მოჰქონდათ ორსერიიანი კინოები კლუბებში 40 კაპიკად, ცალსერიიანი 20 კაპიკი ღირდა. მოვიგლიჯებოდით მთელი სოფელი ჩვენივე „ტაბურეტკებით“ და აღტყინებულნი ვუყურებდით, როგორ ალილავებდა ერთი შავსათვალიანი შაკა ოც არამზადას. ახლა რამ გამახსენა? ისიც ამასა ჰგავდა, **გოგიევიჩივით** მებრძოლი იყო, თავისი სიმართლე შუბლით გაჰქონდა, წინ აღმართულ დაბრკოლებებს არ უშინდებოდა, სპეციალურად აშენებულ ღობეებს წიხლითა სჭყლეტდა.

რა უნდა ქნას გოგიევიჩმა, ანუ ჰელენმა? პერიოდულად კი შეახსენებს ხოლმე მეორე „მე“, შინაგანი ლამპის ფითილს დაუწიე, ბოლო-ბოლო, რაღაც დოზით ქალის ჰორმონიც გირევია, სინაზე გამოიჩინეო, მაგრამ არ გამოსდის, შინაგან ფითილს ვერ უწევს, მამაკაცური ჰორმონი საშველს არ აძლევს. მამაკაცურ ჰორმონს თავი დავანებოთ, ერთი-ორჯერ თავს ძალა დაატანა, თითქოს შინაგან ორგანოებში გარდატეხაც შეიტანა, მაგრამ ეგრევე მოვიდა საიქიოდან **სოლიკო ვირსალაძის** შეტყობინება — **ეგრე არ არი, თაყავო, შენ რომ თანხები გაჰყავო! აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შეტყობინებას ვლადიმერ პუტინის რეზოლუცია ედო წითელი პასტით:** „დიახაც, ეგრე არ არი, თაყაო“!

ბოლო დროს ჰელენს მზრუნველმა პატრონებმა მეტად პასუხსაგები მისია დააკისრეს — მან უნდა შეადგინოს ქართველ ბიზნესმენთა სია, რომელიც უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს მეშვეობით გაიგზავნება (მგონი, უკვე გაიგზავნა) ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასა და დიდი ბრიტანეთის დაზვერვაში, ამავე სახელმწიფოს საფონდო ბირჟაზე. ალბათ, იფიქრებთ, სად საქართველო, სად უკრაინა, სად ბრიტანეთის დაზვერვა, სად კუდი, სად კიდე იღლიაო, მაგრამ ახლა სხვა დროა, ახლა გეოპოლიტიკური მიდგომები შეიცვალა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ტრანანანააააააააა!** — გაისმა ტელეფონის ზარი და ჰელენი შეკრთა, იგი ძალიან ღრმად გახლდათ ჩაძირული იმაში... ფიქრებში. **დახედა, გაუხარდა, გაეღიმა, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი რეკავდა. ეს ზარი ჰელენს ყოველთვის ახალისებდა, რადგან „მაყუთი“ მოჰქონდა, ხოლო „მაყუთს“ — უძრავი ქონება და კომფორტი.** სანამ ჰელენი საიქიოდან გამოგზავნილი ჰონორარების იმედად იყო, მაინც ხელმოკლედ ითვლებოდა, სანამ ცხონებული **სოლიკო ვირსალაძე** თავის კუთვნილ ჰონორარს საიქიოდან კრემლში გადარიცხავდა და შემდეგ კრემლი ბატონ **ზოზიას** გადმოურიცხავდა, ესენი, **ხოშტარიები,** ვალებს ვალებზე იდებდნენ, შემდეგ კი იმ ჰონორარს ვალებში არიგებდნენ. ეგ კი არა, ჰელენს ერთი პერიოდი ისე გაუჭირდა, წითელ საღებავსაც ვეღარ ყიდულობდა, რომ ქუჩაში მდგარი პოლიციელებისთვის შეესხა.

— **ალოო!** — ჩასძახა ტელეფონში გოგიევიჩმა.

— **რას შვრები, ჩემო ამოღებულო ხმალო?** — გაისმა ღორის ქონივით დამდნარი ხმა მეორე მხრიდან.

**— ჰი, ჰი, ჰი... დავით, მე ნამეტნავად მოხარული ვარ, ჩემთან პარტნიორობა რომ მოისურვე, მზად ვარ, 24 საათის განმავლობაში გეპარტნიორო და მომავალში ეს დრო გავზარდო კიდევაც, გააჩნია ანაზღაურებას.**

**— კიიი, ტოოო, ბაზარი არ არი, ჩვენ ერთმანეთთან პარტნიორობის მისია გვაკისრია და ეს უნდა შევასრულოთ, სხვანაირად ოლიგარქს ვერ მოვიშორებთ.**

**— ჰი, ჰი, ჰი... ოლიგარქი მოშორებულია!** — მიუგო ქირქილით ჰელენმა.

— **ეგ როგორ?** — გაჰკვირდა კეზერა.

**— წუხელ ხაბემ შემატყობინა საგანგებოდ, ოლიგარქი მიწისქვეშა ტრასით ჩაუყვანიათ ჭორვილის გამოქვაბულში, თურმე ისე დამალეს, თვითონაც ვეღარ პოულობენ!**

**— ავახმე... სოლოლაკიდან ჭორვილამდე ტრასა გაიყვანა?!** — შეჰყვირა დავითმა.

**— აპაააა... არ იცოდი?!**

**— არა, პირველად მესმის, ხაბეიშვილს მარჯვენა ძუძუ უნდა აახიოს კაცმა, ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორ დამიმალა?!**

**— ჰი, ჰი, ჰი... მაგას სანამ ჰონორარს არ დაუქვითავ, ეგრე იქნება!** — გადაიკისკისა ჰელენმა.

— **დავუქვითავ, აბა, არ დავუქვითავ?** — გადაჭრა საკითხი დავითმა და უცებ თემა შეცვალა, — **ჰელენ, მელია უნდა იცემოს!**

— **როგორ უნდა იცემოს, სულიერად თუ ფიზიკურად?** — ჩაეკითხა ჰელენი.

**— ორივენაირად!**

**— ეს ბრძანებაა თუ თხოვნა?**

**— ორივე!**

**— ეგ ძვირი დაჯდება, ორმაგი, თანაც არავის ყურამდე არ უნდა მივიდეს, მარტო მამაჩემ გოგიას ეცოდინება... თუ რამე, იტყვის, მეორე წინაპარი მიგზავნის საიქიოდან თავის ჰონორარსო. ჰი, ჰი, ჰი... მაგისთანები გვითქვამს?**

**— ფული იქნება, რა პრობლემაა?!** — გაღიზიანდასავით დავითი.

— **ჰოდა, მელიაც იცემება... მაგ აბუეტმა პირი გამოირეცხოს და ისე გახსენოს, განა კეზერაშვილი მაგისი სახსენებელია? ისაო, ეგეც ოლიგარქიაო, გაიგონე?!** — დაიწყო მელიას ჩაქოლვა ჰელენმა.

**— ჰმ... ჩემზე რომ ვინმე იტყვის, ოლიგარქიაო, ის აუცილებლად უნდა იცემოს მათრახით!**

**— არ დაიჯერო, შენ ხარ უკეთილშობილესი და უგმირესი მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში!** — შესძახა ჰელენმა და უნებლიეთ შეკუნტრუშდა.

**— როგორ, კაცო, მე, უდიდეს ქველმოქმედსა და ქართული ბალეტის მფარველს როგორ უნდა გამიბედონ ეგეთი რამე?!**

**— დამშვიდდი, ჩემო ფულის მუთაქავ კი არა და... ჩემო ჩეგევ და ჩემო ვარავ!**

**— ავახმეეე... ბოლოს რა კარქათა თქვი, ჩემო ჩეგევ და ჩემო ვარავო... დიახ, ზუსტადაც რომ ეგა ვარ, რაცა ვარ, დღესა ვარ, აქა ვარ, ხვალ იქნებ მანდ ვიყო მეეეეე!** — წაუმღერა დავითმა.

**— იიიიჰ... ეს რანაირი გულამოსკვნითი სიმღერები გცოდნია, დავით? დაიწვა, ბიჭო, ჯიგარი, გეგონება, შამფურზე ააბნიეს და ნაკვერჩხალზე დადესო!**

**— ავახმეეე... შენ ჯერ კიდე არ იცი, მე როგორი ქართული ჯიგარი მაქ!**

**— მაშ, შენ სამშობლოში ვერ უნდა ჩამოდიოდე? განა ივანიშვილს მაგას ვაპატიებ? არა და არასოდეს!**

**— მოკლედ, შენა და ხაბემ მიხედეთ საქმეს, მელია ჯერ უნდა იცემოს, შემდეგ კი პანჩური ამოერტყას და პარტიიდან გაქცუნდეს!**

**— ჩათვალე, რომ უკვე გაქცუნებულია!**

**— ისე, მაინც ფრთხილად იყავით, მაგას კარატეში შავი ქამარი აქ მიღებული.**

**— ჰო, მაგას ამბობენ, მაგრამ ამას წინებზე ხაბემ ბოქსაობაზე იარა და ილეთები შეისწავლა. სუ იძახდა, ჩხუბი უნდა ვისწავლო, ვიცი, კეზერას დასჭირდებაო და აჰა, მართლაც დაგჭირდა,** — დაითაფლა ჰელენი.

**— ეგ მე ვუთხარი, ჩხუბი ისწავლე-მეთქი, ახლა ქვების სროლასა სწავლობს მიზანში, კირკიტაძე ამეცადინებს, დათოს დიდი გამოცდილება აქ.**

**— ჰოოო... თუ დათო ამეცადინებს, მაშინ ჰოოო, უხდი რამეს?** — მოწკურა თვალები ჰელენმა.

**— რავი, დათომ, ოღონდ ბიძინა მოვიშოროთ და არაფერი არ მინდა, უფასოდ ვამეცადინებო.**

**— აი, კაცი... პატრიოტი, მიზნობრიობა, შემართება, მისწრაფება და გამარჯვება, მე ყოველთვის მჯეროდა მისი!**

**— აპააა... დავიბრუნებთ ხელისუფლებას და დათოს კაი თანამდებობა ეკუთვნის, თვითონ კი იძახის, რუსთავი მამეცითო, მაგრამ ვფიქრობ, უფრო მეტი ეკუთვნის.**

ჰელენი და დავითი ერთმანეთს პრუწუნ-პრუწუნით დაემშვიდობნენ — ამან უთხრა, პრუწუან, მპუა-მპუაო და იმანაც მიჰბაძა — მპუა პრუწუანო. ყველაფერი ძალზედ ლამაზად დასრულდებოდა, რომ არა ერთი უხერხული მომენტი — სანამ ესენი ერთმანეთში ჭუკიჭუკჭუკებდნენ, სანამ ესენი ქვეყნის, ერისა და ბერის სატკივარზე უბნობდნენ, **ნამინისტრალი ზოზია** იქვე მდგარა, ფარდის უკან. ერთხანობას მოშარდვაც კი მოსდომებია და ლამის საკუთარი თავი გაუცია, მაგრამ მაინც მოუთმენია — გულის კუნჭულში უთქვამს — ბიჭები ომში მიდიან, იღუპებიან, გმირობებს სჩადიან, მე კი ამოდონა გამოცდილების კაცმა დედულმამულისა გამო ფსუტი ვერ უნდა შევიკავოო? დიახაც, თქვა და აღასრულა კიდევაც, საერთოდ არ გაინძრეოდა, ჰელენს ფარდა რომ არ გადაეწია და ფანჯრის რაფიდან სამი თითით ვისკი არ მოეწოდებინა. ვისკის ყლურწვა და ზედ დაყოლებული პაპიროზი მისთვის ყოველთვის დიდ ცხონებას წარმოადგენდა — განა რამე შეედრება, მთელ ორგანიზმში სითბო რომ ჩაგეღვრება, კუჭ-ნაწლავებში ბოლი ჩაგიდგება და გონებაში კიდე სიჭკვიანე ნისლივით ჩაგიწვება? ამ დროს **ჰელენი** ნეტარებას განიცდის, იმნაირი განცდა აქვს, გეგონება, ერის დედაა, მთელი დუნია მკლავებში ჰყავს მომწყვდეული, **ბიძინა ივანიშვილი** ეჩხუბება, მამეციო, ართმევს, მაგრამ ეს არ უთმობს. თუმცა, როდესაც ალკოჰოლიანობა გადაივლის და პაპიროზის ბოლიც გაიფანტება, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ის დუნია, რომელიც ასერიგად ჰყავდა მომწყვდეული, წაურთმევია, ჭორვილაში წაუღია და სადღაც გამოქვაბულში ჩაუმწყვდევია.

— **მამა, შენ ყველაფერი მოისმინე?** — ჩაეკითხა ჰელენი და რუმკით ვისკი გადაყლურწა.

გოგიამ თავი ჩაჰქინდრა, საკუთარ ფლოსტებს დააშტერდა, სადაც გასაოცარი რამ აღმოაჩინა — გამთლიანებული საქართველოს რუკა. ასეთი რამ ადრე არ შეუმჩნევია. ერთი ეგ იყო, ამ რუკაზე გარეჯი საქართველოს ნაწილად აღარ მოიაზრებოდა, **ივერი მელაშვილს** იღლიაში ამოეჩარნა და აზერბაიჯანში წაეღო. მარჯვენა ფლოსტზე **ილიჩოვა** გამოსახულიყო. გოგიას ელდა ეცა, თვალები მოიფშვნიტა, ჰელენს მიაშტერდა და ამოილუღლუღა:

**— მე ისა, რამე და რუმე.**

**— ჰი, ჰი, ჰი... მე კიდევ მეგონა, რომ რუმე და რამე, —** წაუცინიკოსა ჰელენმა.

**— ჰო, შეიძლება ეგრეც ითქვას, მე ცხოვრებაში ბევრი რუმე და რამე ვნახე... ლვოვიდან ჯინსები რომ ჩამომქონდა, ესენი სად იყვნენ მაშინ? სუ განვიცდიდი, ზვიადმა არ გაიგოს-მეთქი, მაგრამ მტრებმა მაინც გააგებინეს და იცი, რა მითხრა? წაეთრიე იქ, საიდანაც მოთრეულხარო!**

**— ესე იგი, შენ ყველაფერი მოისმინე?** — დაუბრუნდა ჰელენი მტკივნეულ თემას.

— **ჰო, ეგრე გამოდის,** — დააშტერდა გოგია ისევ საკუთარ ფლოსტებს.

— **რათა?!** — ასწია ნაპირა წარბი კავკასიონის ქედივით ჰელენმა.

**— ცნობისმოყვარეობამ წამძლია, ვეღარ მოვითმინე, ასეთია აგენტის ბუნება, შენც ხომ იცი? რა ქნეს, დარეკეს ფეესბედან? რა თქვეს, როდის იქნებაო? გააჭირეს მაგათაც საქმე, რატომ აგვიანებენ? ადრე არ აგვიანებდნენ ხოლმე.**

**— მალე იქნებაო, იმ თვისასაც მომდევნო თვეში ჩავრიცხავთო, ნუ ღელავთო.**

**— მაინც არაუშავს... ეს ბიჭი სანდოა?**

**— ესეც მალე ჩარიცხავს.**

**— აი, ეგ არი, მთავარია, დროულად ჩარიცხონ, მე ყველაზე მეტად ჩარიცხვის პროცესი მომწონს, ვგრძნობ, როგორ გადმოდის თანხა ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე და ამ დროს სასიამოვნოდ მაჟრიალებს, გეგონება, ჟუჟუნა წვიმა მოდისო.**

**— ჰო, ეგ პროცესი მეც ძალიან მევასება, მაგ დროს ვკაიფობ,** — თქვა ჰელენმა და რუმკით ვისკი ისევ გადაყლურწა.

**ჰელენს** ღაწვები შეუფაკლდა, ფულების ხსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა. **ზოზიას** გადახედა, ისიც აშკარად ფულებზე ფიქრობდა, სახეზე თუმნიანების ფერი დასთამაშებდა. არა, დოლარებისა და ევროების ფერიც მოსწონს, განა არ მოსწონს? ნორმალური ადამიანი მაგას რანაირად დაიწუნებს, მაგრამ თუმნიანის ფერი სულ სხვაა, იქ არის მთელი მისი სიჭაბუკე, მთელი ის პერიოდი, როცა მის წინაშე ფეხთა წვერებზე იდგნენ და მზად იყვნენ, მუხლები აელოკათ.

**ვაჰ... დრონი, დრონი!**



**ამ რუკაზე გარეჯი საქართველოს ნაწილად აღარ მოიაზრებოდა, ივერი მელაშვილს იღლიაში ამოეჩარნა და აზერბაიჯანში წაეღო. მარჯვენა ფლოსტზე ილიჩოვა გამოსახულიყო...**

*ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა*

***გელა ზედელაშვილმა***

# ნათელმხილველი უსუფი,

## ანუ ე.წ. პროდასავლელ ოპოზიციონერებს ერთი რაღაცის გასაღები აქვთ დაკარგული!

***ადამიანი, რომელზეც ახლა უნდა მოგიყვეთ, 1989 წლის 10 აპრილს შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 9-ში საბჭოთა ჯარმა რუსთაველის პროსპექტზე რაც ჩაიდინა, გემახსოვრებათ, მაგას რა დაგავიწყებთ? ჰოდა, მაშინ, როცა ხალხი პარტიიდან გამორბოდა, ამან დრო იხელთა და შევარდა. მოგვიანებით ბატონმა ავთანდილ მარგიანმა, საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა გათქვა — მაგან განცხადება დაწერა 10-ში, თორემ მანამდეც სულ ჩემთან იყო, ხან პურზე ვაგზავნიდი, ხან კიდე — პაპიროსზე, პერიოდულად მარქსის „კაპიტალსაც“ ვაკითხებდი და ლენინის დეკრეტებსაცო.***

ამის შემდეგ ამ **თინას ქმარმა** თავი იმართლა კი არა, აქეთ ვალი დაგვადო — **მე იქ იმიტომ შევედი, შიგნიდან რომ დამეშალა და ჩემი სამშობლო გადამერჩინაო. აკი, დაშალა კიდეც? აკი, გადაარჩინა საკუთარი სამშობლო და 30-ოდე წლის შემდეგ პრეზიდენტობაც მოუნდა?** რა კურიოზიც მაგის საპრეზიდენტო წადილს ახლდა, ცოტა ქვემოთ მოგიყვებით, ახლა კი იმას მოგახსენებთ, რა დეემართა ბატონ **დავით უსუფაშვილს.** მოკლედ, პარადოქსებით არის აღსავსე ეს ცხოვრება... ეს „ნორჩი ლენინელი“ ტელევიზორიდან პოლიტიკურ მორალს გვიკითხავს და გვარწმუნებს — **საქართველოში შემოსულ რუსებს 1000-ლარიანი გადასახადი თუ არ დავუწესეთ, დავიღუპებითო. ასე ფიქრობს აშშ, ასე ფიქრობს ევროპა, ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა და ასე ვფიქრობ მე, შავკოსტიუმიანი უსუფაშვილიო.** არადა, ლურჯი „კასტუმი“ ეცვა, აშკარად ჩანდა. ეტყობა, დილით თინამ შთააგონა, შავიაო და ამანაც დაიჯერა. არ დაიჯერებდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო... თურმე, დავითი ქართველ ხალხთან შეჯერდა, აშშ-ელების ფიქრებიც შეისწავლა, ევროპიელების განწყობასაც გადახედა, ცოლიც გამოჰკითხა და დაადგინა, რომ არ ცდება, მისი გადაწყვეტილება ისეთივე ურყევია, როგორიც **1989 წლის 10 აპრილის დილას** იყო. როგორც დავითი ამტკიცებს, დღეს სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

ისე, რაღა დაგიმალოთ და... სულ მიკვირს, ეს „გამოკვლევებულები“ ხალხის განწყობის გამოკვლევას ეგრე სწრაფად როგორ ახერხებენ? არ ვიცი, მუდამ ქართველი ხალხის სახელით კი გველაპარაკებიან და... **აი, მუდამ ქართველი ხალხის სახელით რომ გველაპარაკებიან, ამ დროს საკუთარი ოჯახის წევრების განწყობა და ფიქრებიც კი არ იციან.**

ახლა კი იმაზე მოგახსენებთ, რაზეც ზემოთ დაგპირდით: 2018 წლის ნოემბერია. მავანთა გულგრილობისა და დაუდევრობის გამო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იმართება. **სალომე ზურაბიშვილს** პირველივე ცდაზე უნდა მოეგო, მაგრამ არ გამოვიდა. როგორც კი ვიგრძენი, რაღაც ისე ვერაა-მეთქი, ეგრევე წავედი ჩემს მშობლიურ სიღნაღში მეგობრებთან ერთად და ვიარე სოფელ-სოფელ, ვნახე ნაცნობები, ნათესავები, ისინი, ესენი და ყველა წაგებული უბანი მოვიგეთ. შტაბში ვართ, შედეგებს ველოდებით, კარი გაიღო, კაცი შემოვიდა, გარეგნობაზევე ეტყობოდა, კეთილშობილი უნდა ყოფილიყო. შტაბის უფროსს დაელაპარაკა, განზე გაიყვანა, რაღაცაზე ელაპარაკა, შემდეგ დაემშვიდობა, სანამ დარბაზიდან გავიდოდა, თქვა — **მე ხმა სალომეს მივეციო.** იქ მყოფები სახტად დარჩნენ, ზოგს გაეცინა. როცა გავიდა, ვიკითხე — ვინ იყო-მეთქი? **უსუფას მამა** იყო, უსუფასი, ვერ იცანიო? კი მაგრამ, თვითონ უსუფა კენჭს რომ იყრიდა საპრეზიდენტოდ და ახლა კიდევ ოპოზიციაშია, ეგ როგოა-მეთქი? ეგ გრამაფონშიაო, — მითხრეს და მხარზე ხელიც წამომარტყეს. ისე, ძალზედ კარგი კაცი იყო უსუფას მამა, იქ რომ ნათელი უნდა დაადგეს, ისეთი.

**ეს ამბავი რაზე გავიხსენე? იმაზე, რომ ამათ ის არ იციან, თავიანთი ოჯახების წევრები ხმას ვის აძლევენ და ამდენი ხალხის გულის ნადები საიდან უნდა იცოდნენ?**

სხვათაშორის, ამაზე ერთი ნამდვილი ამბავი მახსენდება... ზემო მთიან აჭარაში ერთმა პატიოსანმა კაცმა სახლიდან ოქროულობა დაკარგა, ციტრუსებიდან კაი შემოსავალი ჰქონდა და სულ ოქროს ყიდულობდა. უთხრეს, სოფელ ღორჯომში მაგარი ნათელმხილველი ცხოვრობს, კაცი ყავის ჭიქაში ჩაიხედავს და ეგრევე გეტყვის, ვინც გაგქურდაო. მიაკითხა დაზარალებულმა, ჩაუხედა მკითხავმა ჭიქაში და შენი ოქროულობა შორს არაა, შინაურმა მოგპარაო. ვინ არი, ჭო, ვინაო? მოკლედ, შენმა ძმამ გიღალატაო. დაბრუნდა ეს კაცი სახლში დაბოღმილი, დაურეკა თავის ძმას, სასწრაფოდ ჩემთან მოდიო. მოვიდა, გადმოიღო ამან თოფი და ესროლა ფეხებში, არ დააზიანა, მაგრამ მაგრად შეაშინა და პირზეც დაადგა, ოქროულობა შენ მომპარე, ღორჯომში მკითხავთან ვიყავი, იმან მითხრა, წვეთი არ გაუვაო. კარგი, ახლა მაგ საკითხს მეც გავარკვევო, მიუგო ძმამ და წავიდა. მეორე დღეს ამანაც აიღო თოფი, მიაკითხა ღორჯომელ ნათელმხილველს და ეკითხება: შენ მე მიცნობ, ჭო? არა, საიდან უნდა გიცნობდე, პირველად გხედავო. მართლა არ მიცნობო? არა, გეფიცები, მართლა არ გიცნობო. აბა, ამხელა კაცს თუ ვერ მიცნობ, ყავის ჭიქაში რანაირად მიცანი, მე შენი დედაცო?!

ჰოდა, მეც დაახლოებით ამის თქმა მინდა... **ბიჭო, ირგვლივ ვერაფერს ხედავ, სახლში ვერაფერს ხედავ, ტელევიზორში ვერაფერს ხედავ, პარლამენტში იყავ, იქ ვერაფერი დაინახე, ბოდბეში (შენს სოფელში) ჩახვედი, იქ ვერაფერი დაინახე და ყავის ჭიქაში რანაირად ხედავ, აშშ, ევროპა და საქართველოს მოსახლეობა რას ფიქრობს? რატომ იტყუები, რატომ ცუცურაკობ, რატომ ბითურობ, რატომ აბუეტობ, არ გრცხვენია?!**

ისე, ჩემო ძვირფასებო, ვერც ამას დაგიმალავთ — ე.წ. პროდასავლელ ოპოზიციონერებს ერთი რაღაცის გასაღები აქვთ დაკარგული, იქით აშშ-ელები და ევროპიელები იძახიან, რუსეთიდან გამოქცეულებს კარი უნდა გავუღოთ, თავშესაფარი მივცეთო და ესენი მოგვიწოდებენ, კარი ჩავურაზოთ, გადასახადი დავუწესოთ, პანჩურები ვურტყათო. **ჰმ... პანჩურებს ამოარტყამ, გადასახადს დაუწესებ, არ შემოუშვებ და მაშინ უკრაინაში წავა საომრად, თუ არ წავა, წაიყვანენ და ავტომატს დააჭერინებენ ხელში, რომც არ უნდოდეს, ასროლინებენ, სული ტკბილია, თავს დაიცავს!**

**ესენი არიან მოაზროვნე ოპოზიციონერები? ესენი არიან პროდასავლელები და უკრაინის მომხრეები? არა, ესენი არიან მეხუთე კოლონის წარმომადგენლები, ანუ რუსეთის აგენტები, რომლებიც მუდამ აკეთებენ კრემლის საქმეს**. რაც შეეხება **უსუფაშვილს,** ესეც ეგ არი, მაგრამ მაინც განსხვავებული ჩამოსხმისაა — **ჩვენი დიდი მეზობლის საქმეს კი აკეთებს, მაგრამ ამავე დროს აშშ-ის საელჩოშიც დადის ხოლმე.** ავი ენები ამბობენ, **ქალი დეგნანი** ყავის ჭიქაშიც ჩაუხედავს ხოლმე, საქართველოს მომავალზე ელაპარაკებაო. ადრე წინა ელჩებთანაც დადიოდა, **თინა** თავდაცვის მინისტრად მაგათ დაანიშნინა, დეგნანის წინ რომ იყო, იმას. არა, ხომ მაგარია? **თან პროდასავლელი ხარ და თან პროჩრდილოურ რაღაცებს აკეთებ, ხან ერთ სკამზე ზიხარ, ხან კიდე მეორეზე გადაჯდები, გადმოჯდები, გადაჯდები, გადმოჯდები.** ამ შემთხვევაში კი გვაქვს საქმე ალოგიკურობასთან, მაგრამ ამაშიც არის თავისებური ლოგიკა.


თინა ხიდაშელი და დავით უსუფაშვილი

***გელა ზედელაშვილი***

---

რას არ გაიგებ!

# ვინ ხარ, სად გაიზარდე, საიდან მოხვედი, ამდენს როგორ ბედავ, ბიჭო?!

***ეს რა მოვისმინე, ეს რა იყო, კაცო?! კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ვიცე-პრემიერი თეა წულუკიანი „იმედის“ ეთერში ზის და ყვება, როგორ გაიწია მისკენ დასარტყმელად კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით წიკლაურმა.***



მე არ ვიცი, ვინ არის დავით წიკლაური და არც ის ვიცი, რა მიღწევები აქვს სპორტის ამ სახეობაში, ამ კაცის სურათის ნახვაც არ მინდა და არ მინდა იმიტომ, რომ აღარ მსურს, ადამიანზე გული კიდევ ერთხელ ამიცრუვდეს.

**ზის ეს ერთი ციდა ქალი სტუდიაში და ლაპარაკობს, როგორ უნდა დაერტყა კრივის ფედერაციის პრეზიდენტს. მოკრივეს უნდა დაერტყა მისთვის! ეს უპატრონო მოჭადრაკე რომ იყოს, ან მოციგურავე, ან ბატუტზე მხტომელი, ასეთი რეაქცია არ მექნებოდა, მოკრივემ და თანაც მოკრივეების „უმფროსმა“ ქალს რანაირად უნდა დაარტყას?** აღარაფერს ვამბობ მინისტრზე, ხელმძღვანელზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე, ვიცე-პრემიერზე.

და მაინც, რა იყო მიზეზი, ასე რამ გაახელა ვინმე **დავით წიკლაური?**

ფულმა!

**თეა წულუკიანის თქმით, ამ ადამიანს კრივის ფედერაციას ვერ დაალუპვინებს, მაგას ფულს ვერ ჩაუგდებს ხელში, დანარჩენს მიხედავს.**

არ გაინტერესებთ, რა პასუხს იძლევა ქალებთან მებრძოლი მოკრივე? **მე არ გამოვრიცხავ, წულუკიანის განცხადების მერე დამაკავონო.** ან კი აქამდე რატომ არ დააკავეს? ან კი აქამდე რატომ არ ზის ეს ადამიანი ვირის აბანოში? ქალი იძახის — ამ ფაქტს თვეების განმავლობაში ვმალავდი და ვეღარ დავმალეო.


დავით წიკლაური

**ხედავთ?!**

**მინისტრი მალავდა და იმას, იმ ე.წ. მოკრივეს იმის კაცობაც არ ეყო, განცხადება დაეწერა. არადა, პირდაპირ უთქვამს წულუკიანს, დაწერე განცხადება და წადიო. არაო, არჩევნები ჩავატაროთო. ეტყობა, იმედი აქვს, რომ არჩევნებს მოიგებს და სავარძელს შეინარჩუნებს.**

წულუკიანი დუმდა, ელოდა, არ გაეცალა და გაახმაურა. უკვე ბევრი ამბობს, რომ მან დანაშაული დაფარა და ეს ასეცაა, მაგრამ, მოდით, ვთქვათ სიმართლე, როგორი გასახმაურებელია? საკუთარი თავმოყვარეობისა და ღირსების შელახვა როგორი საქმეა? მძიმეა, ძალიან მძიმე. თუმცა, ამის გაკეთება მაინც მოუხდა.

**მოკრივეების ბრიგადირი წუხს — ალბათ, დამაკავებენო, დანაშაულს არ უარყოფს, თავის საქციელს იმით ამართლებს, მინისტრის მოადგილემ ჩემზე გამოიწიაო.** ესე იგი, იმაზე წულუკიანის მოადგილემ გაიწია და ის წულუკიანს გაექაჩა. ვინ ხარ, სად გაიზარდე, საიდან მოხვედი, ვის დაჰკარგვიხარ, ამდენს როგორ ბედავ, ბიჭო?!

***გელა ზედელაშვილი***

# როდის არის ღვინო მარგებელი და როდის - საწამლავი?



## „წითელი ღვინო ორგანიზმს მკერდის, ნაწლავისა და პროსტატის სიმსივნისგან იცავს!“

**კახა საბახტარიშვილი:**

## ინფარქტისა და ინსულტის თავიდან ასაცილებლად დღე-ღამის განმავლობაში აუცილებლად დალიეთ 200-250 გრამი სუფთა წითელი ღვინო!

***ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ღვინის სიკეთისა და მავნებლობის შესახებ მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებულ უნიკალურ ცნობებს გვაწვდის და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სამკურნალო თვისებებით წითელ ღვინოს თეთრი ღვინო მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, რაც განპირობებულია მხოლოდ წითელ ღვინოში შემავალი ნივთიერება რასვერატროლით:***

— ღვინო უძველესი ალკოჰოლური სასმელია, რომლის ისტორიაც დაახლოებით 10 ათას წელს ითვლის. არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და ყველა ენაში ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა შესულია სწორედ ქართულიდან. **ძველი რომაელი ლეგიონერები ლაშქრობის დროს წყალთან ერთად აუცილებლად თან დაატარებდნენ ღვინოს, რომელიც მათ დიზენტერიისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებისაგან იცავდა.** ძველი ბერძნები წყალგარეულ ღვინოს სვამდნენ, რითიც ამცირებდნენ „შავი ჭირის“ გავრცელების რისკს, რომელიც უძველეს დროში ხშირად სწორედ დაბინძურებული წყლის საშუალებით ვრცელდებოდა. ასე რომ, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, თითქოს წყალგარეული ღვინის სმით ძველი ბერძნები თრობისგან იკავებდნენ თავს, არასწორია. **ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ წყლის დეზინფექციის მიზნით.** აქედან გამომდინარე, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, როცა დიდმა ფრანგმა მეცნიერმა **ლუი პასტერმა** ღვინოს ბუნებრივი, ჰიგიენური, ანტიბაქტერიული საშუალება უწოდა!

**— ბატონო კახა, ჯანმრთელობისთვის რომელი უფრო უკეთესია — თეთრი თუ წითელი ღვინო, და რა რაოდენობით?**

— დავიწყოთ რაოდენობით, რადგან ქართველები, როგორც წესი, ღვინოს უზომოდ ვსვამთ. ეს ჩვეულება წინაპართაგან მოგვდგამს და ინსინუაციები იმის შესახებ, თითქოს ძველი ქართველები ღვინის სმაში თავშეკავებას იჩენდნენ, ტყუილია. შორს რომ არ წავიდეთ, ამას ადასტურებს დიდი ფრანგი მწერლის **ალექსანდრე დიუმას** გახმაურებული წიგნი — **„კავკასია“**, სადაც დეტალურად არის აღწერილი, თუ რამდენ ღვინოს სვამდნენ ქართველი თავადები და როგორ იყო განცვიფრებული ამ ყველაფრის შემყურე ფრანგი სტუმარი. **მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ დღე-ღამის განმავლობაში მამაკაცისთვის 200-250 გრამი წითელი ღვინის, მაგალითად, „საფერავის“, „ქინძმარაულის“, „ხვანჭკარის“, „ძველშავისა“ და „თავკვერის“ მიღება ორგანიზმისთვის იდეალური საჩუქარია, ხოლო ქალებისათვის ეს დოზა შეადგენს 100-150 გრამს.**

**— კი მაგრამ, თეთრმა ღვინომ რა დააშავა?**

— თეთრი ღვინოც სასარგებლოა, მაგრამ სამკურნალო თვისებებით წითელ ღვინოს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, რაც განპირობებულია მხოლოდ წითელ ღვინოში შემავალი ნივთიერება **რასვერატროლით.** ეს გახლავთ უძლიერესი ანტიოქსიდანტი, რომელიც ანადგურებს კიბოს უჯრედებს, გულსა და თავის ტვინს იცავს ინფარქტისა და ინსულტისაგან, აფერხებს სიბერეს, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და დაბლა სწევს წნევას!

**ის მითი, რომ თითქოს წითელი ღვინო წნევას მაღლა სწევს, ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ! დღე-ღამეში 200-250 გრამი წითელი ღვინო წნევის დამწევია, მაგრამ, თუ ამ დოზას გადავაჭარბებთ, ცხადია, წნევა მაღლა წავა და პრობლემებიც შეგვექმნება!** საერთოდ, ამ საკითხზე მეცნიერებმა ფიქრი დაიწყეს გასული საუკუნის 90-იან წლებში. მოგეხსენებათ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მეზობელი ქვეყნებია, რომლებსაც მხოლოდ ლა-მანშის სრუტე ყოფს. ცხოვრების დონე და ჯანდაცვის ხარისხი ამ ორ ქვეყანაში თითქმის ერთნაირია, მაგრამ უტყუარი სტატისტიკა აჩვენებს, რომ საფრანგეთში გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა რიცხვი ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. შესაბამისად, საფრანგეთში ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვიც ორჯერ დაბალია. ამას „ფრანგული პარადოქსი“ უწოდეს! მეცნიერები გაკვირვებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ფრანგები, როგორც წესი, ინგლისელებისგან განსხვავებით, ძალიან ბევრ ცხიმიან საკვებს მიირთმევენ. მაგალითად, ბატის ღვიძლისგან დამზადებული „ფუაგრა“, რომელიც ფრანგების ეროვნული კერძია, ძალიან მდიდარია ქოლესტერინით. აქედან გამომდინარე, ფრანგებში გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა რიცხვი, წესით, მაღალი უნდა იყოს,

**მაგრამ მათი ჯანმრთელობის საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ფრანგი დღის განმავლობაში სხვადასხვა ცხიმიან საკვებსა თუ ფრანგულ კრუასანებს აუცილებლად დააყოლებს წითელ ღვინოს, რომლის საერთო რაოდენობაც დღის განმავლობაში**



## „დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ლუი პასტერმა ღვინოს ბუნებრივი, ჰიგიენური, ანტიბაქტერიული საშუალება უწოდა!“

**„ვინც ღვინოს არ სვამს, მისი ორგანიზმი ანთებითი პროცესებისგან ნაკლებად დაცულია!“**

## კვირგვინოსნები

**სოფო ბედია**
*მომღერალი*



**ვილაცებს არ უნდათ, რომ სცენაზე გამოვჩნდე.** ეკრანი ყოველთვის ადიდებს. სწორედ ამიტომ, როდესაც ტელევიზიაში მივდივარ სტუმრად, ორი-სამი დღით ადრე ვემზადები, **ვცდილობ, არ ვჭამო, რომ ეკრანზე ეფექტურად გამოვჩნდე.**

„სარკე“

**ნანუკა ლითანიშვილი**
*მსახიობი*



მოვიდა თეატრში ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ყველაფერი მხოლოდ მისი ნება-სურვილით უნდა მოხდეს. **მას არ სურს, მოუსმინოს მსახიობთა დასს. მისთვის არ არსებობს ავტორიტეტები თეატრში...** ამ თეატრს თავისი წესები აქვს. ის თავისუფალი სული, რომელიც **თუმანიშვილმა** შთაბერა, დღემდე მოვიტანეთ და ახლა **ასეთ ახირებებს არ შევეგუებით.**

„სარკე“

**ზურა გეწაძე**
*რეჟისორი*



ოჯახი გააზრებულად, სიყვარულით შევქმენი. **მშობლების იმედად არ ვყოფილვარ, გამწევი ძალა მე ვიყავი.** ბიჭის დაბადება როცა მახარეს, წუთითაც არ დამვიწყებია, რომ პასუხისმგებლობა გამიათმაგდა. ჩემთვის მამობა საყმაწვილო გასართობი კი არ იყო, არამედ შეგნებული პასუხისმგებლობა და უდიდესი ბედნიერება.

„სარკე“

**მამუკა ღლონტი**
*რადიო „მაესტროს“ დამფუძნებელი*



**პარიზში** ჩანთას თუ 50 სანტიმეტრში დადებთ და გვერდზე მიიხედავთ, მას უნდა გამოემშვიდობოთ. ერთხელ ვიყავი **დუბაიში,** სადაც არ შეიძლება მეუღლესთან ერთად ხელგადახვეული სიარული. **მეორედ აღარ წავალ ქვეყანაში, სადაც ჩემი უფლებები იზღუდება.**

„თბილისელები“

# „ვინც ანტი-დეპრესანტებს იღებთ, არც წითელ და არც თეთრ ღვინოს არ გაეკაროთ!“



## 250 გრამს თითქმის არასოდეს აჭარბებს.

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ წითელ ღვინოში შემავალი ფლავონოიდი რასვერატროლი მაღლა სწევს ორგანიზმისთვის სასარგებლო, მაღალი სიმკვრივის მქონე ე.წ. „კარგ“ ქოლესტერინს და მინიმუმამდე დაჰყავს დაბალი სიმკვრივის მქონე ე.წ. „ცუდი“ ქოლესტერინის მაჩვენებელი. ამიტომ ჩემი რჩევაა — **ინფარქტისა და ინსულტის თავიდან ასაცილებლად, დღე-ღამის განმავლობაში აუცილებლად დალიეთ 200-250 გრამი სუფთა წითელი ღვინო!**

**— ღვინოში რასვერატროლის გარდა კიდევ რა სასარგებლო ნივთიერებები შედის?**

— ბევრისთვის შესაძლოა, დაუჯერებელი და სენსაციური აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ ღვინოში და განსაკუთრებით წითელში ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და საჭირო ექვსასამდე ორგანული და არაორგანული ნაერთები შედის. ღვინო მდიდარია მიკრო და მაკროელემენტებით, კალციუმით, მაგნიუმით, კალიუმით, ნატრიუმით, სელენით, თუთიით, რკინით, C, B1, B2, PP ვიტამინებით, ღვინის ლიმონისა და ვაშლის მჟავებით და სხვა უამრავი სასარგებლო ნივთიერებით. ჩვენ არაერთგზის გვისაუბრია ძილის ჰორმონ **მელატონინზე,** რომელიც დღევანდელი გიჟმაჟი ცხოვრების სტილის გამო ყველას გვაკლია. არადა, მელატონინის ნაკლებობა უამრავ დაავადებას იწვევს. შორს რომ არ წავიდეთ, ამაზე თუნდაც ამ ბოლო დროს ფრანგი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევებიც მეტყველებს.

## მათ, ვისაც „კოვიდ-19“ დაემართა, 90 პროცენტზე მეტს ორგანიზმში მელატონინის ნაკლებობა დაუდასტურდა, ხოლო წითელი ღვინო ძალიან მდიდარია მელატონინით. ამიტომ ძილის წინ 50-100 გრამი წითელი ღვინის დალევა შესანიშნავი საშუალებაა უძილობის საწინააღმდეგოდ და მელატონინის შესავსებად.

**— რას იტყვით ტანინიანი და უტანინო ღვინოების შესახებ?**

— **ტანინები** ღვინოში შემავალი ფენოლური ნაერთებია, რომლებიც ღვინის ფერსა და ხარისხს განაპირობებენ. ტანინები ღვინოს დაჟანგვისგან იცავენ, ხოლო სისხლში მოხვედრისას სისხლძარღვებს უფრო ელასტიურსა და მოქნილს ხდიან, რითიც ხელს უშლიან ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოშობას.

ბევრი მიიჩნევს, რომ ევროპულად დაყენებული, უტანინო ღვინო ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. დიდი რაოდენობით ღვინის დალევის შედეგად მიღებული ტანინი, ცხადია, მავნეა, ამიტომაც, **ტანინიანი ღვინით ქეიფის შემდეგ, როგორც წესი, ნაბახუსევზე თავი სტკივათ, წნევა უწევთ და გული უჩქარდებათ, მაგრამ, თუ ზემოხსენებულ დოზებს დაიცავთ და ტანინიან ღვინოს 250 გრამზე მეტს არ დალევთ, პირიქით, ამით გულ-სისხლძარღვთა სისტემას ძალიან დიდ სამსახურს გაუწევთ!** ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ანთებისა და გრიპის დროს წითელი ღვინო უებარი საშუალებაა!

**— ამას რა მეცნიერული ახსნა აქვს?**

— ნებისმიერი ანთება, რომელიც თან ახლავს ქსოვილის კვდომას, ინფექციებს, ინსულტს, ინფარქტს, პნევმონიასა და სიმსივნეს, სისხლში **ფიბრინოგენის** მატებით ხასიათდება. ფიბრინოგენი არის ცილა, რომელსაც ღვიძლი გამოიმუშავებს. ანთების დროს ფიბრინოგენი უხსნად ნაერთად — ფიბრინად გარდაიქმნება, რაც ანთებით პროცესს უფრო ახანგრძლივებს. **დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი ფიბრინოგენის მაჩვენებელი იმ ადამიანების ორგანიზმშია, რომლებიც ღვინოს საერთოდ არ სვამენ. ამიტომ, ვინც ღვინოს არ სვამს, მისი ორგანიზმი ანთებითი პროცესებისგან ნაკლებად დაცულია!**

**— შეგიძლიათ თუ არა, დაასახელოთ რამდენიმე მიზეზი, რის გამოც დღე-ღამის განმავლობაში კაცმა 200-250 გრამი წითელი ღვინო აუცილებლად უნდა დალიოს?**

— წითელი ღვინო ორგანიზმს მკერდის, ნაწლავისა და პროსტატის სიმსივნისგან იცავს! მამაკაცებში ამაღლებს პოტენციას, ამცირებს ფერმენტ არომატაზას გამომუშავებას, რომელსაც მამაკაცის სასქესო ჰორმონები — ანდროგენები ქალთა სასქესო ჰორმონებში — ესტროგენებში გადაჰყავს! აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ლუდის ხშირად მოხმარების შემთხვევაში ეს ყველაფერი პირიქით ხდება და ფერმენტი არომატაზა ორგანიზმში ჭარბად გამოიყოფა.** სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანიაში, სადაც ლუდის ჭარბად სმის კულტურა საუკუნეებს ითვლის, ლუდის მოყვარული ქალები და კაცები ერთმანეთს ემსგავსებიან!

## წითელი ღვინო საუკეთესოა ასაკოვნებისთვის. ის ხელს უშლის კატარაქტის განვითარებას, ააქტიურებს თავის ტვინს, მეხსიერებას და ხელს უშლის დემენციისა და ალცჰაიმერის განვითარებას!

წითელი ღვინოს ზომიერად მოხმარება ხელს **უშლის მეორე ტიპის დიაბეტის განვითარებას,** ამაგრებს ძვლებს და რაც გინდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, ეს უკანასკნელი ეფექტი მხოლოდ ქალებში გამოიხატება და არა მამაკაცებში. ზომიერად მირთმეული წითელი ღვინო დეპრესიისგან თავის დასაღწევად საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ კატეგორიულად ვაფრთხილებ ყველას: **ვინც ანტიდეპრესანტებს იღებთ, არც წითელ და არც თეთრ ღვინოს არ გაეკაროთ!**

წითელი ღვინო და განსაკუთრებით ქართული „საფერავი“ ძვლებიდან რეცხავს რადიაქტიულ სტრონციუმს. ეს მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი უკრაინის კლინიკებში, სადაც ჩერნობილის ატომური აფეთქების შედეგად დასხივებულ ადამიანებს სწორედ საქართველოდან გაგზავნილ „საფერავს“ ასმევდნენ და შედეგები გამაოგნებელი იყო. **რეცეპტურას, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი სწორედ წითელი ღვინოა, უკრაინელი ონკოლოგები წარმატებით იყენებდნენ კიბოს დასამარცხებლად.** ეს ექსპერიმენტებიც პირადად მაქვს ნანახი, როდესაც **„კატრექსის“** ლაბორატორიაში ვმუშაობდი და უკრაინაში მოქმედ გასაიდუმლოებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან წვდომა მქონდა.

## „რეცეპტურას, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი სწორედ წითელი ღვინოა, უკრაინელი ონკოლოგები წარმატებით იყენებდნენ კიბოს დასამარცხებლად. ეს ექსპერიმენტებიც პირადად მაქვს ნანახი, როდესაც „კატრექსის“ ლაბორატორიაში ვმუშაობდი და უკრაინაში მოქმედ გასაიდუმლოებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან წვდომა მქონდა!“

**— მაინც როგორ ამზადებდნენ უკრაინელი ექიმები კიბოს საწინააღმდეგო წამალს, რომელშიც წითელი ღვინოც შედიოდა?**

— რეცეპტურა ასეთია: **400 გრამი ალოეს ფურცლები** (ალოე აუცილებლად უნდა იყოს 3-5 წლის) **ჩავაწყოთ ე.წ. ცელოფნის პარკში და 7 დღის განმავლობაში მაცივარში შევინახოთ. შემდეგ ალოე გავატაროთ ხორცსაკეპში, შევურიოთ 500 გრამი მაისის თაფლი და 0,7 ლიტრი წითელი ღვინო** (სასურველია „საფერავი“). **ყოველივე ეს მოვათავსოთ მინის ჭურჭელში და გავაჩეროთ სიბნელეში 5 დღე-ღამის განმავლობაში.** რაც შეეხება პრეპარატის მიღების წესს: პირველი ხუთი დღის განმავლობაში მივიღოთ 1 ჩაის კოვზი სამჯერ დღეში ჭამამდე ერთი საათით ადრე. დანარჩენ დღეებში კი 1 სუფრის კოვზი სამჯერ დღეში ჭამამდე ერთი საათით ადრე. **მკურნალობის კურსი 3-7 კვირა გავაგრძელოთ!** ეს რეცეპტურა ჯერ კიდევ 1997 წელს გამოვაქვეყნე ჩემი „სამკურნალო წიგნის“ მეორე ტომში. **პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს რეცეპტურა ეფექტურია არამხოლოდ სიმსივნეების, არამედ გულის, ღვიძლისა და ფილტვის ქრონიკული პათოლოგიების დროს.** წამალი ძალიან უხდება ვენების გაგანიერებას (თრომბოფლებიტსა) და ჰიპერტონიას (მაღალ წნევას).



**— თქვენ ბრძანეთ, რომ ზემოხსენებული წამლის მომზადების პროცესის წინ 400 გრამი ალოე მაცივარში უნდა შეინახოთ და ალოე აუცილებლად 3-5 წლის უნდა იყოს! რატომ?**

— უკრაინაში ალოეს მაცივარში არ ინახავდნენ, ეს მე გამოვიგონე! საქმე ის გახლავთ, რომ სტრესულ სიტუაციაში, **ლევ ფილატოვის** თეორიის თანახმად, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი გამოყოფს ანტისტრესულ, ბიოგენურ ნივთიერებებს, რომლებიც სამკურნალო წამლის ეფექტს მრავალგზის ზრდის. ეს მეთოდი მსოფლიოში პირველად ოფთალმოლოგიის მამამ, ოდესელმა ლევ ფილატოვმა გამოიყენა, როცა მან თვალის რქოვანას გადანერგვის ოპერაცია ჩაატარა და გადასანერგი მასალა წინასწარ დაბალ ტემპერატურაზე მოათავსა. რაც შეეხება ალოეს ასაკსა და იმაზე ხაზგასმას, რომ რეცეპტურის მომზადებისას ის 3-5 წლის მაინც უნდა იყოს, ეს იმით აიხსნება, რომ ალოეში სასარგებლო ნივთიერებათა მთელი ბუკეტი სწორედ 3 წლის შემდეგ ჩნდება!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

### მევლუდ მელაძე
*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



ქალაქი წალეკა მაღალმა შენობებმა, გარშემო კი **პარკირების ზონებს ვერსად ნახავთ.** მობინადრეებს სტუმრებისთვის კი არა, თავიანთთვის არა აქვთ საკმარისი პარკირების ადგილი. რაც მეტი მაღალი შენობები იქნება ქალაქის ცენტრში, მით მეტი გამტარი ქუჩებია საჭირო. **შუქნიშნების დამატება პრობლემას არ აგვარებს, პირიქით, აუარესებს მდგომარეობას.** რაც მეტი შუქნიშანი იქნება, მით მეტი საცობი იქნება.

„კვირის პალიტრა“

### განო მელითაური
*მსახიობი*



საქართველოს მთავრობავ: **ყველა ლტოლვილს, ვინც საზღვარს კვეთს, დაევალოს საქართველოს უახლესი ისტორიის და ქართულის სწავლა!** აიკრძალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოციალურ სივრცეებში, თუნდაც კაფეებში, ბანკებში, მოლებში რუსულად საუბარი!

„ფეისბუქი“

### ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი
*მსახიობი*



თეატრით ვცოცხლობ და **შრომით მივაღწიე** ყველაფერს! **შრომით აღმოვჩნდი** თეატრში, რომლიდანაც უნდათ, რომ გამაგდონ!

„ახალი თაობა“

### დინი ვირსალაძე
*მუსიკოსი, პიანისტი, კომპოზიტორი*



მსიამოვნებს **ყვავილების მოვლა,** ამ დროს მუსიკისგანაც ვისვენებ.

„კვირის პალიტრა“

### ნიკოლოზ მახათელი
*ამერიკაში აღიარებული ბალეტმაისტერი*



მე ის ადამიანი ვარ, რომელიც **სამშობლოდან იძულებით გადაიხვეწა,** მაგრამ ოცნებობს საქართველოში დაბრუნებაზე. **უთუოდ დავბრუნდები,** როგორიც უნდა იყოს საქართველო, ის ჩემი სახლია!

„კვირის პალიტრა“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2022 წლის №40*



## დაიწყო იმაზე ფიქრი, როგორ შეგვეკავებინა ეს უზნეობის ნიაღვარი.

ვიცოდით, რომ „რუსთავი-2“ ისევე, როგორც ყველა დღევანდელი ტელევიზია, შემოსავლებს მალავდა... ამიტომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე მთელი თვე-ნახევრის განმავლობაში „რუსთავი-2“ დაექვემდებარა უმკაცრეს მონიტორინგს — იწერებოდა ყველა მისი გადაცემა! რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესის მიზანი იყო სარეკლამო შემოსავლების დათვლა. გამოძიებას წარმართავდა



# ვენედი ბენიძე:

# ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შევარდნაძის მეუღლემ „რუსთავი-2“-ზე შემთხვევით „დარდუბალას“ ერთ-ერთი სერია ნახა და ცუდად გახდა!

***2001 წლის 30 ოქტომბერს უშიშროების სამინისტროს დაახლოებით 30 წარმომადგენელი ე.წ. დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისში შევიდა და სასამართლოს დადგენილების საფუძველზე კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება მოითხოვა. „რუსთავი-2“-ში, რომელიც ყოველივე ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდა, განგაში გამოცხადდა და ტელეკომპანიამ საშველად ხალხს უხმო. საქართველოს მაშინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ვენედი ბენიძე „რუსთავი-2“-ში განვითარებულ მოვლენებს იხსენებს და აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილის ტელევიზიასთან, რომელიც სახელმწიფოს აშანტაჟებდა, ხელისუფლება მართალი იყო:***

— 2001 წლის 30 ოქტომბერს საქართველოში პირველად დაფიქსირდა ფაქტი, როცა ე.წ. დამოუკიდებელმა ტელეკომპანიამ, მისმა დამქაშებმა და ხელის დამფარებლებმა დააშანტაჟეს და პროვოკაცია მოუწყვეს სახელმწიფოს. **ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეს შანტაჟი და პროვოკაცია სახელმწიფოს მიმართ არა „რუსთავი-2“-ის, მაგრამ სხვა ტელევიზიების მხრიდან დღესაც გრძელდება.** როცა ეს ამბავი მოხდა, საქართველოს გენერალური პროკურორი გახლდათ ბატონი **გია მეფარიშვილი,** ხოლო მე ვიყავი მისი პირველი მოადგილე. ცხადია, ჩვენ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში ვიყავით და შეიძლება ითქვას, რომ მაშინ „რუსთავი-2“-ში ჩვენ გარეშე არაფერი მომხდარა...

**— ბატონო ვენედი, მაინც საიდან დაიწყო ყველაფერი და ვის მოუვიდა აზრად, „რუსთავი-2“-ში ფინანსური დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით უშიშროების თანამშრომლები გაეგზავნა?**

— ჩემი ინფორმაციით, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **შევარდნაძის მეუღლემ,** აწ განსვენებულმა **ნანული ცაგარეიშვილმა** „რუსთავი-2“-ზე შემთხვევით „დარდუბალას“ ერთ-ერთი სერია ნახა და ცუდად გახდა! მოგეხსენებათ, **„დარდუბალა“** ძალიან პროვოკაციული და ბინძური ანიმაციური სერიალი გახლდათ, სადაც შევარდნაძეს კი არ აკრიტიკებდნენ, არამედ შეურაცხყოფას აყენებდნენ. როგორც მითხრეს, **ქალბატონი ნანული** რომ მოესულიერებინათ, სასწრაფო გამოიძახეს... ქალბატონმა ძალიან ინერვიულა იმის გამო, რომ „დარდუბალას“ იმ სერიაში შევარდნაძის გმირი ჯერ ნაგვის მანქანაზე შესვეს, ხოლო შემდეგ იმავე მანქანიდან ჩამოაგდეს და სამარცხვინოდ ქუჩაში დააგდეს. მაშინ ორშაბათობით თათბირები ტარდებოდა და

**შევარდნაძემ გვკითხა – ეს უკვე კრიტიკა და ე.წ. „გამოხატვის თავისუფლება“ აღარ არის, ეს შეურაცხყოფაა და ნუთუ ქვეყანაში არ არსებობს მექანიზმი, რომ პრეზიდენტმა თავისი ღირსება დაიცვასო? შევარდნაძის ამ გამოსვლის შემდეგ ყველამ**



კადრები ანიმაციური სერიალიდან „დარდუბალა“

## „რუსთავი-2“-მა სახელმწიფო და ხელისუფლება მაშინ დააშანტაჟა, სამწუხაროდ, ტელევიზიების მიერ ქვეყნის შანტაჟი დღესაც გრძელდება!“

უშიშროების სამინისტროს ძალიან მაღალი დონის გამომძიებელი, ნამდვილი პროფესიონალი **დავით ჩხატარაშვილი,** რომელიც მერე ავადსახსენებელი **ზურაბ ადეიშვილის** მოადგილეც კი იყო.

**— უშიშროებამ ეს საქმე რატომ აიღო?**

— იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პირადად მინისტრი **კახა თარგამაძე** დაპირისპირებული იყვნენ **ჟვანია-სააკაშვილის დაჯგუფებასთან,** რომელიც მაშინ „რუსთავი-2“-ის რეალურ მფლობელად მოიაზრებოდა. მოკლედ, თვე-ნახევრის განმავლობაში „რუსთავი-2“-ის ეთერის უწყვეტ რეჟიმში წარმოებულმა ჩანაწერმა დაახლოებით 400 ვიდეოკასეტა შეადგინა, საიდანაც უშიშროებაში გამოხშირეს რეკლამები, დათვალეს და გამოიანგარიშეს ყველაფერი და დაელოდნენ იმ დროს, როცა **ეროსი კიწმარიშვილი** ბიუჯეტში თანხას შეიტანდა. სხვათაშორის, სარეკლამო თანხებში არ შედიოდა ე.წ. მოძრავი სტრიქონები, ამას გარდა გვქონდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის მთელი ტექნიკა კონტრაბანდული გზით ჰქონდა შეძენილი...

**— რა დაადგინა უშიშროებამ?**

— უშიშროებამ კი არა, მაშინდელმა კონტროლის პალატამ დადო დასკვნა, რომლის თანახმადაც **ეროსი კიწმარიშვილის** მიერ შეტანილ თანხასა და ბიუჯეტში რეალურად შესატან თანხას შორის ერთ თვეში სხვაობა **301 ათასი ლარი** აღმოჩნდა, ანუ „რუსთავი-2“ საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად, სულ მცირე, **3 მილიონ 600 ათას ლარს** მაინც უმალავდა! თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 2001 წელს ლარის დოლართან შეფარდება არ იყო ისეთი, როგორც დღეს არის და ლარის მსყიდველობითი უნარი მაშინ ძალიან მაღალი გახლდათ, ალბათ, გასაგებია, თუ რა ზარალს ნახულობდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. სხვათაშორის, **როცა უშიშროების სამინისტრო**

## კვირგვინოსნები

**დავით კეზერაშვილი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



არ ვაპირებ, მშვიდად ვიყო და შორიდან ვუყურო ჩემი მეგობრების **მიხეილ სააკაშვილის და ნიკა გვარამიას** ციხეში ყოფნას. ისინი რეჟიმის პოლიტიკური პატიმრები არიან და რაც ჩემს ძალებშია, **ყველაფერს გავაკეთებ მათი გათავისუფლებისათვის.**

„ფეისბუქი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ალბათ, ჯობს, ქალბატონმა **ხოშტარიამ** თავის რუბლებს მიხედოს, რომლებიც იქიდან ერიცხება მას და მის ოჯახს! საზოგადოებას, მათ შორის, ჩვენც — პოლიტიკოსებს, გვაინტერესებს პასუხი მთავარ კითხვაზე, რომელიც მას უკავშირდება — **ვის ინტერესებს ატარებს ის საქართველოში? ვინც ფულს უხდის?** როგორც ირკვევა, დაფინანსების 2 წყარო აქვს: ერთი — **ოლიგარქი კეზერაშვილი** და მეორე — **რუსეთი.**

„TV იმედი“

**ელენე ხოშტარია**
*„დროას“ ლიდერი*



**კეზერაშვილთან** მე ვპარტნიორობ და ვიპარტნიორებ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ხოშტარია** რუსეთიდან მიღებულ მილიონობით რუბლს არ სჯერდება და ღიად აცხადებს, რომ **კეზერაშვილის** შავი ფულით ხდება მისი და თანაპარტიელების დაფინანსება.

„რეზონანსი“

**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ნაცმოძრაობა იშლება** და ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავთ. ნაციონალური მოძრაობა **დავით კეზერაშვილმა** დაშალა და მან ამ ამოცანას თავი ძალიან წარმატებით გაართვა.

„რეზონანსი“

„რუსთავი-2-ის გადაცემებზე მონიტორინგს ახორციელებდა, „რუსთავი-2“-ში საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გეგმური კონტროლი ჰქონდა. მაშინ შემოსავლების მინისტრი იყო მიხეილ მაჭავარიანი — ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრი. როცა შესაბამისმა ორგანოებმა მაჭავარიანს სთხოვეს, ამ საქმეში ჩართულიყო, მან უარი თქვა და განაცხადა — ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, მაგრამ „რუსთავი-2“-ში ჩვენ მიერ დადებული დასკვნა და შედგენილი დოკუმენტაცია ადგილზე დაგხვდებათო! მოკლედ, დაიწყო გამოძიება და, **ჩემი გადაწყვეტილებით და გია მეფარიშვილის თანხმობით,** ეს საქმე უშიშროების სამინისტროს დავუტოვეთ.

**— საქმეს უშუალოდ ვინ იძიებდა?**

— როგორც გითხარით, საქმე აღძრა **დავით ჩხატარაშვილმა,** ხოლო უშუალოდ გამოძიებას ხელმძღვანელობდნენ უწესიერესი ხალხი და ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები — **იაგო მაჩხანელი** და **დავით როგავა.** ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ბრძანება გასცა „რუსთავი-2“-დან ფინანსური დოკუმენტაციის ამოღების შესახებ. კიდევ ვიმეორებ: ეს ის დოკუმენტაცია გახლდათ, რომელიც მიხეილ მაჭავარიანის უწყებამ გეგმური შემოწმების შედეგად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შესახებ შექმნა. წინა დღეს **იაგო მაჩხანელსა** და **დავით როგავას** ჩემს კაბინეტში შევხვდი და ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ, რადგან საქმე გვქონდა პროვოკატორებთან და შანტაჟიორებთან, დოკუმენტაციის ამოღების დროს მაქსიმალურად ფრთხილად და გაწონასწორებულად მოქცეულიყვნენ, რათა ვინმე არ გაეღიზიანებინათ. **მეორე დღეს, 2001 წლის 30 ოქტომბერს, იაგო მაჩხანელი და დავით როგავა „რუსთავი-2“-ში შევიდნენ და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...**

**— მაინც რა დაიწყო?**

— მაშინ „რუსთავი-2“-ის დირექტორი **ნიკა ტაბატაძე** იყო, რომელიც მაჩხანელსა და როგავას ნორმალურად შეხვდა, მაგრამ მერე ტაბატაძემ დაურეკა **ეროსი კიწმარიშვილს,** რომელიც გიჟივით მოვარდა და ატეხა წივილ-კივილი. მას წივილ-კივილში ეჯიბრებოდა **ნიკა ტაბატაძის ყოფილი ცოლიც...** ცხადია, კიწმარიშვილმა ძალიან კარგად იცოდა, თუ რა მაქინაციებშიც იყო გახლართული და ამიტომ კიოდა... კიწმარიშვილი სართულიდან სართულზე დარბოდა, გამომძიებლებს აშანტაჟებდა, დოკუმენტაციას მალავდა. ცხადია, ეს ყველაფერი გადაიცემოდა „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში. **ეროსი კიწმარიშვილი** ყოველ ათ წუთში ერთხელ ურეკავდა ვინმე **„ზურას“** და შველას სთხოვდა. როგორც გაირკვა, უშიშროება ამ საუბრებს უსმენდა. აღმოჩნდა, რომ ეს **„ზურა“** იყო **ზურაბ ჟვანია,** რომელიც კიწმარიშვილს აკვალიანებდა — ცოტა ხანიც გაუძელით, ხალხს მოუხმეთო! ჟვანია ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარე იყო... მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების სამინისტრომ იქ გამომძიებლების დასახმარებლად ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ძალიან გამოცდილი და ინტელიგენტი კადრი — **მალხაზ სალაყაია** მიავლინა, რომელიც შესაბამის განმარტებებს აკეთებდა და ხელისუფლების მოქმედების კანონიერებას ასაბუთებდა, ხელისუფლებამ „რუსთავი-2“-დან ფინანსური დოკუმენტაცია მაინც ვერ ამოიღო. **მაჩხანელსა და როგავას მივახმარეთ ოპერატიული თანამშრომლები, გავგზავნეთ ხალხი, მაგრამ ეროსი კიწმარიშვილმა ჩაკეტა ყველაფერი, ატეხა აჟიოტაჟი და 15-საათიანი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ დაიწყო ჯოჯოხეთი — გაბრიყვებულმა ხალხმა, რომელიც ამ დამნაშავეებმა და შანტაჟიორებმა ფარად აიფარეს, „რუსთავი-2“-ის ოფისთან დაიწყო შეგროვება!**

**— მაინც რა მიზანი ჰქონდა ხელისუფლებას, ვინმეს დაჭერა თუ ტელეკომპანიის დახურვა?**

— ჩვენი ამოცანა ვინმეს დაჭერა არ ყოფილა, ერთადერთი მიზანი გვქონდა — იმ აღვირახსნილობისთვის ალიკაპის ამოდება და „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობისთვის ყურის აწევა! **შევარდნაძემ თავიდანვე გვითხრა — ვინმეს დაპატიმრება გამორიცხეთ, ამაზე დიდი ამბავი ატყდებაო!** სხვათაშორის, როგორც მახსოვს, 30 ოქტომბერს შევარდნაძე მარნეულში იყო და როცა „რუსთავი-2“-ში განვითარებული პროცესების შესახებ ჰკითხეს, უპასუხა — მე არაფერი ვიციო! ცხადია, შევარდნაძემ ყველაფერი იცოდა და მის გარეშე არაფერი მომხდარა...

**— ეროსი კიწმარიშვილი „რუსთავი-2“-ს შეეწირა?**

— **ეროსი კიწმარიშვილი** თავის ვალებს შეეწირა! მე მას რუსთავიდან ვიცნობდი და ძალიან ფულის მოყვარული კაცი იყო...

## „ეროსი კიწმარიშვილი ყოველ ათ წუთში ერთხელ ურეკავდა ვინმე „ზურას“ და შველას სთხოვდა.

**როგორც გაირკვა, უშიშროება ამ საუბრებს უსმენდა. აღმოჩნდა, რომ ეს „ზურა“ იყო ზურაბ ჟვანია, რომელიც კიწმარიშვილს აკვალიანებდა — ცოტა ხანიც გაუძელით, ხალხს მოუხმეთო!“**






## „რუსთავი-2“ საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად, სულ მცირე, 3 მილიონ 600 ათას ლარს უმალავდა!“

## ერთხელ ვკითხე – ეროსი, ასე თავხედურად და გამომწვევად რატომ იქცევით–მეთქი? – გაგვდის, ბატონო ვენედი და იმიტომ, თორემ, რასაც საქართველოში ვაკეთებთ, იმას შვეიცარიაში ვინ გაგვაკეთებინებს?! მე ვარ კერძო მეწარმე, მინდა

## ფული და ფულს ვინც მომცემს, იმის სასარგებლოდ გავაკეთებ გადაცემებსო!

აი, ეს იყო მისი პასუხი... აბა, მეტი რაღა გითხრათ? **ეროსი კიწმარიშვილი ზურაბ ჟვანიასთან იყო ძალიან ახლოს, სწორედ ჟვანიამ დაუფარა მას ვალი — 13 მილიონი, ჩამოიყვანა რუსთავიდან თბილისში, ტელევიზიას აჩუქა ახალი სიცოცხლე და ჩააყენა თავის სამსახურში...** ერთიც ხაზგასმით უნდა ითქვას — 2001 წლის 30 ოქტომბერს ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მაშინ ვითომდა „რუსთავი-2“-ის დასაცავად შეიკრიბნენ, იქცეოდნენ თავის მომჭრელად და გულშემატკივრობდნენ დამნაშავეებს!

**— რა გითხრათ იმ ფაქტმა, რომ 2001 წლის 30 ოქტომბერს ხელისუფლება „რუსთავი-2“-თან ბრძოლაში დამარცხდა?**

— ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფო დაშანტაჟებული იყო, ხოლო შანტაჟისტები და დამნაშავეები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდნენ, რაც ორ წელიწადში მოახერხეს კიდეც. 2001 წლის 30 ოქტომბერს **ეროსი კიწმარიშვილის** მიერ ხელისუფლების დაშანტაჟებასა და ხალხის აყოლიებას ის შედეგი მოჰყვა, რომ 1 ნოემბერს შევარდნაძემ მთელი მთავრობა გადააყენა.

**— გიფიქრიათ იმაზე, რომ შესაძლოა, შევარდნაძემ ეს ყველაფერი სპეციალურად დაგეგმა, რათა მთავრობა გადაეყენებინა?**

— არა, შევარდნაძეს მაშინ მთავრობის გადაყენება არ უნდოდა, მაგრამ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო!

**— რა ბედი ეწია იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც მაშინ უშიშროების სამინისტრომ „რუსთავი-2“-ის მესვეურების მიმართ აღძრა?**

— ის სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, რადგან საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ხოლო სააკაშვილი და ჟვანია საკუთარ თავს ხომ არ გაასამართლებდნენ? საქმე შეწყვიტა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა **ნუგზარ გაბრიჩიძემ.** რა შუაში იყო ამ საქმის შეწყვეტა, დღემდე არ ვიცი... კიდევ ვიმეორებ: „რუსთავი-2“-მა სახელმწიფო და ხელისუფლება მაშინ დააშანტაჟა, **თუმცა, ტელევიზიების მიერ ქვეყნის შანტაჟი დღესაც გრძელდება, რაც დაუშვებელია!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**შემოდგომის აზნაურებივით** იქცევიან — დადიან ხელგამოწვდილები, **კეზერაშვილი** ჩოხას მისცემს, მერე ახალუხს მისცემს **ნაყოფია.** „ქართულ ოცნებას“ მიტინგებით ვერ შეაშინებ, ნახევარმილიონიანი მიტინგები მოგვიწყვია.

„TV იმედი“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**პეტრე ცისკარიშვილს** შეგიძლიათ დააბრალოთ ნებისმიერი რამ, მაგრამ არა ის, რომ ზურგი აქცია **მიხეილ სააკაშვილს.** ვფიქრობ, ეს საკითხი გაირკვევა — მე მიყვარს და მჯერა **ნანუკა ჟორჟოლიანის.**

„ინტერპრესნიუსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი*



**ნანუკა ჟორჟოლიანის** როყიოდ მონაყოლი „ისტორია“ უბრალოდ ტყუილია — არცერთი ნაბიჯი **მიხეილ სააკაშვილის** უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით არ გადაგვიდგამს მასთან კონსულტაციის გარეშე.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



არ გაგიკვირდეთ, ერთ-ორ დღეში „ქოცებმა“ **მელიას** დაცვა თუ დაუწყეს. ალბათ, ასე იტყვიან: **„ეგ კარგი ნაციაო“, ან „ყველას ეგ მირჩევნიაო“, ან „ნიკა კარგი ბიჭია, უბრალოდ, ნაცებთან გვერდით რა უნდაო“...** და ა.შ. სულ „უსიკა“ **გრიგოლ ვაშაძე** მიდგას თვალწინ, ხან — რუსის და ხან დასავლეთის აგენტი რომ არის და რომ ვერ გაერკვნენ, ვინ არის, არადა, რუსია, რუსი!

„ალია“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** მას შემდეგ, რაც მისი თქმით, ამერიკის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს** სატელეფონო საუბრისას პირდაპირ უყვირა — დროზე ქენით რამე, თორემ დაგვამხო რუსის ჯარმა თავზე ქვეყანაო — იხსენებს, როგორ გამოვიდა ბუში საგანგებო მიმართვით და მხარი დაუჭირა საქართველოს:

***„ეს გახდა შემობრუნების მომენტი. ამ მომენტამდე CNN პირდაპირ ეთერში აჩვენებდა თბილისისკენ მიმავალ რუსეთის სატანკო კოლონას. ქალაქამდე ოცდაათი კილომეტრი იყო დარჩენილი. ბუშის განცხადებიდან ოცი წუთის შემდეგ სატანკო კოლონა გადარჩა. როგორც შემდეგ გავიგეთ, განცხადების გაკეთებისთანავე, ამერიკამ რუმინეთში, კონსტანცას ბაზაზე გადაისროლა 20-მდე ზებგერითი გამანადგურებელი თვითმფრინავი F-16, თურქეთში ინჯერლიკის ბაზა სრულ მზადყოფნაში მოიყვანა. შავი ზღვისკენ დაიძრა მეექვსე ფლოტი“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 193).*

ანუ სააკაშვილი გვარწმუნებს, ამერიკას მე ვაკისრებინე, თორემ პრეზიდენტი ბუში არც აპირებდა განძრევასო! ის კი არა, მემუარისტი ამერიკელების მიერ როკის გვირაბის დაბომბვის გეგმებსაც კი ამხელს:

***„მოქმედების სტრატეგიაზე ამერიკის მთავრობის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ შესთავაზა, სარაკეტო დარტყმებით დაებომბათ როკის გვირაბი, რათა რუსული ჯარის წინსვლა შეჩერებულიყო და კიდევ, საქართველოს საჰაერო სივრცე არასაფრენ ზონად გამოეცხადებინათ, ანუ რუსული თვითმფრინავების ჩამოგდების უფლება ჰქონოდათ.*** *ჩვენ არ გაგვიმართლა. იმ დროისთვის აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე* ***დონალდ რამსფელდი*** *(ჩეინის მხარდამჭერი)* ***რობერტ გეითსმა*** *შეცვალა. ის ეჭვის თვალით გვიყურებდა ჩვენ და საერთოდ ყველა პატარა ქვეყანას, თვლიდა, რომ ჩვენ პროვოკატორები ვართ და ფეხებში ვებლანდებით...* ***გეითსი შეეპასუხა ჩეინს:*** *ამერიკას რეგიონში არ აქვს საკმარისი ძალები, ამიტომ გაუგებარია, რას მოვიმოქმედებთ იმ შემთხვევაში, თუ სარაკეტო დარტყმები რუსეთთან მასშტაბურ ომში გადაიზრდება.*

***თავდაცვის მინისტრი რამსფელდი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, აშშ ძალას გამოიყენებდა. ჩვენ ამ თემაზე შემდგომ ვისაუბრეთ და მან ჩემი მოსაზრება დაადასტურა“*** *(იქვე, გვ. 193).*

ანუ მაშინ ამერიკის თავდაცვის მინისტრი **გეითსი** რომ არ ყოფილიყო, პროვოკატორად რომ მიიჩნევდა სააკაშვილს, საქართველოში რუსეთ-ამერიკის ომი დაიწყებოდა!

თუმცა, სააკაშვილი მაინც აშკარად ემადლიერება ამერიკას და ხოტბა-დიდებას არ იშურებს აგვისტოს ომისას გაწეული დახმარებისთვის:

***„როგორც არ უნდა იყოს, ამერიკა რეგიონში თავის პოზიციებს აძლიერებდა. თბილისის აეროპორტში დაფრენა დაიწყეს „ჰერკულესებმა“, სატრანსპორტო თვითმფრინავებმა. ამერიკელებმა ამ აქტით ყველას აჩვენეს, რომ რუსეთს საქართველოს სივრცეში უკვე მონოპოლია აღარ აქვს. საქართველოში რუსეთის თვითმფრინავების ფრენა შეწყდა. შავი ზღვის თურქულ ზონაში ზებგერითი გამანადგურებელი თვითმფრინავები F-16 მორიგეობდნენ და მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ“*** *(იქვე, გვ. 193).*

ამის შემდეგ სააკაშვილი აფასებს **ჯორჯ ბუშის** პრეზიდენტობას — იმის ღიად მინიშნებით, რომ აი, მე რომ არ „შემეჯორა“, სუსტ პრეზიდენტად შევიდოდა ისტორიაშიო:

***„თავისი საპრეზიდენტო ვადის ბოლოს ბუში წარმოჩნდა არა როგორც სუსტი, არამედ საკმარისად ძლიერი პრეზიდენტი. სათანადო პატივი უნდა მივაგოთ, მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. სწორედ ამან შეაჩერა რუსეთი. გარკვეული დროის შემდეგ გეითსმა აღნიშნა, რომ ამერიკა არცერთ შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებას არ აპირებს. ამის შემდეგ რუსებმა განაახლეს გადაადგილებები, წინ წავიდნენ და ახალგორი დაიკავეს. მაგრამ თბილისზე შეტევა მაინც ვერ გაბედეს. პუტინმა გადაწყვიტა, თამასა აღარ აეწია“*** *(იქვე, გვ. 194).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი პირდაპირ ამერიკის თავდაცვის მინისტრს აბრალებს, რუსებმა ახალგორი რომ დაიკავეს! და ამ დროს ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმაზე, რომ სწორედ მან მიუერთა ეგრეთ წოდებულ **„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ალტერნატიულ მთავრობას“** ახალგორის რაიონი, რომელიც მანამდე არასოდეს არ შედიოდა საბჭოთა **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის“** შემადგენლობაში!

და სააკაშვილი არც იმაზე ძრავს კრინტს, რომ ისე გამოაქცია ქართული ჯარი თბილისისკენ, რომ ერთი ჯავშანმანქანაც არ დატოვა ახალგორის ასახვევთან და მიართვა ლანგრით რუსეთის საოკუპაციო ჯარს ეს ძირძველი ქართული ტერიტორია, რომელიც ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული!

მემუარისტი აგვისტოს ომზე თხრობას ისევ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის **ნიკოლა სარკოზის** აშკარა დაწიხვლით ასრულებს:

***„რუსეთის ჯარები ფოთსა და ზუგდიდამდე მოვიდნენ. თითქმის ნახევარი საქართველო ოკუპანტების ხელში აღმოჩნდა. როგორც სარკოზის გეგმა ითვალისწინებდა, სექტემბრის შუა რიცხვებში მათ უკან დახევა დაიწყეს. რუსეთის კონტროლის ქვეშ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 18%, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დარჩა. მაგრამ სარკოზის გეგმა, რომელიც რუსეთის ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას ითვალისწინებდა, მათ არ შეასრულეს. საფრანგეთმა კი, დადო რა კონტრაქტი „მისტრალების“ შეძენაზე, ისევე დაივიწყა სამშვიდობო ხელშეკრულება, როგორც ევროპამ ბუდაპეშტის მემორანდუმი დაივიწყა“*** *(იქვე, გვ. 194).*

ამავდროულად, მემუარისტი საერთოდ არაფერს ამბობს, როგორ მიატოვა კიდევ ერთი ძირძველი ქართული კუთხე — კოდორის ხეობა, რომელიც ომამდე აფხაზეთის ტერიტორიად გამოაცხადა და სადაც ასობით მილიონი დოლარის შეიარაღება აზიდა — მათ შორის, ათასობით ამერიკული ავტომატი! და ეს ყველაფერი უბრძოლველად ჩააბარა მტერს, რადგან, მისი ბრძანებით, კოდორის ხეობა ქართულმა შენაერთებმა თავქუდმოგლეჯილებმა დატოვეს და იარაღის საწყობებიც კი არ აუფეთქებიათ! რა თქმა უნდა, ხელუხლებლად რომ ჩაებარებინათ რუსებისათვის — იარაღის ბიზნესს მათთან ხომ სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანია** აწარმოებდა!

სააკაშვილი იხსენებს, აგვისტოს ომის შემდეგ რა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა შეიარაღებული ძალები, რადგან საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა არავის სურდა, თვით უკრაინასაც კი:

***„ომის შემდეგ ჩვენ საკუთარი სამხედრო მრეწველობა შევქმენით. აღმოჩნდა, რომ საქართველოსთვის არაოფიციალური ემბარგო იყო გამოცხადებული — თავის დროზე კონდოლიზა რაისი ამის თაობაზე მაფრთხილებდა. არავის სურდა ჩვენთვის არათუ იარაღის, ვაზნების მიყიდვაც კი. ამ საიდუმლო გამოუცხადებელ ემბარგოს უკრაინაც იცავდა. 2008-2009 წლებში უკრაინაში ყველაფერს ტიმოშენკო ხელმძღვანელობდა. იუშჩენკოს მოწინააღმდეგეებმა რადაში კომისიაც კი შექმნეს, რომელიც საქართველოში იარაღის მიწოდებას იძიებდა“*** *(იქვე, გვ. 194).*

იქვე მემუარისტი ცდილობს, გააანალიზოს, როგორ მოქმედებს **პუტინი** დასავლეთის უხერხემლო პოლიტიკის პირობებში:

***„პუტინს უდარდელ ადამიანს ვერ უწოდებ. ის ყოველთვის საკმაოდ რაციონალურად მოქმედებს, ვიდრე ნაბიჯს გადადგამს, ყველაფერს წინასწარ გათვლის. კარგად იცის, როგორ მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკაში პრინციპი „მოთმინებითა შენითა...“ დასავლეთის თვალში აგრესიის მსხვერპლი ყოველთვის რაღაცაში ოდნავ მაინც დამნაშავეა. გაგაუპატიურეს? რატომ გეცვა ასეთი მოკლე ქვედაბოლო?***

*...ჩვენთან გორის ცენტრში ჰოლანდიელი ჟურნალისტი დაიღუპა — კასეტური ბომბის მსხვერპლი გახდა. ამ მოვლენების შემდეგ მისმა უახლოესმა მეგობარმა დაწერა:* ***რა თქმა უნდა, რუსული კასეტური ბომბები იყო, რა თქმა უნდა, რუსეთი დამნაშავეა, მაგრამ ეს ხომ საქართველოში მოხდა, ამიტომ საქართველოც დამნაშავეა“*** *(იქვე, გვ. 195).*

რა თქმა უნდა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძნელია, მემუარისტს არ დაეთანხმო — დასავლეთს არათუ ორმაგი, არამედ სამმაგი და ოთხმაგი სტანდარტებიც კი აქვს და ამ სტანდარტებით ისე მანიპულირებს, როგორც პროფესიონალი ცირკის ჟონგლიორი — იმის გათვალისწინებით, რომელი ხრიკი რა დროს სჭირდება სათავისოდ, მაქსიმალური სარგებლის მისაღებად!

შემდეგ სააკაშვილი იმაზე მსჯელობს, როგორ უდრტვინველად გადაყლაპა ამერიკამ და ევროპამ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია-ოკუპაცია, ობამასა და ბაიდენსაც გადასწვდა:

***„ობამას ადმინისტრაციის მთავარი პრინციპია — არავითარი ახალი კონფლიქტი, ჩვენ ბუში არა ვართ. როგორც ბაიდენმა*** *(ობამას პრეზიდენტობისას ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა — გ.გ.)* ***2009 წელს, მიუნხენში მითხრა, რუსეთ-საქართველოს ომის დროს ისინი ბუშის ადგილზე რომ ყოფილიყვნენ, ბევრად ჭკვიანურად იმოქმედებდნენ: არ გამოაგზავნიდნენ ფლოტს და არც თვითმფრინავებს გადმოაფრენდნენ. ამაზე მე ვუპასუხე, რომ მაშინ მეც არ ვიჯდებოდი შეხვედრაზე ახლა მის წინ და საერთოდ, შესაძლებელია, საქართველოც აღარ ყოფილიყო რუკაზე აღნიშნული. იქნებ ეგონა, რომ ძალიან გამიხარდებოდა მისი სიტყვების მოსმენა...“*** *(იქვე, გვ. 196).*

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**






დიკ ჩეინი და ჯორჯ ბუში

## მიხეილ სააკაშვილი:

## ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ ბუშს შესთავაზა, სარაკეტო დარტყმებით დაებომბათ როკის გვირაბი, რათა რუსული ჯარის წინსვლა შეჩერებულიყო!

# „კინწურაშვილს შევპირდი და აუცილებლად შევუსრულებ დანაპირებს!“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:






***„თიბისი ბანკის“ მიერ ორგანიზაციის ანგარიშების დაბლოკვის კვალდაკვალ ყოფილ პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძეს „ფეისბუქიც“ დაუბლოკეს. როგორც ომბუდსმენობის ყოფილი კანდიდატი ამბობს, არ შესწევს ძალა, საკუთარი უფლებები დაიცვას, რადგან დღეს სახელმწიფოზე მაღლა ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძისა და უნიჭო თამარ კინწურაშვილის უფლებები დგას.***

**— ბატონო დიმიტრი, პირდაპირ გკითხავთ — ისევ აპირებთ ბრძოლას ომბუდსმენობისთვის? თუ არ ვცდები, ერთადერთი ბრძანდებით, ვინც სამჯერ იყარა კენჭი სახალხო დამცველის არჩევნებში...**

— პირდაპირ გეტყვით — არა! მოახლოებული არჩევნების გამო ამ შეკითხვას ბევრი მისვამს და მადლობა, რომ მომეცით საშუალება, ყველას გავცე პასუხი. იმისთვის, რომ სახალხო დამცველი გახდე, საჭიროა 90 დეპუტატის მხარდაჭერა. ამ ხმებს ვერც „ქართული ოცნება“ აგროვებს და ვერც ნაციონალური მოძრაობა, **ანუ ნაციონალების მხარდაჭერის გარეშე ომბუდსმენი ვერ გახდები.** მათთვის კი თავის მოწონებას არ ვაპირებ, რადგან ეს ნაბიჯი იმდენად სამარცხვინო იქნება, რომ არანაირი სახალხო დამცველობა და თანამდებობა არ ღირს ამად.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ომბუდსმენი არის დასავლური იდეოლოგიის პროპაგანდისტული იარაღი. შესაბამისად, ვერც სახალხო დამცველი გახდები, თუ მათ იდეოლოგიას ეწინააღმდეგები. **ეს ყველაფერი პირადად გამოვცადე საკუთარ თავზე 2009 წელს, როდესაც სახალხო დამცველად ჩემი კანდიდატურა წარვადგინე და პარლამენტის ტრიბუნიდან აღვნიშნე** — სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ადამიანების უფლებების დაცვა გეი-პროპაგანდის მფარველობას ნიშნავს და მსგავსი პროპაგანდა დაუშვებელია-მეთქი. მაშინ ირანის პრეზიდენტსაც კი შემადარეს — არათუ სახალხო დამცველად, ასეთი ადამიანის პარლამენტში ყოფნაც კი დანაშაულიაო.

2012 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ვფიქრობდი, სახალხო დამცველად არჩევის მეტი შანსი მექნებოდა. ერთ-ერთი მედიაგამოცემის ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, როგორც სასურველმა კანდიდატმა, 74 პროცენტი დავაგროვე, მეტიც, „ქართული ოცნების“ ოფისში 68 ათასი ადამიანის ხელმოწერით ჩემი მხარდამჭერი პეტიციაც შევიდა, მაგრამ მოხდა პოლიტიკური ნონსენსი — **უჩა ნანუაშვილი,** რომელსაც არავინ იცნობდა, საიდანღაც გამოაძვრინეს და მოულოდნელად დასვეს ომბუდსმენად. მერე იყო 2017 წლის არჩევნები.

**— ამჯერად რა მოხდა?**

— პირველ რიგში, მინდა, კიდევ ერთხელ პერსონალური მადლობა გადავუხადო **ლაშა ნადარეიშვილს და გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთელ კოლექტივს,** რომელმაც მაშინ ძალიან დიდი დახმარება გამიწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კამპანიაც დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ მთლიანად მონოპოლიზებული აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ მოსთხოვეს ნაციონალური მოძრაობის დასახელებული კანდიდატის მხარდაჭერა და, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის იმთავითვე მიუღებელი იყო **ნინო ლომჯარია,** როგორც პოლიტიკურად ანგაჟირებული ფიგურა, მაინც წავიდნენ მსხვერპლზე.

**— დღეს ამას თავადაც აღიარებენ...**

— მაგრამ ეს სინანული მხოლოდ სიტყვებში არ უნდა გამოიხატებოდეს.

**— მაინც, რა უნდა გააკეთოს „ოცნებამ“?**

— მეორე ნინო ლომჯარია, ოღონდ სხვა სახელითა და გვარით, არ უნდა იქნეს არჩეული!

### საქართველოს სახალხო დამცველის არჩევნები იქნება ლაკმუსის ქაღალდი, თუ რა გზას ირჩევს საქართველო!

### „ქართულმა ოცნებამ“ აღარ უნდა დაუჭიროს მხარი იმ კანდიდატებს, რომელთა უკანაც ნაციონალური მოძრაობა და გლობალური დასავლეთი დგას.

### „მეორე ნინო ლომჯარია, ოღონდ სხვა სახელითა და გვარით, არ უნდა იქნეს არჩეული!“

თუ „ოცნება“ კვლავ თავისას გაატანინებს, საბოლოოდ მოიჭრის თავს! ვფიქრობ, სახალხო დამცველი არ უნდა აირჩიოს საკანონმდებლო ორგანომ, ვიდრე ახალი პარლამენტი არ შეიკრიბება და პოლიტიკური ლანდშაფტი არ შეიცვლება. მერე უკვე ჯერი ხალხზე იქნება — როგორ პარლამენტსაც აირჩევს 2024 წელს, ისეთი სახალხო დამცველი ეყოლება საქართველოს.

**ირაკლი კობახიძესთან** ერთად ვიმუშავე საკონსტიტუციო კომისიაში და მახსოვს მისი უმკაცრესი დამოკიდებულება **ანა ნაცვლიშვილის,** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და მისი მონათესავე ორგანიზაციების ლიდერთა მიმართ. **მინდა, მჯეროდეს, რომ ირაკლი კობახიძე და მისი კოლეგები უარს ეტყვიან დასავლეთს მეორე ნინო ლომჯარიას არჩევაზე.** ამით ერთგვარ გაფრთხილებას მიიღებენ გლობალური დასავლეთის სხვა აგენტებიც, რომლებიც მრავლად არიან საქართველოში და რომელთა მოქმედებაც უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ბოლო დღეების განმავლობაში მათი მხრიდან უკვე მეორედ მოხდა ჩემზე თავდასხმა.

**— „თიბისი ბანკის“ მიერ ანგარიშების დაყადაღების შესახებ საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. რა მოხდა მეორე შემთხვევაში?**

— ამჯერად თავს საქართველოს მთავარი ცენზორი **თამარ კინწურაშვილი** დამესხა, რომელსაც ექსკლუზიური უფლება აქვს, სოციალურ ქსელებში გლობალური სისტემისთვის არასასურველი ფიზიკური და იურიდიული პირები გამოავლინოს. სწორედ მისი პირადი ინიციატივით ჩემი სატელევიზიო ეთერის ფეისბუქ „ლაივი“ დაიბლოკა.

ნიშანდობლივია, რომ „თიბისი ბანკისა“ და კინწურაშვილის მოქმედება ერთმანეთს დაემთხვა და ორივე შემთხვევის უკან ერთი სისტემა დგას — გლობალური დასავლეთი! **თავის დროზე სწორედ მათი მითითებით მოხდა სახელმწიფო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რომლის მეშვეობითაც დღეს ხაზარაძისა და თამარ კინწურაშვილის უფლებები კონსტიტუციაზე მაღლა დგას.** მათ ხელშია ანგარიშსწორების ინსტრუმენტები და იარაღები. მე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ყოფილი პარლამენტის წევრი, რომელიც საჯარო პირი გახლავართ, საკუთარ უფლებებს აღვირახსნილი თავდასხმებისგან ვერ ვიცავ.

**— არ დაფიქრებულხართ, რატომ გახდით მათი თავდასხმის ობიექტი?**

— **სამოქალაქო პლატფორმის მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოვადგენ, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების დალაგების კუთხით მუშაობს და ცდილობს ამ მიმართულებით პოლიტიკაში გარღვევა მოახდინოს.** ამიტომაც მიტევენ და მებრძვიან, თუმცა, გამოწვევა მიღებულია. კინწურაშვილს შევპირდი და აუცილებლად შევუსრულებ დანაპირებს — პირადად მივაცილებ ფოთივარნას ბორანზე და მივცემ შესაძლებლობას, შიგ ევროპაში ამოყოს თავი. კოლექტიური კინწურაშვილების ადგილი არის იქ, სადაც გეი-პროპაგანდის კულტივირება ხდება!

სოდომიზმის, გენდერიზმის, გლობალიზმის დრო საქართველოში რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს, ეს განწყობა უკვე შეიმჩნევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, იტალიაში, უნგრეთსა და სერბეთში. **მალე მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო. ამიტომაც ვამბობ, ბევრი რამ არის დღეს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული. მათ მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებში გამოჩნდება, რამდენად უწევს ანგარიშს ხალხს, რომლის მოთხოვნაც და განწყობაც ერთადერთია — დამთავრდეს გლობალისტური დასავლეთის დიქტატურა საქართველოში!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***









ანა აბაშიძე, გიორგი ბურჯანაძე, ნაზი ჯანეზაშვილი

# უარი - ლომჯარიაზე უარეს ლომჯარიებს!

***სოროსელმა არასამთავრობოებმა ბევრი თათბირის შედეგად საქართველოს პარლამენტს ომბუდსმენობის კანდიდატად სამი პერსონა წარუდგინეს: ანა აბაშიძე, გიორგი ბურჯანაძე და ნაზი ჯანეზაშვილი! და, რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ „სოროსის ფონდიდან“ გვახარეს თვით ზონდერ-გენდერთა გურუს — ბაია-ბაბუცა პატარაიას პირით! რაც მთავარია, კანდიდატების შერჩევის სამარცხვინო რიტუალში 9 აპრილის მემორიალზე ნაცეკვი და ლგბტ პრაიდის ერთ-ერთი ორგანიზატორი ანა სუბელიანიც მონაწილეობდა.***

ვინ არიან სახალხო დამცველობის სოროსელი კანდიდატები: **რა თქმა უნდა, პირწავარდნილი ლიბერასტ-სოროსელები!**

**ანა აბაშიძე** — ლგბტ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გეი-პარადების საორგანიზაციო ჯგუფის წევრი, საქართველოს სკოლებში ბავშვთა სექსუალური განათლების შეტანის უპირველესი ლობისტი! უფრო მეტიც, სწორედ ეს ანა აბაშიძეა **ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის ადვოკატი** და სწორედ მის მიერ დაქოქილია დოროყაშვილის ქალი, რომ ჩვენი საამაყო ჩოგბურთელი ციხეში გაამწესონ.

რაც შეეხება სოროსელთა მეორე კანდიდატს **გიორგი ბურჯანაძეს,** ის წლებია, **ნინო ლომჯარიას მოადგილე** ბრძანდება და ყველა იმ ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური დივერსიის აქტიური მოთავეც გახლავთ, რაც კი ამ **ღვთის პირიდან გავარდნილ ლომჯარიას** უკეთებია საქართველოში!

### ესენი არა!

მესამე კანდიდატი **ნაზი ჯანეზაშვილი** ამ წინა ორზე უფრო ცნობილი სოროსელი ალქაჯია, რადგან წლების მანძილზე ეგრეთ წოდებულ სასამართლო რეფორმებზე გაჰკიოდა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოშიც კი იყო შეყვანილი სოროსული სექტის კვოტით! რა ცირკებიც ამას იმ იუსტიციის საბჭოში მოუწყვია, სხდომების პირდაპირი ტრანსლაციების დროს და რაც ამაში გრანტები აუღია, ვინ მოთვლის!

**მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სამივე ლიბერასტი სოროსელი კანდიდატი ლომჯარიები და ლომჯარიაზე უარესები არიან** და სახალხო დამცველად მათი გაჭაჭანება დაუშვებელია! იმედია, საქართველოს პარლამენტი ძველ შეცდომას აღარ გაიმეორებს და ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს ლომჯარიობას საქართველოში!

***გიორგი გიგაური***



## მიხეილ ცაგარელი:
# ოქტომბერი არაერთგვაროვანი იქნება

***— 9-23 ოქტომბრის შუალედში ადამიანთა ენერგიულობა, აქტიურობა და მშვიდი გარემო რას შეუწყობს ხელს? კრეატიულ ადამიანებს რისი საშუალება ექნებათ და ამისათვის თვის დასაწყისში რა იქნება აუცილებელი? კაცობრიობის შემდგომი განვითარებისთვის სამყარო ადამიანებს რის საშუალებას მისცემს? რა და რა თვისებებს გაამძაფრებს მზის გადანაცვლება მესამე დეკადის დასაწყისში სასწორიდან ღრიანკალის ზოდიაქოში? რომელ ციურ სხეულთა დახმარებით იქნება თვის ბოლო დეკადაში განპირობებული მოულოდნელად ადამიანის გამდიდრება, მემკვიდრეობის მიღება ან დიდი მოგება? როდის დაიწყება ენერგეტიკული განახლება ანდა პროგრესის დამუხრუჭება და რა უნდა გავითვალისწინოთ ასეთ დღეებში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— ღვინობისთვე როგორ ჩაივლის, რას უნდა ველოდოთ?**

— ოქტომბერი არასტაბილური კოსმოსური ამინდის გამო არაერთგვაროვანი იქნება. 5 რიცხვამდე ადამიანებს მიზნის მისაღწევად ჩვეულებრივზე გაცილებით მეტი ძალისხმევა და ენერგია დასჭირდებათ, ამავდროულად, 2 ოქტომბრიდან ურთიერთობა გარშემო მყოფებთან უფრო ჰარმონიული გახდება. ახალი შემოქმედებითი და სასიყვარულო პერსპექტივები გამოჩნდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ პოზიტიურ ტენდენციებს განაპირობებს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი **პლანეტა მერკური,** რომელმაც 2 **ოქტომბერს** რეტროგრადული მოძრაობა დაასრულა, ხოლო 11 ოქტომბრიდან ის **სასწორის** ზოდიაქოში გადაინაცვლებს, სადაც **მზესთან ერთად** (23 რიცხვამდე) იმოძრავებს. **უნდა აღინიშნოს, რომ ოქტომბრის შუალედი 9-დან 23-მდე მეტად მშვიდი და სასიკეთო იქნება. ამ პერიოდში ადამიანებში მოიმატებს ენერგიულობა, აქტიურობა და თავდაჯერება. დადებითი გარემო და ტენდენციები ხელს შეუწყობს პოზიტიურ სოციალურ ცვლილებებს საერთაშორისო თანამეგობრობაში, საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკასა და ბიზნესში.** მომგებიანი შეთანხმება-მოლაპარაკებები, პერსპექტიული გეგმები და პროექტები შემოქმედებით ადამიანებს საშუალებას მისცემს, სწრაფად აიმაღლონ პროფესიონალიზმი, წაიწიონ კარიერაში, ახალი კავშირები დაამყარონ, საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობა გაიუმჯობესონ. ამისათვის კი აუცილებელი იქნება **თვის დასაწყისშივე ზუსტად განსაზღვრონ როგორც უახლოესი პერიოდის, ისე გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები. ამ შემთხვევაში წარმატების შანსი ერთიორად მოიმატებს.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **ამ პერიოდში სამყარო ადამიანებს სულიერი და მიწიერი კანონების სიღრმისეულად გააზრებისა და ძლიერი ინტუიციური შეგრძნებების გაცნობიერების საშუალებას მისცემს, რაც აუცილებელი იქნება კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ პერიოდში პლანეტების მერკურისა და ვენერას ყოფნა სასწორის ზოდიაქოში ხელს შეუწყობს უფრო რბილი, მგრძნობიარე, ყურადღებიანი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, სხვათა ინტერესების პატივისცემას, ძველი წყენისგან გათავისუფლებას.**

**— რა და რა თვისებებს გაამძაფრებს ადამიანებში ოქტომბრის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება სასწორის ზოდიაქოდან ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 23 ოქტომბერს (14.37) გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, მებრძოლ სულისკვეთებას, ინტუიციას, ლიდერულ მონაცემებს, ნებისყოფას, შრომისუნარიანობას და ასევე ეჭვიანობას, სიჯიუტეს, პირდაპირობას, სარკაზმს, განაწყენებას და სამაგიეროს გადახდის სურვილსაც.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **მზე და პლანეტა ვენერა** ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში — 23-ში, ხოლო პლანეტა **მერკური** 29 ოქტომბერს გადაინაცვლებენ. ცის კაბადონზე ციურ სხეულთა ამგვარი განლაგება ოქტომბრის ბოლო დეკადაში წარმატების მიღწევისა და მოგების საშუალებას მისცემს ხელმძღვანელ პირებსა და ბიზნესმენებს. **ოქტომბრის თვის ამ მონაკვეთში გამორიცხული არ არის მოულოდნელად გამდიდრება, დიდი მოგება ანდა მემკვიდრეობის მიღება.** ასევე შესაძლებელი იქნება ახალი წარმატებების მისაღწევად ძველი კავშირების გამოყენება. ამ პერიოდში მოსალოდნელია დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი კურსის ან მეთოდების შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ **28 ოქტომბერს** იღბლიანობის მმართველი პლანეტა **იუპიტერი** კვლავ **თევზების** ზოდიაქოს დაუბრუნდება. ამ პერიოდიდან ენერგეტიკული განახლება დაიწყება, რასაც კიდევ უფრო გააძლიერებს **25 ოქტომბრის მზის დაბნელება. ამ დღეებში უმჯობესი იქნება, იხელმძღვანელოთ ინტუიციით, წინათგრძნობით და ძველი კავშირები გამოიყენოთ, რათა პირად და პროფესიულ სფეროში დადებითი ცვლილებები მოიზიდოთ. 30 ოქტომბრიდან პლანეტა მარსისეული ენერგიები პროგრესს დაამუხრუჭებს. შესაბამისად, ჯობს, მანამდე მოასწროთ მნიშვნელოვან საკითხთა, საქმეთა თუ გაუგებრობათა მოგვარება.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 3 – 9 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ინტუიცია გაგიძლიერდებათ და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. კონკურენტებთან ბრძოლას ადვილად მოიგებთ, თუმცა, ეცადეთ ფული ყაირათიანად ხარჯოთ და არ იცრუოთ. ახალი საქმის დასაწყებად და კაპიტალდაბანდებისთვის არახელსაყრელი პერიოდია. ამ კვირაში დაწყებული რომანი ხანგრძლივი არ იქნება. სამაგიეროდ, შესაძლოა, ძველი შეყვარებულის შესახებ ინფორმაცია მიიღოთ. გადაადგილება-კონტაქტების რაოდენობა კი ჯობს, შეამციროთ.

**კურო** (21.04-20.05)
საქმეში წარმატების მისაღწევად არაორდინარული მეთოდები და გზები გამოიყენეთ. კარგი პერიოდია სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. შორეული მოგზაურობისას შესაძლოა, ამაღელვებული სასიყვარულო რომანი წამოიწყოთ. კარგი პერიოდია უცხოეთში მოლაპარაკებების საწარმოებლად, კონტაქტები და ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ეცადეთ, სამსახურის გამო მეგობრები არ გაანაწყენოთ, სამუშაო ბევრ დროს წაგართმევთ, რაც შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზიც გახდეს. პირად და სასიყვარულო ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან დანაკარგის დაბრუნების შანსი მცირე იქნება. მოგზაურობაც ჯობს, გადადოთ, რათა უცხო მხარეში პრობლემები არ შეგექმნათ და დრო ფუჭად არ დახარჯოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეცადეთ, თქვენი შესაძლებლობის შესაბამისი მიზნები დაისახოთ, რათა მათი განხორციელება არ გაგიჭირდეთ. ნუ იეჭვიანებთ და სასიყვარულო პარტნიორის სურვილი გაითვალისწინეთ, ფსიქოსომატური ბალანსის დარღვევა ხშირ გაღიზიანებას გამოიწვევს, რაც გარშემო მყოფებთან უსიამოვნებების რიცხვს გაზრდის. მოგზაურობა, შესაძლოა, ჩაიშალოს, მაგრამ, სამაგიეროდ, უცხოეთში მყოფი მეგობრები გაგიწევენ დახმარებას.

**ლომი** (23.07-23.08)
ინტუიციას უსმინეთ და ეცადეთ, კონფლიქტს თავი აარიდოთ, განსაკუთრებით ახლობლებთან. ოჯახსა და სასიყვარულო სფეროში ჰარმონია შეინარჩუნეთ. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დროულად შეასრულებთ სამუშაოს. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, კავშირების დამყარებისთვის, სწავლისთვის. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კი მეტი დრო დაუთმეთ სპორტულ ვარჯიშებს.

**ქალწული** (24.08-23.09)
ბევრი საქმიანი მოგზაურობა, გადაადგილებები და კონტაქტებია მოსალოდნელი. შესაძლოა, უცხოელთან და სხვა ერის წარმომადგენელთან რომანტიკული ურთიერთობა წამოიწყოთ. ფარულ საქმეებს, კარისკვასა და ახალი ხელშეკრულების დადებას მოერიდეთ, რათა უსიამოვნება ჯანმრთელობაზე არ აისახოს. ორაზროვან სიტუაციაში წინდახედულობა გამოიჩინეთ. ჯანმრთელობისთვის სასიკეთო იქნება გასაკაჟებელი პროცედურები.

## 3 – 9 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
რეალური გეგმები დაისახეთ და დროულად იმოქმედეთ, გადაადგილებებისა და კონტაქტების რიცხვი იმატებს. მეგობრებისგან არამარტო დახმარებას, არამედ საქმიან წინადადებასაც მიიღებთ. შვილებიც გაგახარებენ. შესაძლოა, მაღალ სოციალურ საფეხურზე მყოფ ადამიანთან რომანი საზოგადოების მითქმა-მოთქმის საბაბი გახდეს. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და არ გაცივდეთ. კარგი პერიოდია მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმეში წარმატება კარგი განწყობისა და სულიერი სიმშვიდის საწინდარი გახდება. ახალი კონტაქტების დამყარებისთვის ძლიერი მფარველები გამოჩნდებიან, ამიტომ, რაც არ უნდა დამღლელი იყოს შეხვედრა-მოლაპარაკებები, მათზე უარი არ თქვათ. ეს კარიერულ აღმასვლასა და ფინანსურ წარმატებაში დაგეხმარებათ. ეჭვიანობა კი შესაძლოა, საოჯახო ან სასიყვარულო ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზი გახდეს. მოგზაურობაც შესაძლოა, ჩაიშალოს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ენერგოპოტენციალი მოგემატებათ და, შეძლებთ, უკეთ დაინახოთ და გააანალიზოთ მოვლენები. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება კარიერული ზრდის სტიმული გახდება. კონტაქტების რაოდენობაც გაიზრდება, რაც მოგცემთ საშუალებას, დროულად მიიღოთ ინფორმაცია შვილების პრობლემების მოგვარების გამო, სამუშაოს ნაწილის შესრულება სახლში მოგიწევთ. ეცადეთ, შეყვარებულის მიმართ უფრო გულღია იყოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ოჯახში მიმდინარე მოვლენები და სახლის კეთილმოწყობა მთელ თქვენს დროს წაიღებს და პროფესიული საქმეებისგან მოგაცდენთ. თქვენი ენერგობალანსი დაბალია, ამიტომ ეცადეთ, ზედმეტი შრომით და ფიქრით არ გადაიღალოთ. პირადი ურთიერთობებისას რაც უფრო უპრეტენზიო იქნებით, მით მეტ მხარდაჭერასა და სიყვარულს მიიღებთ. სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებისათვის ეცადეთ, არ იკონფლიქტოდ გარშემო მყოფებთან და კონტაქტებიც შეამციროთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ახალი პროექტის დასაწყებად დროულად დაგეგმეთ პერიოდი. ბევრი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, მიზნის მიღწევა გაადვილდება, ყურადღებას ითხოვენ შვილები. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სპორტსა და გამაჯანსაღებელ პრაქტიკას მიმართეთ. შორეული საქმიანი მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. სამაგიეროდ, შესაძლოა, უცხოეთიდან საჩუქარი ან სასიამოვნო ახალი ამბავი მიიღოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ენერგომაჩვენებელი დაქვეითებულია. ბევრ ადამიანთან ურთიერთობა — დამღლელი, ხოლო მოგზაურობა უშედეგო იქნება. ჩანაფიქრის განსახორციელებლად ფინანსები არ გეყოფათ და ახალი გზებისა და ახალი კავშირების ძიება მოგიწევთ. საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობაში კი დროულად გაარკვიეთ გაუგებრობა და თქვენი მოთხოვნები დააყენეთ. ხშირად დაისვენეთ, რათა გადაღლამ ჯანმრთელობას არავნოს.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 3,6,8 და 9 ოქტომბერი**

**10 ოქტომბერი – სავსემთვარეობა (00.55); 25 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება (14.49).**

**ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!**



თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 3 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.00 საათზე, ჩადის 17.40 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 14.15 საათზე, ჩადის 23.01 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 17.25 საათზე, მე-2 ფაზა იწყება 04.15 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ცუდი განწყობა დაიოკეთ. მაღალია ცდუნების, მოტყუების, ილუზიების, მლიქვნელობის ალბათობა. კრიტიკულობამ და შარიანობამ, შესაძლოა, პარტნიორთან პრობლემა შექმნას. კარგი დღეა მავნე თვისებებისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისათვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საათის შესაძენად. შედეგიანი იქნება კუჭ-ნაწლავისა და ფილტვების მკურნალობა. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, ახალი კავშირების დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 4 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.22) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 15.05 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 18.00 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.49 საათიდან 14.22 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ურთიერთობისა და ქმედებებისას ზედმეტად ხისტი, პირდაპირი და ჯიუტი ნუ იქნებით. შესაძლებელია ტექნიკის შეძენა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება. იმატებს თავისუფლებისა და საკუთარი სივრცის არსებობის სურვილი. არ არის სასურველი მკვეთრი მოძრაობები, ზედმეტი ლაპარაკი, ფორიაქი, ფეხზე დიდხანს დგომა, საფინანსო ოპერაციები, ქორწინება, ვაჭრობა. კარგი დღეა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, თვალები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 5 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.02 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 15.45 საათზე, ჩადის 6 ოქტომბერს 00.16 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 18.21 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** პატივი მიაგეთ და გაუფრთხილდით საუკეთესო ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. დღეს დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიში, ცურვა, ჩქარი სიარული. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და ფლირტისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კომპიუტერული, ელექტრო და აირ აპარატურის შესაძენად, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, საზოგადოებრივ-რეფორმატორული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ფორიაქი, ნერვიულობა, ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, თვალების გადაღლა, ფეხზე დიდხანს დგომა, ფანტაზიები დაიოკეთ და რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 17.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.48) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 16.18 საათზე, ჩადის 7 ოქტომბერს 01.33 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 18.34 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.45 საათიდან 16.48 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვან საქმეზე გაამახვილეთ. შესაძლოა, ემოციებმა კამათი გამოიწვიოს. რამდენიმე საქმეს ერთად ნუ შეასრულებთ. რთულ სიტუაციაში იუმორი გამოიყენეთ. კარგი დღეა საზოგადოებრივ-ნოვატორული საქმიანობისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, სესხის ასაღებად, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, რეკლამა-განცხადებებისთვის. არ არის სასურველი ფორიაქი, ნერვიულობა, ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, საიდუმლოს გათქმა, ფანტაზიორობა. **ჯანმრთელობა**: დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, მხედველობა, ტერფები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ძოწი, ამაზონიტი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 7 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.04 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 16.45 საათზე, ჩადის 8 ოქტომბერს 02.49 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 18.44 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** რთული ენერგიების დღეა. აგრესიულობა იმატებს. არ არის სასურველი ზედმეტი ემოციურობა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლოს გამჟღავნება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, სესხის აღება ან გაცემა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული, ლიმფური, ენდოკრინული სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 8 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.58) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 17.09 საათზე, ჩადის 9 ოქტომბერს 04.03 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 18.52 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.10 საათიდან 19.58 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რჩევები გაითვალისწინეთ, ამავდროულად, თქვენს მრწამსსა და გზას ნუ გადაუხვევთ, მაღალია ცდუნების ალბათობა. ხელი შეეწყობა მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებას, ერთობლივ მოგზაურობასა და ვარჯიშს. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, კონტაქტის დასადებად, იურიდიული საქმეებისთვის. საღამოს აკონტროლეთ აგრესია, იმპულსურობა და კამათისკენ მიდრეკილება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თავი, სისხლძარღვები. **ქვები:** მარგალიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი, ლალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 9 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 17.31 საათზე, ჩადის 10 ოქტომბერს 05.15 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.00 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი სავსემთვარეობის წინ რთული და დაძაბული ენერგიების დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ ასაფეთქებელ ნივთიერებებთან, ცეცხლსასროლ იარაღთან და მჭრელ საგნებთან მიმართებით. იყავით სამართლიანი და სხვათა უფლებები დაიცვათ. ტყუილი იკრძალება. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი საქმის დაწყება, ფინანსური ოპერაციები, ფულის სესხება-გასესხება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, კამათი და სულსწრაფობა, ალკოჰოლისა და სხვა აღმგზნები საშუალებების გამოყენება. მაღალია ცდუნებებისა და შეცდომების ალბათობა, ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ. სასიკეთოა ლოცვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** გიშერი, ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.





7 ოქტომბერი – ხსენება დედათა შორის პირველმოწამისა, მოციქულთა სწორისა თეკლასი



9 ოქტომბერი – მიცვალება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა

**3 ოქტომბერი. ორშაბათი.** დიდმოწამისა ევსტათი პლაკიდასი, ცოლისა მისისა თეოპისტიასი და შვილთა მათთა აღაპისა და თეოპისტესი; **ერთაწმიდობა.**

✝ **4 ოქტომბერი. სამშაბათი. წარგზავნა ჯვართამაღლების დღესასწაულისა.** მოციქულისა კოდრატესი, 70-თაგანისა, რომელი იყო მაღნეზიას; მღვდელმოწამეთა იპატი ეპისკოპოსისა და ანდრია ხუცისა; მღვდელმთავართა ისააკისა და მელეტისა, კვიპრელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა ევსევისა და პრისკესი; პოვნა წმიდათა ნაწილთა დიმიტრისა, როსტოველი მიტროპოლიტისა.

✝ **5 ოქტომბერი. ოთხშაბათი.** წინასწარმეტყველისა იონასი; მღვდელმოწამისა ფოკასი, სინოპიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იონა ხუცისა, წმიდათა მამათა თეოფანე კანონთგამომთქმელისა და თეოდორე გამომეტყველთა მამისა; მოწამისა ფოკა მემტილესი.

✝ **6 ოქტომბერი. ხუთშაბათი. მუცლადღება პატიოსნისა, დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;** ღირსთა დედათა ქსანთიპასი და პოლიქსენიასი; მოწამისა ირაიდა ქალწულისა; მოწამეთა: ანდრიასი, იოანესი და ძეთა იონესთა პეტრესი და ანტონინესი.

✝ **7 ოქტომბერი. პარასკევი. დედათა შორის პირველმოწამისა, მოციქულთა სწორისა თეკლასი;** ღირსისა კოპრესი; წმიდისა ვლადისლავ სერბელისა.

✝ **8 ოქტომბერი. შაბათი.** არსენი დიდისა, კათალიკოსისა; ღირსთა ეფროსინესი და მამისა მისისა პაფნუტისა, ალექსანდრიელთა; ღირსმოწამისა პაფნოტი მეგვიპტელისა და მისთანა 546-თა მოწამეთა; მიცვალება ღირსისა სერგისა, რადონეჟელი იღუმენისა, სასწაულმოქმედისა.

✝ **9 ოქტომბერი. კვირა. მიცვალება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა; დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა, რომელიც საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოაბრძანეს.** ტიხონისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. შაოლინი; 6. კალკუტა; 12. რემბო; 13. რანდა; 14. რეიგანი; 15. პანტერა; 16. სალტო; 17. ხეობა; 18. ამაზონი; 22. ლიანა; 23. ხანა; 25. მაისი; 26. კუბატურა; 27. კიკინი; 30. მუმლი; 31. ოაზისი; 34. სიფილისი; 38. პაი; 39. ტორესი; 40. ნაბადი; 41. სარდინი; 42. ტაი; 43. რეკეტირი; 46. კაფია; 49. ოპოსუმი; 50. კიო; 51. ტრიბუნალი; 55. არამისი; 59. პამირი; 62. ტოკიო; 63. სტადიონი; 64. როდის? 65. ვერდი; 66. ტაბულა; 67. ამბოკარი; 68. სენა.

შვეულად: 1. შირმა; 2. ოპიზა; 3. იმაგო; 4. ირისი; 5. სმალტა; 6. კოპოლა; 7. ლანთანი; 8. უტევანი; 9. არახამია; 10. ანტონიმი; 11. მაზარინი; 19. მაუდი; 20. ზუალი; 21. ნაუსი; 23. ხამი; 24. ნამყო; 27. კიტელი; 28. კოპიტი; 29. ნოინი; 32. ზებრა; 33. სიდრი; 34. სისტოლა; 35. ფორმოზა; 36. ლაითური; 37. სპირიტი; 39. ტოკაი; 44. ტაუ; 45. რქა; 46. კოკა; 47. ფოლი; 48. ასლი; 50. კი; 52. ბეკერი; 53. ნიორი; 54. ლონდრე; 56. რატომ? 57. მედეო; 58. სკოლა; 59. პასტა; 60. მამბა; 61. რკალი; 62. ტივი.

კასკადივანილიდიალოგიკარაქიტიციანიდებილისი
კაბალიეჟირაფინადიმიმიკადობილიონიანისისინი

| საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალი | საკონდიტრო სანელებელი | საუბარი ორ პირს შორის | საკვები ცხიმი | იტალიელი ფერმწერი | გონებასუსტი ადამიანი | მე-7 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| რკინის ქუდი | რბილი ავეჯი | მცირე აზიის ძველი სახელი | შინაგანი კანონზომიერება | ბავშვთა დაავადება | სინილმჟავას მარილები | ჭაობის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. მონასტერი ჩინეთში, სადაც წარმოიშვა საბრძოლო ხელოვნება უშუ; 6. ქალაქი ინდოეთში; 12. ს. სტალონეს კინოროლი; 13. გრძელი შალაშინი; 14. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 15. ლეოპარდი; 16. აკრობატული ნახტომი; 17. ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა; 18. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 22. ხვიარა მცენარე; 23. ერა, ეპოქა; 25. ვარდობისთვე; 26. კუბური ერთეულებით გამოხატული რისამე ერთეული; 27. თხის ხმიანობა; 30. ქინქლა; 31. წყლიანი ადგილი უდაბნოში; 34. ვენერიული დაავადება; 38. წილი საერთო საქმეში; 39. ესპანელი ფეხბურთელი; 40. მწყემსების წამოსასხამი; 41. ზღვის პატარა თევზი; 42. ტაილანდის ენა; 43. განგსტერთა ბანდის წევრი, გამომძალველი; 46. ექსპრომტი; 49. პატარა ჩანთოსანი ცხოველი; 50. რუსი ილუზიონისტი; 51. სამხედრო სასამართლო; 55. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 59. მთიანეთი შუა აზიაში; 62. იაპონიის დედაქალაქი; 63. სპორტული ნაგებობა; 64. რა დროს? 65. იტალიელი კომპოზიტორი; 66. გამრავლების ცხრილი; 67. უმამულო, უქონელი (ძვ.); 68. მდინარე პარიზში.

შვეულად: 1. დასაკეცი, გადასატანი ტიხარი; 2. ძეგლი ისტორიულ ტაოში; 3. მწერის განვითარების სტადია; 4. ერთგვარი კანფეტი; 5. სამოზაიკე მინა; 6. რეჟისორი ფილმისა „ნათლია“; 7. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 8. სიგრძის საზომი ერთეული ძველად; 9. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 10. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს; 11. ფრანგი კარდინალი; 19. შალის ქსოვილი; 20. სატურნის ძველი ქართული სახელი; 21. აკლდამები, რომელსაც ზოროასტრის მიმდევრები აგებდნენ; 23. დაუმუშავებელი, გამოუყენებელი; 24. წარსული დრო; 27. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 28. იფანი; 29. მონღოლი მმართველი; 32. აფრიკული ზოლიანი ცხენი; 33. ვაშლის ღვინო; 34. გულის მოქმედების ფაზა-შეკუმშვა; 35; ტაივანის ძველი სახელი; 36. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 37. სპირიტიზმის მიმდევარი; 39. უნგრული ღვინო; 44. ბერძნული ტ-ს სახელი; 45. ყანწი; 46. ქულა ძიუდოში; 47. პერსონალური შეცდომა კალათბურთში; 48. კოპიო; 50. დასტურის სიტყვა; 52. გერმანული როიალი; 53. ბოსტნეული; 54. ქართული ფილმი; 56. რისთვის? რის გამო? 57. სპორტული კომპლექსი ყაზახეთში; 58. საშუალო სასწავლებელი; 59. მოდუღებული პომიდვრის წვენი; 60. გველის ნაირსახეობა; 61. წრეხაზის ნაწილი; 62. სამდინარო ტრანსპორტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი | გრძელკისერა ცხოველი | საზეიმო წვეულება | იმპერატორის ტიტული იაპონიაში | მილიარდი ამერიკულ საანგარიშო სისტემაში | ქალაქი თურქეთში | ლანგარი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის სამოსი | ქალაქი ბელგიაში | წმენდილი შაქარი | გრძნობის გამოხატვის ხელოვნება სახის კუნთების მოძრაობით | დის მაზიერი | მსახიობი ონისე ... | გველის ხმიანობა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზედარბიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 3 – 9 ოქტომბერი №41 (1453)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

